

ତାରିଖ ପ୍ରାଣୀ

ଧେନୁକାଜିଦ୍ୱାଳ ଯାଏଟିମନ୍ଦି  
ର୍ଦ୍ଧ  
ହାଲତାଳ ପୁଣିତଶରୀ



ଧାରାମଦେଶୀର୍ଣ୍ଣନା ଅନ୍ତିମର୍ଜନ  
ତଥିଲିଙ୍ଗନାୟି

ნაშრომში განხილულია ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გლობალური პრობლემები, გეოგრაფიული ფაქტორის როლი საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. ქართული სინამდვილიდან აღებული მასალების საფუძველზე, საუბარია გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობაზე ქართველი ერის ისტორიასა და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის. მონოგრაფია პირველად 1991 წელს დაიბეჭდა. წინამდებარე წიგნი, მეორე, გადამუშავებული გამოცემაა.

რედაქტორები  
პუბლ კუდავა  
ზურაბ ლამშვილი

მეორე, გადამუშავებული გამოცემა

ISBN 978-9941-463-72-3

© ტარიელ გვალია  
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018.

## შინაარსი

შესავალი.....	5
I თავი	
გეოგრაფიული ფაქტორის როლი	
საზოგადოებრივი განვითარების პროცესში.....	7
II თავი	
გეოგრაფიული ფაქტორის როლი	
საქართველოს ისტორიასა და ქართული	
კულტურის ჩამოყალიბებაში .....	82
დასკვნა .....	202
დამოწმებული ლიტერატურა.....	212



## შესავალი

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედება მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი გლობალური პრობლემაა. ბუნებრივი პირობების გავლენა აშკარაა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე და მისი ცხოვრების ყველა სფეროში. ამავე დროს, დღეისათვის ამ საკითხის აქტუალურობის გაუცნობიერებამ გამოიწვია ეკოლოგიური, ეკონომიკური, კულტუროლოგიური და სხვ. კრიზისები დედამიწის სხვადასხვა რეგიონში. აქედან გამომდინარე, აღნიშნულმა პრობლემამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტში.

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების სხვადასხვა ასპექტის შესახებ მსოფლიოში დიდალი ლიტერატურა არსებობს. საქართველოში ამ პრობლემის მეცნიერულ შესწავლას ვახუშტი ბატონიშვილმა დაუდო სათავე. შემდგომ პერიოდში ეს საკითხი დროდადრო დგებოდა ქართული მეცნიერების წინაშე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ის ნაკლებად არის შესწავლილი.

ნაშრომი მიძღვნილია გეოგრაფიული ფაქტორისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების სხვადასხვა ასპექტისადმი. მისი სიახლე ისიცაა, რომ გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად ახლებური აზრობრივი მნიშვნელობითაა ნახმარი ტერმინი „გეოგრაფიული ფაქტორი“. ჩემი ძირითადი ამოცანაა, ქართული სინამდვილიდან აღებული მასალების საფუძველზე ვაჩვენო გეოგრაფიული ფაქტორის როლის ზოგიერთი მომენტის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში, ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში.

სპეციალური ხასიათის გამოკვლევების გარდა, ნაშრომში გამოყენებულია ისეთი სამეცნიერო დისციპლინების ცალკეული ემპირიული მონაცემები, როგორებიცაა: გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ეკონომიკა, მედიცინა და სხვა.

განხილული პრობლემები უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენი საზოგადოების შემდგომ განვითარებასთან. ამიტომ გამოთქმული დებულებები და დასკვნები შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობისაც იყოს და დახმარება გაგვიწიოს ქართული ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების აღდგენაში; ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული და სხვ. პრობლემების გადაჭრაში.

ზოგიერთი მოძიებული მასალა, დებულება და დასკვნა, იმედია, დახმარებას გაუწევს იმ ავტორებს, რომლებიც მომავალში ხელს მოჰკიდებენ აღნიშნული საკითხის შესწავლას.

| თავი

## გეოგრაფიული ფაქტორის როლი საზოგადოებრივი განვითარების პროცესში

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში გეო-  
გრაფიული ფაქტორის როლის გააზრებისთვის  
აუცილებელია გავერკვეთ თვით გეოგრაფიული  
ფაქტორის არსები, მისი შემადგენელი კომპონენ-  
ტების რაობაში, განვითარების კანონზომიერებებ-  
ში. გეოგრაფიულ ფაქტორში ჩვენ ვგულისხმობთ  
გეოგრაფიულ გარემოს, დემოგრაფიასა და ისტო-  
რიულ-გეოგრაფიულ გარემოს. სამეცნიერო ლი-  
ტერატურაში არსებობს ტერმინი „გეოგრაფიული  
ფაქტორი“, მაგრამ მასში უპირატესად გულისხ-  
მობენ საკუთრივ ბუნებრივი პირობების ფაქტორს.  
ამდენად, ის არ მოიცავს ჩამოთვლილ კომპონენ-  
ტებს. უფრო ზუსტად, მისი ასეთი მნიშვნელობით  
ხმარება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „კლა-  
სიკური“ სახით არ ჩამოყალიბებულა. მე ვგრძნობ

ასეთი ტერმინის პირობითობას, მაგრამ შეგნებულად მივდივარ ამ გზით, რადგან: 1. ჩამოთვლილი კომპონენტების მაქსიმალურად გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების პროცესის მეცნიერული სურათის დადგენა; 2. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ყველა მათგანი განიხილება საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში მეორეული რიგის მიზეზებად და წარმოების წესის განსაზღვრაში დაქვემდებარებული მდგომარეობა უკავია; 3. სამივე კომპონენტის გაერთიანება მაინც შეიძლება, ასე ვთქვათ, ბუნებრივ საფუძველზე.

რა იგულისხმება გეოგრაფიულ გარემოში? ეს საკითხი განყენებულად არ გახლავთ საისტორიო დისციპლინების საკვლევი პრობლემა, მას გეოგრაფები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები იკვლევენ და მეც მათი აზრის კონსტატაციას დავჯერდები.

ტერმინი „გეოგრაფიული გარემო“ პირველად იხმარა ფრანგმა მეცნიერმა ე. რეკლიუმ თავის ცნობილ მრავალტომეულ გამოკვლევაში „ადამიანი და დედამიწა“ [55]. გეოგრაფიული გარემო არ არის დედამიწის ზედაპირი მთლიანად, მით უმეტეს, საერთოდ გეოგრაფიული გარსი, გავრცობილი კოსმოსამდე. გეოგრაფიული გარემო არის ბუნების ის ნაწილი, სადაც ხდება ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთშეხება ადამიანის სამეურნეო და კულ-

ტურული საქმიანობის დროს. ამიტომ, როცა ვხმა-რობთ ტერმინს – „გეოგრაფიული გარემო“, იგულისხმება ადამიანთა გარემომცველი გარემო და არა საერთოდ ბუნება.

გეოგრაფიული გარემო პირობითად იყოფა ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოდ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოდ.

ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო არის კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის ბუნებრივი პირობების ერთობლიობა, რომლის ზემოქმედების ნიშანს ატარებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე. მისი ძირითადი კომპონენტებია: კლიმატი, ჰიდროსფერო, რელიეფი, ბუნებრივი რესურსები, ნიადაგები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო არის მატერიალური წარმოების საფუძველზე ადამიანის მიერ შექმნილი თავისი არსებობის ბუნებრივი, გეოგრაფიული საფუძვლები, რომლის ძირითადი კომპონენტებია: კულტურული ნიადაგები, ბალები, პლანტაციები, ადამიანის მიერ გამოყვანილ მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, ხელოვნური წყალსაცავები, არხები, სარწყავი სისტემები და სხვა.

გეოგრაფიული გარემო, პირველ ყოვლისა, გულისხმობს და მოიცავს ქვეყნის ბუნებრივ პირობებს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მასზე მაინც არ დაიყვანება. ბუნებრივი პირობები, თა-

ვისი ეტიმოლოგიური შინაარსით უფრო ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს ემთხვევა, თუმცა, თითოეულ მათგანს შორის მკვეთრი სადემარკაციო ხაზის გავლება მაინც ძნელია. გეოგრაფიული გარემოს ზოგად ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობაც. ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს გაერთიანება შეიძლება გეოპოლიტიკურ ვითარებაში, მაგრამ გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება, სხვადასხვა მიზეზის გამოჩვენში სათანადოდ ვერ განვითარდა.

არც ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, კონკრეტული საზოგადოების, რეგიონის, ერის ისტორია, არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენის არსი, წარმოშობისა და განვითარების მიზეზი არ იქნება სწორად ახსნილი, თუ ჯეროვნად არ შევაფასებთ მასზე გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებას.

აუცილებელია გაირკვეს არა მარტო გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, არამედ ბუნებრივი პირობების მნიშვნელობა ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ჩამოყალიბებაში. დღეს ჩვენთვის ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა იყო უშუალო მიზეზი ადამიანის მსგავსი ბიოლოგიური არსების თანამედროვე ადამიანის ტიპად ჩამოყალიბებისა, ძნელია ამ ევოლუციის ერთადერთი მისაღები სუ-

რათის წარმოდგენა. რაც უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი – გამყინვარება, გლობალური დათბობა თუ მოსახლეობის მიგრაცია მათი თავდაპირველი განსახლების არეალიდან (ზომიერი და ტროპიკული სარტყელები) შედარებით ცივი რეგიონებისაკენ, აშკარაა გარემო პირობების როლი ამ პროცესში. ბუნებრივი პირობების კარდინალურმა შეცვლამ ჩააყენა პირველყოფილი ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციაში, საიდანაც ის გამარჯვებული გამოვიდა (განსხვავებით სხვა ბიოლოგიური სახეობებისგან). საერთოდ კი, კაცობრიობის უძველესი წარსულის შესწავლისას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ბუნებრივი პირობების შესწავლას და მხოლოდ კომპლექსურ არქეოლოგიურ-გეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება გაეცეს პასუხი იმ მრავალრიცხოვან კითხვებს, რომლებიც ადამიანის წარმოშობასთან არის დაკავშირებული.

პირველი მსოფლიო მნიშვნელობის ცივილიზაციები დიდად იყვნენ „დავალებული“ იმ რეგიონის ბუნებრივი პირობებისაგან, სადაც ისინი ჩაისახნენ და განვითარდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ და აღვნიშნოთ დიდი მდინარეების ის სასიცოცხლო მნიშვნელობა და როლი, რაც მათ შეასრულეს ეგვიპტის, შუამდინარეთის და სხვა ცივილიზაციებისათვის.

სიცოცხლის სიმბოლოდ ქცეული მდინარეების – ნილოსის, ტიგროსისა და ევფრატის – ოაზისებში,

მაღალნაყოფიერი ნიადაგის არსებობის პირობებში, შესაძლებელი გახდა მაღალგანვითარებული, სამეურნეო მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული კულტურის შექმნა. დედამიწის თბილი ზონების ყველა რეგიონში როდი იყო შესაძლებელი მსოფლიო მნიშვნელობის პირველი ცივილიზაციების ჩასახვა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედამიწის სხვა-დასხვა რეგიონში დღემდე შემორჩნენ ცალკეული ტომები, რომლებიც გვაროვნული წყობილების დონეზე დარჩნენ. რატომ მოხდა ამ ხალხების განვითარების გაყინვა ერთ ადგილს? „ყველგან, სადაც კი, თავისი პირობებიდან გამომდინარე, ბუნება იძულებულს ხდიდა ადამიანს, გადაედგა ნაბიჯი წინ იმისათვის, რომ გადარჩენილიყო, ადამიანი ადრე თუ გვიან ამ ნაბიჯს დგამდა. მაგრამ იქ, სადაც ასეთი აუცილებლობა ბუნებრივი პირობებიდან არ გამომდინარებდა, ადამიანები კმაყოფილდებოდნენ საარსებო საშუალებების ძველი და პრიმიტიული ფორმებით – შემგროვებლობით, მონადირეობით, თევზის ჭერით“ [44. 87-88].

ისტორიული განვითარების პროცესში ზოგიერთი რეგიონი სამეურნეო და კულტურული განვითარების მხრივ გაუსწრებდა ხოლმე სხვებს ძირითადად იმით, რომ ის იღებდა რაიმე უპირატესობას გეოგრაფიული ფაქტორის რომელიმე კომპონენტის წყალობით. ასე დაუთმეს პირველობა მცირე აზიის ხალხებმა ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებს, ამ

უკანასკნელებმა კი, თავის მხრივ, შუა და ჩრდილოეთ ევროპის ხალხებს, დაბოლოს, გეოგრაფიული ფაქტორის ყველა კომპონენტის წყალობით ჩადგა ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში.

მართალია, აღმოსავლეთში არსებობდა განვითარებული სახელმწიფოებრიობა და სახელმწიფოებრივად ორგანიზებული მიწათმოქმედება, მაგრამ აზიის ხალხებს მაინც გაუსწრეს ევროპელებმა. ამ რეგიონში სტაბილური მოსავლის მიღება მხოლოდ ინტენსიური მორწყვის გზით არის შესაძლებელი, მორწყვა კი აზიის პირობებში (დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმული მშრალი, უწყლო მასივები) მხოლოდ პოლიტიკურად ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს პრიორიტეტს შეადგენდა. აზიაში სტაბილური მშვიდობის დამყარება არ ხერხდებოდა. ომიანობის პირობებში კი ძნელი იყო სარწყავი სისტემის ეფექტიანი მოქმედება (რომლის გარეშეც მოსავალი არ მოდიოდა) და მისი მოშლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე აღდგენა. ის, ვისაც ხელთ ეპყრა და აკონტროლებდა წყალს, ბატონობდა სხვებზე (ასეთივე ანალოგია შეიძლება დავინახოთ ნავთობის არსებობა-მოპოვებასა და მის კონტროლს შორის). ასე რომ, ამა თუ იმ რეგიონის მოსავალი დამოკიდებული იყო არა იმდენად ცალკეული მუშაკის შრომაზე, რამდენადაც მასზე, ვინც აკონტროლებდა წყალს. ამან და სხვა მრავალმა მიზეზმა

ხელი შეუწყო აზიური ტიპის მეფის ხელისუფლების – დესპოტის ჩამოყალიბებას. შეუზღუდავმა ხელისუფლებამ, სამხედრო ყაიდაზე მომართულმა ცხოვრებამ, კერძო საკუთრების განუვითარებლობამ ხელი შეუშალეს ამ რეგიონის შემდგომ განვითარებას.

კლასიკურ მონათმფლობელურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ ძველი საბერძნეთი და ძველი რომი, რომლებმაც, ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემოსა (სხვა ფაქტორებთან ერთად) და იაფი მუშახელის წყალობით, საზოგადოების სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში დიდ სიმაღლეებს მიაღწიეს. ამის მიუხედავად, მათ სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში გადაზრდის პერსპექტივა წაკლებად ჰქონდათ, რადგანაც მონები არ წარმოადგენდნენ იმ კლასს, რომლებსაც შეეძლოთ არსებული წარმოების წესის შეცვლა, მით უმეტეს ლატიფუნდისტები (მსხვილი მიწათმფლობელები). საბოლოოდ, ძველი საბერძნეთი და ძველი რომი გადაიქცნენ მომხმარებლურ საზოგადოებებად, რომლებსაც არ შეეძლოთ თავის წიაღში ახალი, პროგრესული საზოგადოების ელემენტების ჩასახვა. ასე შეიკრა ცივილიზაციის კიდევ ერთი რგოლი.

ძველი რომი უშუალოდ გერმანული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა. რომის დაცემამდე მათი განვითარების მრუდი ნელა მიიწევდა მაღლა. გერმანული მარკა ანუ თემი ზემოქმედებდა

ბუნებრივ პირობებზე და ნელ-ნელა აუმჯობესებდა შრომის იარაღებს. „ეგვიპტეში მიწის დამუშავება ნილოსის აუზში დასახლებისთანავე დაიწყეს, გერმანიაში კი ადამიანები მიწათმოქმედების გარეშე ათასწლეულობით ცხოვრობდნენ. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ნილოსის დაბლობში ადამიანები ვერ იცხოვრებდნენ მიწათმოქმედების გარეშე, გერმანიის ტერიტორიაზე კი ამის საჭიროება დიდი ხნის განმავლობაში არ წარმოშობილა“ [44. 2-3]. გერმანელებმა, მართალია, დაანგრიეს ანტიკური სახელმწიფოები, მაგრამ ბევრი რამ გადაიღეს მათგან. მოგვიანებით გერმანულ მარკაში იწყება ქონებრივი დიფერენციაცია, მაგრამ გალარიბებული მეთემები აქ (ისევე როგორც რუსეთში) მონებად არ უქცევიათ. ევროპის დიფერენცირებული ბუნებრივი პირობებისა და ნაყოფიერი ნიადაგების არსებობის პირობებში თავისუფალი თუ მეთემე გლების შრომა გაცილებით პროდუქტული იყო, ვიდრე მონისა. ამიტომ გერმანელებს, და შემდგომ ფრანკთა დიდი იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სხვა ხალხებს, არ შეეძლოთ გადაედოთ ის საზოგადოებრივი წყობა, რომელიც მათ დაამხეს. და მათ გააგრძელეს სვლა-განვითარება პირველყოფილი საზოგადოებიდან ფეოდალური საზოგადოებისაკენ. იმავდროულად ფეოდალიზაციის პროცესი მიმდინარეობს მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს დასავლეთ ევროპას ვუწოდებთ.

„ნაცვლად ხმელთაშუა ზღვის ნაპირების გასწვრივ კულტურის ვიწრო ზოლისა, რომელიც თავის ტოტებით აქა-იქ მატერიკის შიგნითა და ესპანეთის, საფრანგეთისა და ინგლისის ატლანტიკურ სანაპიროებს სწვდებოდა და რომელიც ამიტომ ადვილად შეიძლებოდა გარღვეულიყო და წალეკილიყო გერმანელებისა და სლავებისაგან ჩრდილოეთიდან, ხოლო არაბებისაგან – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ახლა გვაქვს ერთი მთლიანი კულტურული სფერო – მთელი დასავლეთი ევროპა, რომლის წინა სიმაგრეებია: სკანდინავია, პოლონეთი და უნგრეთი“ [7. 196-197].

რაც უფრო მრავალფეროვანია ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული გარემო, მით უფრო მრავალფეროვანი იქნება მისი განვითარების შესაძლებლობები და ამ საზოგადოებაში წარმოშობილი მოთხოვნილებები. სწორედ, ჩრდილო-დასავლეთი ევროპის მრავალფეროვანმა, დიფერენცირებულმა ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრეს, უპირატესად, ფეოდალური და შემდეგ კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბება ამ რეგიონში. „არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ მისი დიფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ საფუძველს და აიძულებს ადამიანს, იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის მეოხებით, რომელ-

შიც იგი მეურნეობას ეწევა, გაამრავალფეროვნოს საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, შრომის საშუალებანი და შრომის წესები“ [23. 647]. ევროპის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, საკმარისი და შემდეგ ზედმეტი რაოდენობის მოსავლის მიღებისათვის საჭირო იყო მეურნეობის ინტენსიური გზით წარმართვა. ადგილობრივი ბუნებრივი პირობების სპეციფიკა მოითხოვდა შრომის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას და შრომის იარაღების მუდმივ სრულყოფას. ამიტომაც იწყება ევროპაში ტყეების კაფვა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, მიმდინარეობს შრომის ინტენსიური დანაწილების პროცესი, რის შედეგადაც სულ უფრო მეტი რაოდენობით იქმნება ზედმეტი პროდუქტი. ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობიდან ცალკეულ ქვეყნებში იქმნება შიდა ბაზარი და ამ რეგიონის საზოგადოებრივი განვითარების პროცესიც თავისი კანონზომიერი გზით მიღის.

როცა მეფის რუსეთის ჩამორჩენილობაზე მსჯელობენ, მეცნიერები ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ რუსულ სასოფლო თემს (და საერთოდ მის გეოგრაფიულ გარემოს). საყოველთაოდ ცნობილია თემის არსებობის პრინციპი – ის ჩაკეტილი საზოგადოებრივი ინსტიტუტია და თემიდან გასასვლელად საჭიროა თემის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება. ცალკეული მეთემე გლეხებისათვის

გამოყოფილი ნადელების გადანაწილება ხდება პერიოდულად, მოკლე დროის განმავლობაში (10-15 წელი), რაც კლავს გლეხში მეურნეობის ინტენსიური გზის გაძლოლის სურვილს. აქედან გამომდინარე, მცირე პროდუქტიულობის, შედარებით მაღალი გადასახადებისა და დაბალი შემოსავლის გამო, რაც განპირობებული იყო ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგებით და ტექნიკის განვითარების დაბალი დონით, რუსული თემი გახდა ქვეყნის შემდგომი განვითარების მუხრუჭი (თემი=კოლმეურნეობა). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმპერიის მიერ ათვისებულ სამხრეთის ნაყოფიერ რაიონებში XX ს. დასაწყისისათვის გლეხები ცდილობდნენ, არ დაექვემდებარებინათ თავიანთი ნაკვეთები მიწის გადანაწილების არსებული წესისათვის.

თემი არსებობდა გერმანიაშიც, მაგრამ ფეოდალურმა ევროპამ შეძლო თავისი რიგებიდან წამოენია კაპიტალისტური საზოგადოების პირველი წარმომადგენლები, – ერთი მხრივ, ზედმეტი პროდუქტის შექმნით, მეორე მხრივ, სოფლად ზედმეტი მუშახელის გამოთავისუფლების ხარჯზე. მართალია, გერმანული მარკა გარკვეულად წინ ელბებოდა ამ პროცესს და ევროპის სხვა ქვეყნებში ეს პროცესი უფრო სწრაფად წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ მისი დაძლევა შესაძლებელი გახდა. რუსეთში კი ეს ფაქტობრივად კრიტიკულ მომენტამდე არ განხორციელებულა.

დასავლეთ ევროპაში მეურნეობის განვითარება წარიმართა ინდივიდუალური, წვრილი მეურნეობების განვითარების გზით, აქ არ არსებობდა არც აუცილებლობა და არც შესაძლებლობა (ბუნებრივი ზღუდეები) მიწის კოლექტიური დამუშავებისა. რუსეთში კი მკაცრი ბუნებრივი პირობების, ბუნებრივი ზღუდეების არარსებობის და ტექნიკის უაღრესად დაბალი დონის პირობებში უფრო მომგებიანი იყო მიწის კოლექტიური დამუშავება. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება – ისტორიულ რუსეთში გავრცელებული სამეურნეო საქმიანობის დარგები (მონადირეობა, მეთევზეობა, მემინდვრეობა) არ მოითხოვდა ერთი და იმავე მეურნის ერთსა და იმავე ადგილზე კვალიფიციურ შრომას დიდი ხნის განმავლობაში, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობას მიგრაციისათვის მეტ თავისუფლებას ანიჭებდა.

რუსეთის იმპერიისა და იმპერატორის, როგორც აზიური ტიპის დესპოტის, ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა გეოგრაფიულმა და ისტორიულმა გარემომ. მომთაბარე ტომებისათვის დამახასიათებელია მეომრული სულისკვეთება და სხვა ქვეყნების დაპყრობის სურვილი. თავისი განვითარების პირველ ეტაპზე რუსული სამეფო-სამთავროები დიდად იყვნენ შეჭირვებული აზიის მომთაბარეთა შემოსევებისაგან. განვითარების შემდეგ ეტაპზე, ბუნებრივი დამცველი ზღუდეების არარსებობამ და სუსტი სახელმწიფოებრივი ორგანიზმების მე-

ზობლობამ განაპირობეს ქვეყნის განუწყვეტელი ზრდა სიცრცეში და უდიდესი სამხედრო არმიის შექმნა, რომელიც ხშირად ასრულებდა უანდარმის როლს, როგორც რუსების, ასევე ევროპისა და აზიის მთელი რიგი ხალხების მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ცარიზმი მიისწრაფოდა, ხელში ჩაეგდო სამხრეთით მდებარე ნაყოფიერი ტერიტორიები, იმის მიუხედავად, რომ სამხრეთის მიმართულებით იმპერიის ზრდა მეტ რისკთან და დანაკარგებთან იყო დაკავშირებული. ჩრდილოეთით იმპერიის ზრდა მხოლოდ სტრატეგიულ მიზნებს ემსახურებოდა (გასასვლელი ბალტიის ზღვაზე).

უკვე აღვნიშნე, რომ თემი იყო ძალზე სტატიკური სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ხელს უშლიდა მეთემე გლეხების გასვლას (რაც მუშახელის შემცირებასა და სხვის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესრულებას უდრიდა) თემიდან და სხვა სოციალურ წოდებაში გადასვლას. მაგრამ თემს მაინც არ შეეძლო კედლად აღმართულიყო მათ წინაშე, ვისაც მისი რიგებიდან გაქცევა გადაეწყვიტა. ამ მოვლენას ხელს უწყობდა ქვეყნის პერიფერიებში აუთვისებელი უზარმაზარი ტერიტორიების არსებობა, რამაც განაპირობა ზაპოროჟიე-სეჩის, დონის, ვოლგის, ციმბირისა და სხვა დასახლებების წარმოშობა. ახალ დასახლებათა წარმოშობამ, თავის მხრივ, გარკვეულად ხელი შეუწყო რუსი ხალხის საერთო რაოდენობის ზრდას.

დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების გლეხებს არ ჰქონდათ ასეთი მიგრაციების შესაძლებლობა აუთვისებელი რაიონების ფართო მასივების არარსებობის გამო (ზედმეტი მოსახლეობის განრიდება ხდებოდა ჯერ იერუსალიმის წმინდა მიწის გამოხსნის საბაბით, შემდეგ, გვიან შუა საუკუნეებში ახალ „აღთქმულ მიწაზე“, ამერიკის კონტინენტზე გადასახლებით). ამიტომ მათი დაკაბალება და საბოლოოდ, ფეოდალური სისტემის რღვევის პროცესი აქ უფრო სწრაფი ტემპით წარიმართა, განვითარება „სილრმეში“ წავიდა, შედარებით სწრაფად მოხდა ქონების პოლარიზაცია, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ფულმა დიდი უფლება და ავტორიტეტი მოიპოვა და კერძო საკუთარების უფლება ერთ-ერთი წმინდა უფლება გახდა. ასე რომ, თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების წევრთა რაციონალურ ფსიქოლოგიას ისტორიის სილრმეში აქვს ფესვები გადგმული.

ცნობილია, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი სამხრეთ იტალიის ქალაქებში დაიწყო, რაშიც დიდი როლი ამ ქალაქების გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეასრულა. გასასვლელმა ზღვაზე და შუამავლობამ ევროპასა და აზიას შორის მათ საკმაო კაპიტალი დაუგროვა. თითქოს უეჭველი იყო კაპიტალიზმის განვითარებისათვის საჭირო წინასწარი დაგროვება, მაგრამ ეს იყო სავახშო კაპიტალი და მასზე დაფუძნებული

სიმდიდრე, იტალიის გარემო პირობების არასაკმარისად ოპტიმალურობის გამო (ბუნებრივი რესურსების სიმწირე, მთიანი რელიეფი), კაპიტალიზმის განვითარების პირობად ვერ გადაიქცა.

საყურადღებოა, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ინიციატორები იყვნენ არა ყველაზე დიდი ზღვაოსნები კლასიკური კაპიტალიზმის სამშობლოდან – ინგლისიდან, არამედ ფეოდალური ესპანეთი და პორტუგალია. ამ შემთხვევაში მათ ისარგებლეს თავიანთი ბუნებრივი უპირატესობით – ზღვით ურთიერთობა ცივილიზებულ სამყაროს-თან და დაწინაურებული საზღვაო ფლოტი – მაგრამ შემდეგ ეტაპზე ვეღარ შეძლეს ინდუსტრიულ რელიებზე გადასული ინგლისისათვის ღირსეული მეტოქეობის გაწევა და ახალი დროის შესაბამისად გარდაქმნა.

ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირის გამო ჰოლანდია ბრიტანეთის ლომთან ჭიდილში დამარცხდა. ინგლისმა კი, პირიქით, ისარგებლა თავისი გეოგრაფიული უპირატესობით – გასასვლელი ზღვაზე, კუნძულოვანი მდებარეობა, ზომიერი კლიმატი (გოლფსტრიმის დინება) და თავისი სამოქმედო არეალი თითქმის მთელ მსოფლიოზე გაავრცელა. არ იქნება სწორი, აქვე არ აღვნიშნოთ, რომ ინგლისის კუნძულოვანი მდებარეობა თავისთავად ცოტას ნიშნავდა. კუნძულოვანი მდებარეობა ჰქონდა მეზობელ ირლანდიასაც, მაგრამ შედარებით

მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა და კონტინენტიდან სიშორემ მხოლოდ მისი ჩამორჩენილობა განაპირობა. იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა შოტლანდიაც, სადაც კოლონიური ჩაგვრის მიზეზიც მოქმედებდა. აღარაფერს ვამბობთ ისლანდიაზე.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუნებრივი პირობების უცვლელობის პირობებში, საწარმოო ძალების განვითარების სხვადასხვა დონეზე იცვლება მისი ზემოქმედებაც საზოგადოებაზე. დიდი ბრიტანეთის ბუნება ისეთივე იყო მე-17 საუკუნეში, როგორიც კეისრის დროს, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ მე-17 საუკუნის ინგლისში გახდა შესაძლებელი.

„გერმანიის ერთი ნაწილი დასავლეთ ევროპის განვითარების დონეს ჩამორჩა. ბურჟუაზიული ცივილიზაცია ზღვის სანაპიროებისა და დიდი მდინარეების გასწვრივ ვრცელდებოდა. ხოლო ზღვისგან მოშორებით მდებარე მიწები, განსაკუთრებით კი მიუდგომელი და ნაკლებნაყოფიერი მთიანი ადგილები, პარბაროსობისა და ფეოდალიზმის სავანედ რჩებოდა. ამ სიველურემ განსაკურებით ზღვისგან მოშორებულ სამხრეთ-გერმანულ და სამხრეთ-სლავურ რეგიონებში მოიყარა თავი“ [59. 472]. იმავე პირობებმა განსაზღვრა არა მარტო საკუთრივ რუსული ტერიტორიების, არამედ მთელი იმპერიის ჩამორჩენილობა. უზარმაზარი ტერიტორიის გამოჯერ ფეოდალიზმის, ხოლო შემდეგ კაპიტალიზმის

განვითარება „სიგანეში“ წავიდა. განვითარების შემდგომ ეტაპზე, როცა ქვეყნის განვითარების სტიმული სასარგებლო წიაღისეულების არსებობა გახდა, რუსეთს ეს ძალზე გამოადგა. ამ მხრივ მას სხვა ნაკლებად შეედრება მსოფლიოს მასშტაბით.

ამრიგად, „თუ ევროპა კაპიტალიზმის განვითარებისათვის ოპტიმალურ გეოგრაფიულ გარემოს წარმოადგენდა საერთოდ, მის ყველა ნაწილში ცივილიზაციის ჩასახვისათვის ერთნაირი პირობები არ ყოფილა. კერძოდ, ევროპის კონტინენტური სახელმწიფოები – ჩეხეთი, უნგრეთი, ავსტრია და სხვა, ასეთი განვითარებისათვის ხელსაყრელი არ იყო. ასეთად გვევლინებიან ინგლისი, ჰოლანდია, საფრანგეთი და სხვა. რატომ? აქ ჩვენ, ისე როგორც ანტიკური სამყაროს მაგალითზე, ხაზი უნდა გავუსვათ ზღვისა და ოკეანის დიდ როლს საზოგადოების განვითარებაში. ისინი, ჯერ ერთი, სახმელეთო კომუნიკაციების მაშინდელ დონესთან შედარებით ძალზე აიაფებდნენ საქონლის გადაზიდვას და მეორეც, საზღვაო კომუნიკაციები უფრო დაზღვეული იყო სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური გართულებებისაგან. ახალ პირობებში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა დიდმა სანაოსნო მდინარეებმაც (რაინი, სენა, პო, ტემზა და სხვა)“ [32. 115].

აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა წარმოების აზიურ წესზე. დაწყებული პირველყოფილი ადამია-

ნების ნადირობიდან, ყოველგვარ სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობას ადამიანი აზიურ საზოგადოებაში კოლექტივთან ერთად ეწევა. კონტინენტის საკმაოდ დიდ ნაწილში არ არის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მიწათმოქმედების განვითარებისათვის, მთელი რიგი ხალხებისა საუკუნეების განმავლობაში ენეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, რადგან მათი ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მომთაბარე მესაქონლეობა იყო. ერთფეროვანმა ბუნებრივმა პირობებმა, ერთფეროვანმა სამეურნეო საქმიანობამ შეაფერხა რეგიონის სამეურნეო და კულტურულ-სოციალური განვითარება. მიწათმოქმედების რაიონებში აუცილებელი იყო მიწის მორწყვა, რაც მოსავლის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. აზის ბუნებრივი პირობების და იმდროინდელი საწარმოო ძალების განვითარების დონის გათვალისწინებით ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ძნელი საქმე იყო სარწყავი არხების გაყვანა. სარწყავი სისტემის გაყვანა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება შეეძლო მხოლოდ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას და მოსახლეობაც, ყოველგვარი გაგებით, მასზე იყო დამოკიდებული. „მიწის საკუთრების არარსებობა მართლა გასაღებს წარმოადგენს მთელი აღმოსავლეთისათვის. ამაშია მთელი პოლიტიკური და რელიგიური ისტორიის ფუძე. მაგრამ როგორ მოხდა, რომ აღმოსავლეთის ხალხებმა ვერ მიაღწიეს მიწის საკუთრებას, ფეო-

დალურ საკუთრებასაც კი? მე მგონია, რომ ეს აიხ-სნება უმთავრესად ჰავითა და ნიადაგის ხასიათით, განსაკუთრებით უდაბნოთა იმ დიდი ზოლით, რო-მელიც საპარიდან დაწყებული, გაივლის არაბეთს, ინდოეთსა და სათათრეთს აზიის უმაღლესი მთე-ბის მასივებამდე. მიწათმოქმედების პირველ პირო-ბას აქ ხელოვნური მორწყვა წარმოადგენს, ხოლო ეს შეადგენს ან სათემო საქმეს, ან პროვინციების, ან ცენტრალური მთავრობის საქმეს“ [22. 75]. ეს იყო მოსახლეობის მორჩილებაში ყოფნის მძლავრი საშუალება, რასაც ემატებოდა რელიგიური ასპექ-ტიც. აქედან გამომდინარე, აზიაში მეფის ხელი-სუფლება ჩამოყალიბდა აბსოლუტური ტირანიის სახით. იმის გამო, რომ ყველა რეგიონის მორწყვა არ ხერხდებოდა და ამიტომ მამრობითი მოსახლეო-ბის დიდი ნაწილი აქტიურ სამეურნეო საქმიანობას არ ეწეოდა (რასაც ემატებოდა შობადობის მაღალი დონე), აზიაში ყოველთვის მრავლად იყვნენ მეომა-რი, სხვის დოვლათს შეჩერებული და ძარცვა-გლე-ჯაზე გადასული სახელმწიფოები. ასეთ ტოტალურ და სამხედრო ყაიდაზე მომართულ სახელმწიფოებ-ში ადამიანის ფასი კაპიკი იყო და არის. „აღმოსა-ვლეთში მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. ეს ნამდვილი გასაღებია თვით აღმოსავლური ზე-ცისათვისაც“ [22. 75].

წარმოების აზიური წესის განმაპირობებელი, პირველ ყოვლისა, რომ ბუნებრივი პირობებია, ამას

მისი სახელწოდების – „გეოგრაფიული“ ხასიათიც მოწმობს. თანამედროვე პირობებში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ აზიის კონტინენტის ცალკეული ქვეყნებისათვის კვლავ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული ფაქტორის ცალკეულ ელემენტებს, ისევ აქტუალურია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული აზიური ცხოვრების წესი.

გეოგრაფიული გარემოს რა როლსა და მნიშვნელობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თანამედროვე პირობებში, ან როგორი შეიძლება იყოს მისი მნიშვნელობა მომავლისათვის?

აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია შეწყდეს გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება ისტორიული განვითარების პროცესზე. აჩქარებს ან ანელებს რა საწარმოო ძალების განვითარებას, ის უკვე ამით აჩქარებს ან ანელებს მოცემული ქვეწის საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას და მთელი ისტორიის მსვლელობასაც. გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს ამა თუ იმ ერის, ქვეწის, რეგიონის ძირითადი საქმიანობის სპეციფიკას, მიმართულებას, აქედან გამომავალი ყოველგვარი შედეგით. მეორე მხრივ, ეს მიმართულება ყოველთვის არ ემთხვევა კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას. ამიტომ, რაც უფრო მრავალ-ფეროვანია მოცემული გეოგრაფიული რეგიონის ბუნებრივი პირობები, მით მეტი შესაძლებლობა

აქვს, იყოს მუდამ ისტორიის ავანგარდში. „საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სივრცობრივი მრავალფეროვნება. არსებობს საზოგადოების (როგორც ბუნების ნაწილის) განვითარების გეოგრაფიულ გარემოზე დამოკიდებულება. რაც უფრო მრავალფეროვანია გარემო, მით უფრო ხშირად ნარმოიშობა იქ საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარებისათვის საჭირო პირობები და პირიქით... რამდენადაც უსასრულოდ მრავალფეროვანია ბუნება, იმდენადვე (ვიმეორებთ!) უსასრულო იქნება საზოგადოების განვითარების შესაძლებლობა“ [44. 281].

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და შრომის საერთაშორისო დანანილების პირობებში მცირდება საზოგადოების განვითარების უშუალო დამოკიდებულება გეოგრაფიულ გარემოზე. ამის მიუხედავად, მას არ დაუკარგავს და არც მომავალში დაკარგავს მნიშვნელობას, განვითარების რა დონესაც უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს დეტერმინიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს: რაც უფრო აქტიურად მოქმედებს საზოგადოება გეოგრაფიულ გარემოზე, მით უფრო ძლიერად განიცდის გარემოს ზემოქმედებას თავის განვითარებაზე (უკუკავშირი).

აქედან გამომდინარე, რევიონული განსხვავებები საწარმოო ძალების განვითარებაში შენარჩუნე-

ბულია თანამედროვე წარმოებითი ურთიერთობის პირობებშიც. ტერიტორიამ, რომელსაც თითქოს კარგი პირობები აქვს წარმოების განვითარებისათვის, გარკვეულ ეტაპზე, შეიძლება მეტ-ნაკლებად დაკარგოს ეს თვისება და პირიქით, ტერიტორია, რომელიც აქამდე წარმოების განვითარებისათვის არახელსაყრელად მიიჩნეოდა, შეიძლება გახდეს ახალი სამეურნეო დარგების განვითარების ცენტრი. ყველაზე კარგად ეს გამოჩნდება მინერალური რესურსების გამოყენებისას. ამიტომ მუდმივად უნდა ვითვალისწინებდეთ განსხვავებებს გეოგრაფიულ გარემოში ტერიტორიიდან ტერიტორიამდე, რადგანაც იცვლება საზოგადოების მოთხოვნები, რომელსაც ის უყენებს ბუნების ძალებსა და რესურსებს. „თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზოგადოებრივი წარმოების ცოტად თუ ბევრად განვითარებულ მდგომარეობას, შრომის ნაყოფიერება დაკავშირებული რჩება ბუნებრივ პირობებთან. ამ პირობების მთლიანად დაყვანა შეიძლება თვით ადამიანის ბუნებაზე, მაგალითად, რასაზე და სხვა, და ადამიანის გარემომცველ ბუნებაზე. გარეშე ბუნებრივი პირობები ეკონომიური თვალსაზრისით იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ბუნებრივი სიმდიდრე საარსებო საშუალებათა სახით, ე. ი. ნიადაგის ნაყოფიერება, თევზით მდიდარი წყლები და სხვა, და ბუნებრივი სიმდიდრე შრომის საშუალებათა სახით, როგორც მაგალითად, ჩანჩქერები,

სანაოსნო მდინარეები, ხე-ტყე, ლითონი, ნახშირი და სხვა. კულტურის დაწყებით საფეხურზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველი სახეობის ბუნებრივ სიმდიდრეს, ხოლო განვითარების მაღალ საფეხურზე – მეორე სახეობის სიმდიდრეს“ [23. 645-646]. ამ მხრივ საყურადღებოა ნავთობმომპოვებელი არაბული ქვეყნების მაგალითი. რამდენიმე ათეული წლის წინ ძალზე ძნელი მოსაძებნი იყო მათზე ღარიბი ქვეყნები მთელ მსოფლიოში, მაგრამ, აი, ამ რეგიონში აღმოჩნდა ნავთობის უდიდესი მარაგი და ეს ქვეყნები ნავთობის მსოფლიო კრიზისის ეპოქაში აღმოჩნდნენ მისი პირველი ექსპორტიორები. უწყლო უდაბნო, რომელიც მის პატრონს ჩალის ფასი ულირდა, ოქროს ზოდებს იძლეოდა და იძლევა დღემდე. შესაძლებლობა, რომელიც ისტორიამ მისცა ამ ქვეყნებს, მათ წარმატებით გამოიყენეს. ყოველივე ამან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ამ ქვეყნების ეკონომიკაზე, კულტურაზე, მოსახლეობის ცხოვრების წესზე. ეს მაგალითი იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება აქტიური ცხოვრების ფერხულში ჩაებას ყველასა და ყველაფრისაგან დავიწყებული ქვეყანა ან რეგიონი იმ შემთხვევაში, თუ მისი ბუნებრივი პირობები ისტორიის რომელიმე „კაპრიზს“ დააკმაყოფილებს. ისლა დამრჩენია დავუმატო, რომ არავინ იცის, მომავალში რომელ რეგიონში აღმოჩნდება წარმოების განვითარებისათვის საჭირო პი-

რობები – წიაღისეული, ენერგიის ახალი წყაროები და სხვა. დღეს ამაზე მსჯელობა ძალზე ძნელია, რადგანაც ბუნებრივი საწარმოო ძალები მხოლოდ შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობის პირობებში იქცევიან საზოგადოებრივ საწარმოო ძალებად.

გეოგრაფიული გარემო არ არის უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული. მისი შემადგენელი კომპონენტები ცვლილებას განიცდიან, ერთი მხრივ, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე და, მეორე მხრივ, ადამიანის აქტიური სამეურნეო ზემოქმედების შედეგად. ამავე დროს, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო ჩამოყალიბდა მხოლოდ ადამიანთა სამეურნეო აქტივობის შედეგად. მისი ფუნქციონირება საზოგადოებაში მოქმედი კანონებით ხდება. ბუნებას თავისი კანონები აქვს და ადამიანს შეუძლია მხოლოდ შეიცნოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ისინი და ბუნების კანონები თავის ძალას ინარჩუნებენ ადამიანის მიერ შექმნილ გარემოშიც (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო). ადამიანი იყო, არის და იქნება ბუნების ნაწილი. სისტემა „საზოგადოება“ ვერასოდეს გადაფარავს სისტემას – „ბუნება“. ამავე დროს ასეთი დაპირისპირება მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. გეოგრაფიული გარემოს ერთი რომელიმე კომპონენტის ცვლილება აუცილებლად გამოიწვევს მეტ-ნაკლებად საგრძნობ ცვლილებას მის სხვა კომპონენტებს შორის, რამაც შეიძლება რეგიო-

ნული და გლობალური ეკოლოგიური კრიზისები გამოიწვიოს, რასაც ქვემოთ კიდევ დავუბრუნდები.

\* \* \*

ჩვენი წელთაღრიცხვის | საუკუნეში დედამიწაზე დაახლოებით 165 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, დღეს კი მათმა რიცხვმა 7,5 მილიარდს გადააჭარბა. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, რთული და მტკიცნეული პრობლემა არა მარტო ამა თუ იმ ქვეყნისათვის, არამედ გლობალური მასშტაბით. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში წარმოქმნილი მოსახლეობის ჭარბი რაოდენობა, ხალხთა დიდი მიგრაციული პროცესები თავის დაღს ასვამდა კაცობრობის ისტორიულ განვითარებას. აქ შეიძლება გავიხსენოთ ხალხთა დიდი გადასახლებები, ჯვაროსნული ლაშქრობები, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტების დასახლება ძველი სამყაროს მცხოვრებლების მიერ. მაგრამ რა კავშირი აქვს დემოგრაფიულ პრობლემებს ქვეყნის ბუნებრივ პირობებთან? „მსოფლიო რუკაზე ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომლის ტერიტორია გეოგრაფიულად ერთგვაროვანი იქნება და მოსახლეობაც თანაბრად იქნება მასზედ განაწილებული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი გარემო, თავის მხრივ, უშუალო გავლენას ახდენს ადამიანთა მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევაზე, მათ განვითარებაზე,

ნარმოების ხასიათსა და ცხოვრების დონეზე“ [29. 23].

დემოგრაფიული ვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში, რეგიონში თავის გავლენას ახდენს მის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე, ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე. მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებს მიეკუთვნება ზღვისპირა ტერიტორიები (ამ კანონზომიერებას ემორჩილება საქართველოს შავიზღვისპირეთიც), რომლებიც ხშირად ხდება სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და სამხედრო გართულებების მიზეზი. ზღვაზე გასვლისათვის ეწყობოდა დამპყრობლური ომები. ეს მომენტები აუცილებლად აისახება რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაში.

ცნობილია ასევე, თუ რა მტკიცნეული ეროვნული პრობლემების წინაშე იმყოფებიან ცალკეული ქვეყნები მოსახლეობის არასასურველი ზრდის თუ კლების გამო: ერთნი მის კლებას უჩივიან (საფრანგეთი, საქართველო), მეორენი მის სიჭარბეს (ჩინეთი, ინდოეთი). მართალია, აზიის ბევრ ქვეყანაში მაღალ შობადობას რელიგიური მოტივებიც უწყობს ხელს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თბილი კლიმატი ბავშვის შედარებით ადვილად გაზრდის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, აზიის კონტინენტის უმეტეს ნაწილში მოსახლეობის მუდმივი სამეურნეო დამაგრება ვერ ხერხდებოდა. ამიტომაც ომი ბევრ მათგანს ცხოვრების ბუნებრივ წესად ექცა.

საუკუნეებმა კი შესაბამისი ფილოსოფიით გააჯერა მათი კულტურა.

ადამიანთა რესურსების, მათი დასაქმებისა და კვლავწარმოების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია დღეს. თანამედროვე ეპოქაში აშკარაა მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ ეს პროცესი თანაბრად როდი მიმდინარეობს ყველა ქვეყანასა და რეგიონში. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში კარგახანია მოხდა მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის სტაბილიზაცია. „სავარაუდოა, აგრეთვე, რომ ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებში მდებარე ის ქვეყნები, რომელთა მოსახლეობის ზრდის ტემპი ჩამორჩება იმდენად, რომ ვერ უზრუნველყოფენ თავისი ტერიტორიების სრულ ათვისება-დასახლებას დედამინაზე დამკვიდრებული ტემპით, დადგებიან იმ ფაქტის ნინაშე, რომ მათ ტერიტორიაზე, ნებით თუ ძალით, დასახლდებიან სხვა ქვეყნების, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მქონე ხალხები“ [29. 23]. აქედან გამომდინარე, შობადობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სიკვდილიანობა და, კერძოდ ბავშვთა სიკვდილიანობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერის ცხოვრების, ეროვნული ენერგიის უაღრესად მნიშვნელოვანი მახასიათებლებია.

\* \* \*

ნებისმიერ ქვეყანას დედამიწაზე უკავია ერთადერთი და განუმეორებელი მდებარეობა, რომელიც განსხვავდება ყველა სხვა ქვეყნის მდებარეობისაგან. შესაბამისად, უნიკალური მდებარეობა მხოლოდ მისთვის „დამახასიათებელ“ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე.

ტერმინებს – „ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო“ და „ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო“ სხვა-დასხვა შინაარსობრივი მნიშვნელობა აქვთ. თუ გეოგრაფიული მდებარეობა გულისხმობს ქვეყნის მდებარეობას ზღვების, ოკეანების, მთათა მასივების და სხვათა მიმართ, ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობაში იგულისხმება ქვეყნის მდებარეობა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, მისი მდებარეობა მსოფლიო ცივილიზაციების მიმართ. პრაქტიკულად არ არსებობს ორი ისეთი ქვეყანა, რომლებიც ზუსტად ერთნაირ ზეგავლენას განიცდიდნენ თავიანთი მეზობლებისაგან. ამ სპეციფიკურმა, მაგრამ მნიშვნელოვანმა მომენტმა არ შეიძლება არ გააძლიეროს გეოგრაფიული კონტრასტები ქვეყნის თუ მთელი რეგიონის საწარმოო ძალებში. ამა თუ იმ ქვეყნისათვის ისტორიული გარემოს მნიშვნელობაზე მსჯელობა თითქოს ღია კარის მტვრევას ჰერცოგავს, რადგან ჩვენი საისტორიო მეცნიერება აღიარებს მის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც გვინდა

ხაზი გავუსვათ, რომ კონკრეტული ერის, საზოგადოების ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის, კულტურის, ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენის, პროცესის თუ ფენომენის კვლევისას მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ ამ ფაქტორის (ისტორიული გარემოს ფაქტორი) მნიშვნელობა. სიტყვა „ისტორიული“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მის მნიშვნელობაზე მსჯელობა გვაქვს ისტორიულ ეპოქაში, მხოლოდ წარსულ დროში. ყველა ერი და ქვეყანა მუდმივად იმყოფება გარკვეულ ისტორიულ გარემოში და ეს ისტორიული გარემო ერთ ეპოქაში შეიძლება პროგრესული იყოს, მეორეში – პირიქით, და პირუკუ. ე. ი. თუ კონკრეტული ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ძირითადად უცვლელია დროში, სამაგიეროდ იცვლება მისი ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა. მაგალითად, ტერიტორია, რომელიც დღეს თანამედროვე ბელარუს ხალხს უკავია, ყოველთვის მდებარეობდა სლავური მიწების ცენტრში. მაგრამ არახელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა (ჭაობიანი, მოუსავლიანი ნიადაგი), სიშორემ ზღვებისა და ოკეანეებისაგან და ცივილიზაციათა ცენტრებისაგან, მხოლოდ მისი ჩამორჩენილობა განაპირობა. ახალ ისტორიულ ვითარებაში კი შედარებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბელარუსი ხალხის სამეურნეო და კულტურული განვითარება.

თანამედროვე პირობებში აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობა, მრავალი მიზეზის გამო, არ მცირდება კომუნიკაციის საშუალებათა გაზრდის უკუპროპორციულად. ის, რომ ბულგარელი ხალხი საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ, დღესაც განაპირობებს მისი ფიზიკური ტიპის განსაკუთრებულ ნიშნებს, მოსახლეობის ეროვნულ და კონფესიურ შემადგენლობას, კულტურის თავისებურებებს და მეტ-ნაკლებად იმასაც, რომ, ვთქვათ, „უფრო ევროპული“ ქვეყანაა, ვიდრე ბულგარეთი.

ამრიგად, ყველა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში, წარმოების წესის გარდა, მონაწილეობს: ა) გეოგრაფიული გარემო (ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო); ბ) დემოგრაფიული პროცესები; გ) ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო ანუ ის გავლენა, რასაც მეზობელი ქვეყნები ახდენენ მოცემული ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაზე. თითოეული მათგანი არათანაბრად წარმოვადგინეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი თანაფარდობა ზუსტად შეესაბამება მათს როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ განვითარებაში. კონკრეტული ერის, ქვეყნის, რეგიონის ცხოვრებაში თითოეულმა მათგანმა შეიძლება გადამწყვეტი ან სრულებით უმნიშვნელო როლი შეასრულოს.

მაინც რატომ არის აუცილებელი კონკრეტული მომენტების გათვალისწინება, როდესაც საზოგადოებაზე გეოგრაფიული გარემოს გავლენის შესახებ ვმსჯელობთ? „ამ საკითხის მართებულად გაგება შეუძლებელია ზოგად თეორიული მსჯელობებით წარმოებასა და გეოგრაფიულ გარემოზე. პირიქით, ის უნდა მოხდეს კონკრეტული კვლევის შედეგად, როცა ვიაზრებთ კონკრეულ წარმოებასა და კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოს. სხვანაირად აღნიშნული ფაქტორის ფორმულირებას აზრი არა აქვს“ [29. 7].

თანამედროვე ადამიანის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განსახლების ზოგიერთი კონკრეტული მომენტი დაუდგენლად შეიძლება მივიჩნიოთ;

პირველი მსოფლიო მნიშვნელობის ცივილიზაციები ეგვპიტესა და შუამდინარეთში ჩაისახა;

კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოები გახდნენ ძველი რომი და ძველი საბერძნეთი;

ფეოდალიზმი ერთ ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბდა იტალიასა და დასავლეთ ევროპაში;

კაპიტალიზმის აკვანი გახდა შუა და ჩრდილოდასავლეთი ევროპა;

საბჭოური სოციალიზმი პირველად ბოლშევიკურ რუსეთში ჩამოყალიბდა (რაც რეალურად რუსული თემის აღდგენა იყო – რუსულმა საზოგადოებამ ვერ შეძლო ბატონყმობის გაუქმების შე-

დეგად დაწყებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარდაქმნები წარმატებით დაესრულებინა).

ამავე დროს, ცხადია, რომ სხვა ცივილიზაციების (მაგ.: ჩინური, ინდური, „იაპონიის ფენომენი“ და სხვა) არ თავსდება კაცობრიობის განვითარების მეცნიერებაში მეტ-ნაკლებად მიღებულ სქემაში.

რატომ?

შეუძლებელია ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა, თუ მის შინაარსში ჯეროვანი ადგილი არ დაეთმობა გეოგრაფიულ გარემოს.

„ბარბაროსობის დაწყებასთან ერთად ჩვენ ისეთ საფეხურს მივაღწიეთ, სადაც დედამიწის ორივე დიდი კონტინენტის ბუნებრივი პირობების სხვაობა თავს იჩენს. ეს განსხვავებული ბუნებრივი პირობები იწვევს იმას, რომ ამიერიდან თითოეული ნახევარსფეროს მოსახლეობა თავისი, განსაკუთრებული გზით ვითარდება და მიჯნები ცალკეული საფეხურების საზღვრებზე თითოეული მათგანისათვის განსხვავებულია“ [32. 46].

რა თქმა უნდა, მიზნად არ დამისახავს ცივილიზაციების წარმოშობისა და განვითარების სურათის გადმოცემა. მართალია, ნაშრომში შევეხე გლობალური ხასიათის ძალზე რთულ პრობლემებს, მაგრამ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობისათვის და მივუთითე მის ზოგიერთ დამახასიათებელ და კონკრეტულ გამოვლინებაზე.

\* \* \*

ადამიანი ყოველთვის ხედავდა თავის დამოკიდებულებას ბუნებაზე და ზოგჯერ მის კაპრიზებზე მიჯაჭვულობასაც. ამიტომ ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის იდგა კაცობრიობის დიდი მოაზროვნების ყურადღების ცენტრში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროის, ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით ეს ყურადღება სხვადასხვაგვარი იყო. გასაკვირი ის იქნებოდა, რომ ადამიანს ეს კავშირი ვერ დაენახა და აქედან სათანადო დასკვნები არ გამოეტანა.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და გეოგრაფიული გარემოს ურთიერთდამოკიდებულების განხილვისას ყოველთვის შეინიშნებოდა ორი ტენდენცია. მეცნიერთა ერთი ნაწილი გადაჭარბებით აფასებდა მის როლსა და გავლენას ისტორიული განვითარების პროცესზე, მეორე ნაწილი კი ვარდებოდა მეორე უკიდურესობაში, რადგან უარყოფდა გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნულ საკითხზე თავიანთი შეხედულებები ჰქონდათ ანტიკური პერიოდის მოაზროვნებს: მედიცინის მამას – პიპოკრატეს (ძვ. წ. 460-337), ფილოსოფოსებს – პლატონსა (ძვ. წ. 428-348) და არისტოტელეს (ძვ. წ. 384-322), ისტორიკოსებს – ფსევდოქსენოფონტეს (ძვ. წ. VI ს.), პოლიტიოსა (ძვ. წ. 201-120)

და სტრაბონს (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 23). თითოეული მათგანი თავისებურად ხსნიდა ამ ფაქტორის გავლენას ადამიანთა საზოგადოებაზე, მათს ბიოლოგიურ და სოციალურ თავისებურებებზე, მათს კულტურასა და ცხოვრების წესზე, წარმოაჩენდნენ რა ამ ფაქტორის რომელიმე კომპონენტს, ისინი ამით ცდილობდნენ საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების, მორალისა და პოლიტიკის, სახელმწიფოთა ტიპების და სხვა საკითხების დადგენა-გადაჭრას. ჩემს მიზანს არ შეადგენს მათი ნააზრევის გარჩევა, მით უმეტეს, რომ ეს სამუშაო უკვე შესრულებულია უფრო კვალიფიციურ დონეზე. მე გადავალ შემდეგი ეპოქის მოაზროვნებზე, რომლებსაც ასევე ძალზე ზოგადად წარმოვადგენ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაიკაროს ერთიანი ძაფი ამ პრობლემის მეცნიერებაში გაჩენიდან მის დღევანდელ მდგომარეობამდე.

იმის მიუხედავად, რომ შუა საუკუნეებში არ ყოფილა აბსოლუტური სიბნელე და კაცობრიობამ ბევრი რამ ახალი შეიძინა ამ პერიოდში, მას მაინც უწოდებდნენ ბნელს და ამაში არის სიმართლის ნაწილი. ცივილიზაციის ცენტრების გადანაცვლებამ (მათ შორის გარემოს ზემოქმედების შედეგად) გამოიწვია ის, რომ ახალწარმოშობილმა ევროპულმა ცივილიზაციამ თავისი თავის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში გარკვეულად დაივიწყა ანტიკური სამყა-

როს მრავალი მონაპოვარი. ადრეული და საშუალო პერიოდის შუა საუკუნეები იყო ორთოდოქსული ქრისტიანული რელიგიის (ლაპარაკია ქრისტიანულ სამყაროზე) ბატონობის ეპოქა, ეპოქა, როცა ის ტახტზე მარტო იჯდა. ამ პერიოდში ყველა კითხვის ნიშანი ღმერთის შარავანდის ბრწყინვალებით იფარებოდა. ღმერთი იყო ყველას და ყველაფრის შემოქმედი და ისტორიული განვითარების პროცესიც მისი ნების განხორციელება იყო. შუა საუკუნეებში ასეთი ვითარების ნინააღმდეგ მოუხდათ ბრძოლა ჯერ აღორძინების, ხოლო შემდეგ ახალი ეპოქის მოაზროვნეებს: მონტესკიეს (1689-1755), ვოლტერს (1694-1778), ჰერდერს (1744-1803). გეოგრაფიული გარემოს ფაქტორის ნინ წამოწევით ისინი ცდილობდნენ ისტორიული განვითარების პროცესი რეალურ ნიადაგზე დაეყენებინათ. ამ შემთხვევაშიც მართლდება ენციკლოპედისტების მიმართ ხმარებული გამოთქმა, რომ მათ სამყარო „თავდაყირა დააყენეს“. ამ პრობლემის კვლევა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ჰეგელმა (1770-1831), კარლ რიტერმა (1779-1859) და სხვებმა.

მე არ განვიხილავ მათს შეხედულებებს ამ პრობლემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ. აქ მოვიყვან მხოლოდ ერთი მათგანის, ფრანგი ფილოსოფოს-ეკლექტიკოსის – ვიქტორ კუზენის გამონათქვამს, რომელიც, ყველაზე რე-

ლიეფურად და ამავე დროს ყველაზე ზუსტად გამოხატავს მათს პოზიციას. „დიახ, ბატონებო, მომეცით ქვეყნის რუკა, მისი კონფიგურაცია, მისი წყლები და მთელი ფიზიკური გეოგრაფია; აღმინერეთ მისი ფლორა, მისი ბუნებრივი პროდუქტები და მე გეტყვით *a priori*, თუ როგორი იქნება ამ ქვეყნის ადამიანი და რა როლს ითამაშებს ეს ქვეყანა ისტორიაში არა შემთხვევით, არამედ აუცილებლობის გამო, რომელიმე საგანგებო დროს კი არა, – მუდამ“ [ციტ. 47. 49].

უნდა ითქვას, რომ არც მე-19 საუკუნეში ყოფილა შესამჩნევი იმ მეცნიერთა სიმცირე, რომელთა შრომებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აღნიშნულმა პრობლემამ. პირიქით, ამ პერიოდში მრავლად არიან ისეთი მეცნიერები, რომელთა კვლევის კონკრეტულ საგანს ნარმოადგენს გეოგრაფიული გარემო და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი. ესენი არიან: თომას ბოკლი (1820-1862), ფრ. რატცელი (1844-1904), ა. მეჭენი (1840-1914), რუდოლფ ჩელენი (1864-1922).

სოციოლოგიურ მიმართულებას, რომელიც ცდილობს, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები ახსნას, უპირატესად, ქვეყნის ბუნებრივი პირობებით და გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებით, გეოგრაფიული დეტერმინიზმი ენოდება. აღორძინების ხანისა და ახალი ეპოქის მოაზროვ-

ნეები ამ მიმდინარეობის დამკვიდრებით გაბატონებულ თეოლოგიურ მოძღვრებებს ებრძოდნენ, რითაც დადებითი როლი შეასრულეს მეცნიერების განვითარებაში. თუ გეოგრაფიული დეტერმინიზმის ძველ და ახალ მომხრებს თავისი გამართლება ჰქონდათ, გეოპოლიტიკას, როგორც მეცნიერულ მიმდინარეობას, რომელიც თეორიულად გეოგრაფიული დეტერმინიზმიდან ამოვიდა, იმ სახით, რა სახეც მან მიიღო ნაცისტურ იდეოლოგიაში, გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნულმა მომენტმა გამოიწვია ის, რომ გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება, ჩვენში არ განვითარდა.

ახლა შორს წაგვიყვანდა საუბარი გეოპოლიტიკაზე, მის წარმომადგენლებზე, გამომწვევ მიზეზებსა და სხვა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „ტერმინი „გეოპოლიტიკა“ მარჯვედ შემოიღო შვედმა სახელმწიფომცოდნემ რუდოლფ ჩელენმა, უპსალას უნივერსიტეტის პროფესორმა. სიტყვების „გეო და „პოლიტიკა“ გაერთიანება თავისთავად ამახვილებს ყურადღებას იმ კავშირზე, რომელიც მიწას, გეოგრაფიულ სივრცესა და სახელმწიფოს პოლიტიკას შორის არსებობს“ [46. 77].

არც ამერიკული სინამდვილისათვის ყოფილა უცხო გეოპოლიტიკის თეორია და მით უმეტეს გეოგრაფიული დეტერმინიზმი. გერმანელი გეოპოლიტიკოსების იდეურ მემკვიდრეობას ჯერ კიდევ

პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგაც ამუშავებდნენ ამერიკელები. მათ შორის ალსანიშნავია ადმირალი ალფრედ მეჭენი: როგორც საავტომობილო გზის მოსახვევებს განსაზღვრავს მთები და მდინარეები, ასევე ცივილიზაციის მიმართულება განისაზღვრება ფიზიკური გარემოთი [46. 77]. ანდა, აი, რა წერია წიგნში – „გეოგრაფიული ფაქტორის როლი ცივილიზაციათა ცხოვრებაში“, რომელიც 1932 წელსაა გამოცემული ვისკონსინის უნივერსიტეტში: „ფიზიკური გარემოებები ისევე ახდენს ხასიათის ფორმირებას, როგორც მოქანდაკე ძერწავს ამა თუ იმ ფორმას თიხისაგან. აქედან განვითარდა მოდუნებული მოთმინება, ხანგრძლივი გამძლეობა და მტკიცნეული თავგანწირვა, რაც თანამედროვე რუსი ადამიანების განმასხვავებელ თვისებებად გვევლინება“ [46. 77].

ცალკე საუბრის თემაა გეოგრაფიზმი რუსული მეცნიერული აზროვნების ისტორიაში. სწორედ ამ კუთხით, გეოგრაფიული გარემოს პრიზმაში გარდატეხილად წარმოგვიდგენენ რესეთის განვითარების ისტორიას რუსი ისტორიკოსები: ა. პ. შჩაპოვი (1831-1876), ს. მ. სოლოვიოვი (1820-1879), ვ. ო. კლიუჩევსკი (1841-1911). ვნახოთ, რას წერდა გეოგრაფიული გარემოს გავლენის შესახებ რუსულ სინამდვილეზე ვ. ო. კლიუჩევსკი: „რუსი სლავების ამ პირველადმა საცხოვრებელმა პირობებმა მათი საზოგადოებრივი შემადგენლობის სიმარტივეც

და, ამასთან, ამ შემადგენლობის მნიშვნელოვანი გამორჩეულობაც განსაზღვრა“ [51. 37].

„ცივილიზაცია და უდიდესი ისტორიული მდინარეები“ – ასე ჰქვია ლ. ი. მეჩნიკოვის (1838-1888) წიგნს, სადაც ავტორი დიდი მდინარეების დაბლობ ხეობებსა და ოაზისებში წარმოშობილი ცივილიზაციების აყვავებას ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით, კერძოდ, დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობის მდინარეების არსებობით ხსნიდა.

გეოგრაფიული გარემოს პრობლემებს დიდი ადგილი ეთმობა გ. ვ. პლეხანოვის სოციოლოგიურ შეხედულებებში: „გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენა პირველ ყოვლისა და მნიშვნელოვანილად საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათში იჩენს თავს“ [51. 50].

რა მდგომარეობაშია აღნიშნული პრობლემა მარქსისტულ სოციოლოგიაში? მარქსიზმის ოპონენტები მიიჩნევენ, რომ გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა არის ერთ-ერთი სუსტი წერტილი მარქსისტულ მოძღვრებაში. მათი აზრით, მარქსი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ ასპექტს, ხოლო გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობას უსაფუძვლოდ აკნინებდა. იმის მიუხედავად, რომ ამ შენიშვნას გააჩნია გარკვეული საფუძველი, მთლად ასე არ გახლავთ, ყოველ შემთხვევაში მარქსთან და ენგელსთან. მე დროდადრო დავიმოწმებ შესაბამის

მონაკვეთებს მათი ნაშრომებიდან. ამჯერად კი მოვიყვან ენგელსის ორ გამონათქვამს, რომლებიც წარმოადგენენ უშუალო პასუხს ამ ბრალდებაზე. აი, რას წერს ამ საკითხის გამო ენგელსი ბლოხს: „ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად, ისტორიაში განმსაზღვრელი მომენტი საბოლოო ანგარიშით ნამდვილი ცხოვრების წარმოება და რეპროდუქციაა. არც მარქსი და არც მე ამაზე მეტს არასოდეს ვამტკიცებდით. თუ ახლა ვინმე ამ დებულებას იმ აზრით დაამახინჯებს, თითქოს ეკონომიკური მომენტი ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს, ამით ის ამ დებულებას არაფრისმთქმელ, აბსტრაქტულ, უაზრო ფრაზად გადააქცევს“ [22. 466]. ენგელსი ხედავდა მათი ზოგიერთი მიმდევრის არასწორ პოზიციას აღნიშნული პრობლემის მიმართ და წერდა: „მარქსისა და მე ნაწილობრივ ბრალი მიგვიძლვის იმაში, რომ ახალგაზრდობა ხანდახან ეკონომიკურ მხარეს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს მას ეკუთვნის. ჩვენ იძულებული ვიყავით, მონინაალ-მდეგეთა საპირისპიროდ მათ მიერ უარყოფილი მთავარი პრინციპისათვის გაგვესვა ხაზი და ამიტომ ყოველთვის არ იყო დრო, ადგილი და საბაბი ურთიერთზემოქმედებაში მონაწილე დანარჩენი მომენტებიც სათანადოდ დაგვეფასებინა“ [22. 468].

მარქსიზმის ერთ-ერთი მთავარი დებულება ის არის, რომ საზოგადოების განვითარება განისაზღ-

ვრება საწარმოო ძალების განვითარების დონით, ხოლო საზოგადოების განვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება ეფუძნება ანთროპოგენური, ანუ „ნმინდა“ საზოგადოებრივი როლის გაზვიადებას. ასეთ დროს აცხადებენ, რომ ყოველი ცვლილება ხდება მხოლოდ ადამიანთა საქმიანობის შედეგად და ივიწყებენ, რომ სხვადასხვანაირ გეოგრაფიულ პირობებში ეს საქმიანობა ყოველთვის იქნება რამდენადმე სხვადასხვანაირი.

ამასთანავე, გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობაზე ისტორიული განვითარების პროცესში ჩვენ არ უნდა ვიმსჯელოთ მეტაფიზიკურად, არ უნდა ავიყვანოთ ის აბსოლუტურ რანგში და მისი ზეგავლენა საზოგადოების განვითარებაზე უნდა გავიაზროთ სხვა ფაქტორებთან და მიზეზებთან მჭიდრო კავშირში. ბუნებრივი პირობების ცალკეული კომპონენტები მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეზე შეიძლება გადაიქცნენ წარმოების განვითარების მძლავრ აგენტად. გეოგრაფიული გარემოს საზოგადოებაზე ზემოქმედების ხასიათი და ხარისხი იცვლება ისტორიული ეპოქების ცვლილებებთან დაკავშირებით.

რა მდგომარეობაში იყო გეოგრაფიული გარემოს, როგორც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი ძირითადი დეტერმინატორის,

როლის შესწავლა საბჭოთა პერიოდის მეცნიერებაში.

1920-იანი წლების დამლევამდე გეოგრაფიული გარემოს საკითხებს მეტ-ნაკლები ყურადღება ექცეოდა საბჭოურ მეცნიერებაში. ამ პერიოდიდან კი ფაქტობრივად შეწყდა ამ პრობლემის კვლევა.

„რატომ მოხდა, რომ თვითონ მარქსიზმის კლასიკოსების თვალსაზრისს ჩვენთან ასეთი მკაცრი ვეტო დაედო? თუ თეორიით შემოვიფარგლებით, ეს იმიტომ მოხდა, რომ, ფაქტობრივად, ვ. ლენინმა უარყო სპეციფიკური აზიური წარმოების წესის არსებობა აღმოსავლეთში, და ეს უფრო მეტად ითქმის სტალინის მიმართ... მარქსისა და ენგელსის მიხედვით, აზიური წარმოების წესი არსებობდა თვით რუსეთში... ეს თვალსაზრისი უყოფმანოდ გაიზიარა გ. პლეხანოვმა. მაგრამ რუს ბოლშევიკებს ამის აღიარება ხელს არ აძლევდათ. მათ ჰქონდათ ილუზია (სლავოფილებისაგან განსხვავებით), რომ ცხოვრება და ბრძოლა იგივენაირ პირობებში უხდებოდათ, როგორც ეს ჰქონდათ დასავლეთ სოციალ-დემოკრატებს... რუს ბოლშევიკებს, ჩანს, ანუხებდათ ეროვნული თავმოყვარეობა – რუსეთი მთელი ისტორიული ეპოქებით ჩამორჩენილად ელიარებინათ დასავლეთ ევროპასთან შედარებით, მსგავსი განწყობილება მტკიცედ აქვთ გამჯდარი თანამედროვე რუს ისტორიკოსებსაც...

აზიური წარმოების წესის პირობებში სპეციფიკური კლასობრივი დიფერენციაცია წარმოიშობოდა... რომელიც საოცრად ჰყავს „სოციალიზმის“ იმ მოდელს, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დამყარდა საბჭოთა კავშირში. მმართველი ელიტა... მშვენივრად გააცნობიერებდა, რა საშიშროებას ქმნიდა აზიური წარმოების წესის მტკიცება საბჭოთა წყობილებისათვის. ამიტომაც დისკუსიები ამის თაობაზე სასტიკად აღიკვეთა...

საკითხი იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა სინამდვილეში აზიური (აღმოსავლური) წარმოების წესი, ვითარდებოდა თუ არა ერთნაირად აღმოსავლეთი და დასავლეთი, თითქოს მხოლოდ წმინდა მეცნიერული უნდა იყოს... თუ საკითხის არსში უფრო ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ დღევანდელი საბჭოთა საზოგადოება მსოფლიო ისტორიის ახალი ფაზა კი არაა, არამედ რუსეთში არსებული აზიური წარმოების წესის აღდგენა-რეგენერაცია. ბიუროკრატია, ჩაგრული ხალხის მასები, სახელმწიფოს ჰიპერტროფირებული როლი, პიროვნების (ბელადის) კულტი, „საყოველთაო მონობა“ – ყველაფერი ეს ახალი მოვლენები როდია, ძველი რუსეთისა და საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის სიტუაციის განმეორებაა“ [35].

1950-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების, გეოგრაფების შრომებში შეიმჩნეოდა გეოგრაფიული

გარემოს როლის დაკნინება, ანდა მის მიმართ ზერელე დამოკიდებულება. იმ ისტორიკოსთა შრომებშიც კი, რომლებიც საწარმოო ძალების განვითარების ისტორიას განიხილავდნენ, სადაც წარმოუდგენელია, არ გაითვალისწინო ბუნებრივი პირობების როლი, ამ ფაქტორის მნიშვნელობამ ჯეროვანი ასახვა ვერ პოვა. „ჩვენში, როგორც მე მგონია, არსებობს გარკვეული შიში გეოგრაფიული ფაქტორის მიმართ, მისი მნიშვნელობა თეორიულ ასპექტში აღბათ სხვაგვარად უნდა გავიაზროთ იმიტომ, რომ ეს შიში შეიძლება იქცეს სერიოზულ წინააღმდეგობად ჩვენს მუშაობაში“ [45. 72].

შემდგომ პერიოდში გამოსულ ნაშრომებში ის ავტორები, რომლებიც ეხებოდნენ ამ პრობლემატიკას, იხსენიებდნენ ამ გამოსვლას. თუმცა რადგანაც ეს იყო ფაქტორივად ერთ-ერთი პირველი სერიოზული გამოსვლა ამ საკითხზე და ამავდროულად, სუსტი და არაერთაზროვანი პროტესტი არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ, მას არ შეეძლო შექმნილი მდგომარეობა კარდინალურად შეეცვალა. ბევრი ავტორი სერიოზულად ამტკიცებდა, რომ ბუნების კანონზომიერებები მოქმედებენ ადამიანზე, როგორც ბიოსოციალურ არსებაზე, მაგრამ არა ადამიანთა საზოგადოებაზე [56. 54]. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ სწორი დებულება საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოსათვის პირველი მიზეზის მნიშვნელობის მიკუთვნების შეუძ-

ლებლობის შესახებ, გადაიქცა მისი, როგორც ფაქტორის, მიზეზის, განვითარების ერთ-ერთი აქტიური და თანასწორუფლებიანი აგენტის ფაქტობრივ უარყოფად, რადგანაც დეტერმინიზმის პრინციპის აღიარება მხოლოდ სიტყვიერი განცხადების დონეზე ხდებოდა. ამას გარდა, ამ ნაშრომებში თეორიულად არ არის დასაბუთებული და პრაქტიკულად არ არის დადასტურებული, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს გეოგრაფიული გარემოს ერთი მნიშვნელობა მეორეთი: პირობები – წინაპირობით, საფუძვლით, მიზეზით, პირველმიზეზით და ა. შ.

მარქსია და ენგელს გეოგრაფიული გარემო ყოველთვის შეჰყავდათ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სისტემის დეტერმინატორებში როგორც პირობა და წანამძღვარი, როგორც საფუძველი და მიზეზი და, ამავე დროს, მიუთითებდნენ, რომ ბუნებასთან ურთიერთობისას განმსაზღვრელი როლი უკავია საზოგადოებას. „ეკონომიური ურთიერთობების ცნებაში შედის აგრეთვე გეოგრაფიული საფუძველი, რომელზეც ეს ურთიერთობები ვითარდება“ [22. 517].

გეოგრაფიული გარემოს ფაქტორი ძალზე ძნელად და მძიმედ იკავებს კუთვნილ ადგილს საზოგადოებრივი ცხოვრების დეტერმინატორ ფაქტორთა შორის. ცხადია, რომ გეოგრაფიული დეტერმინიზმი და დეტერმინიზმი გეოგრაფიაში სულაც არ

არის ერთი და იგივე. გეოგრაფიაში დეტერმინიზმის წინააღმდეგ გამოსვლას ყოველთვის მიუყვა-დით მატერიალური სამყაროს როლის შეუფასებლობამდე, სუბიექტურ შეცდომებამდე.

იგივე შეიძლება გავიმეოროთ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართ. დღეს არის ცდა გეოგრაფიული გარემოს ფაქტორის აღდგენისა თავის მოქალაქეობრივ უფლებებში. ცდა, რადგან გეოგრაფიული დეტერმინიზმის მეორე უკიდურესობის (ინდეტერმინიზმი – გეოგრაფიული გარემოს როლის დაკინიხბა) გამოვლინება ახლაც შეიმჩნევა (ნეონდეტერმინიზმი). „ორივე მოძღვრება ძირეულად არასწორია, მაგრამ თუ დეტერმინისტული მიმართულება მოხვდა ყოველმხრივი კრიტიკის ქვეშ, იგივე არ განმეორებულა გეოგრაფიული ინდეტერმინიზმის მიმართ, რომელმაც მიიღო რამდენამდე განსაკუთრებული ფორმა, რისთვისაც ჩვენ მას ვუწოდეთ გეოგრაფიული ინდეტერმინიზმი. დოგ-მატურად ხსნიდა რა ერთი რიგის ფილოსოფიურ დეპულებებს და აკნინებდა სხვების მნიშვნელობას, გეოგრაფიულმა ინდეტერმინიზმმა გამოავლინა დიდი აქტივობა. აქ აღბათ მართლდება წესი, რომლის მიხედვით ის შეცდომებია განსაკუთრებით საშიში, რომლებსაც ვერ ამჩნევენ“ [44. 285].

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების დამადასტურებლად, 1960 წელს საბჭოთა კავშირში გამოცემულ ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში გეოგრაფიული

გარემოს მნიშვნელობის ასხნა ამონურულია იმით, რომ ის არის მატერიალური საფუძველი საზოგადოების არსებობისათვის. არავითარ მეთოდოლოგურ, პრინციპული ხასიათის სიახლეს არ შეიცავს ამ მხრივ 1983 წელს გამოცემული ფილოსოფიურ-ენციკლოპედიურ ლექსიკონი. სამწუხაროდ, იმავე დონეზე იმყოფება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც.

რა თქმა უნდა, ასე დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ცალკეულ სტატიებთან ერთად, ამ ბოლო დროს გამოჩნდა სპეციალური მონოგრაფიები, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება. მათ შორის აღსანიშნავია ვ. ანუჩინის, ლ. გუმილიოვის, ა. დულოვის, ი. ბრომლეის, გ. ყორანაშვილის, გ. მარგიანის და რამდენიმე კოლექტიური ნაშრომები.

დასმული პრობლემა ერთ-ერთი ურთულეს-თაგანია იმ პრობლემებს შორის, რომლებსაც საზოგადოებრივი მეცნიერებები განიხილავენ, მით უფრო, რომ მის საფუძვლიან შესწავლას მხოლოდ ახლა იწყებს ჩვენი მეცნიერება. ამის მიუხედავად, სწორ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დადგომას ეს არ უნდა უშლიდეს ხელს, რის გარეშე შეუძლებელია პრობლემის სწორად გადაჭრა.

\* \* \*

ბუნებრივი პირობების გავლენა ადამიანზე ხშირად დაჰყავთ მის ანთროპოლოგიამდე, ანდა ცალკეულ პიროვნებაში (ვთქვათ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით) იკვლევენ ბიოლოგიურისა და სოციალურის მიმართებას. სხვა ჯგუფის გამოკვლევებში იგება მრავალგვარი სქემები ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულების შესახებ, რაც ცოტას გვეუბნება რომელიმე კონკრეტული საზოგადოების, კულტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ. საკითხის სირთულისაგან თავის დაღწევას ჰგავს მრავალრიცხოვანი კრებულების გამოსვლა სისტემის – „ბუნება-საზოგადოების“ შესახებ, სადაც მათი ურთიერთგავლენა, გამონაკლისის გარდა, ეკოლოგიურ პრობლემებზე დაიყვანება. ეს თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემა გახლავთ, მაგრამ საკითხის მასზე დაყვანა და ამით ამონურვა მიდგომის ცალმხრივობას იწვევს და შედეგსაც უაღრესად არადამაკმაყოფილებელს ვიღებთ. ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი წარმოადგენს ბუნებრივისა და სოციალურის ერთობლიობას და სოციალური შეიძლება იყოს მხოლოდ შედარებით დამოუკიდებელი ბუნებრივისაგან. ისინი მხოლოდ ერთიანობაში ქმნიან საზოგადოებრივ ცხოვრებას. აქედან გამომდინარე,

საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ვიწრო თვალ-საზრისით მიღვომა იწვევს ბუნებრივი ფაქტორის როლის შეუფასებლობას, მის გადაქცევას პასიურ და ინერტულ დეკორაციად. ამავე დროს, სოციალური წარმოჩნდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთ შემოქმედად. გეოგრაფიული გარემოს როლი ისტორიული განვითარების პროცესში, მისი გავლენა საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ და სულიერ პროცესებზე არ დევს საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევის ზედაპირზე და მათი დანახვა ადვილი არ არის. კიდევ უფრო ძნელი და სარისკო საქმეა სოციალურ პროცესებსა და მოვლენებში, საზოგადოებრივ თუ სოციალურ-სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში „ბუნებრივის კვალის“ დალანდვა. სამწუხაროდ, ეს მომენტები ისევ ნაკლებად შესწავლილი რჩება.

ჩვენ ხშირად ვწერთ და ვამბობთ, რომ გეოგრაფიულ გარემოს გარკვეული ადგილი უჭირავს ისტორიულ პროცესსა და თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთანავე, ხშირად გამორკვეული და გაცნობიერებული არ გვაქვს, რა არის მისი ეს როლი კონკრეტულად. სქემის სახით რომ წარმოვადგინოთ სისტემა „ბუნება-საზოგადოება“, აშკარად გამოჩნდება ის რგოლები, რომლებიც მის კომპონენტებს აკავშირებს და თვალნათლივ გამოჩნდება, თუ როგორ შეიძლება ისინი ერთმანეთისაგან მომდინარეობდნენ. ბუნების ის ნაწილი,

რომელზეც ამ ეტაპზე მოქმედებს ადამიანი, არის შრომის საგანი და მის თვისებებზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანთა კონკრეტული საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის ხასიათი; საწარმოო ძალების განვითარების დონე განსაზღვრავს მოცემული საზოგადოების განვითარების დონეს, მის ბუნებაზე ზემოქმედების კოეფიციენტს, მაგრამ თუ როგორი იქნება კონკრეტულად შრომის იარაღები, ეს დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე; საწარმოო ძალების კიდევ ერთი შემადგენელი კომპონენტია ადამიანი, რომლის შრომის ნაყოფიერებაზე, მისი რესურსების სიჭარბეზე ან სიმცირეზე დამოკიდებულია წარმოების ეფექტიანობა. ზემოთ ჩამოთვლილმა მომენტებმა არ შეიძლება კორექტივები არ შეიტანოს წარმოებით ურთიერთობებში, სოციალურ სტრუქტურაში, დაბოლოს, სოციალურ პროცესებში, რაც, თუ შეიძლება ითქვას, პროპორციულად აისახება ქვეყნის (ერის) კულტურაში.

სისტემის „ბუნება-საზოგადოება“ კომპონენტთა ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა სიბრტყეზე – გეოგრაფიული გარემო და ცალკეული ინდივიდი, გეოგრაფიული გარემო და სოციალური ჯგუფი, გეოგრაფიული გარემო და განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ეთნიკური ჯგუფები, გეოგრაფიული გარემო და სახელმწიფო. შემდგომში ვიმსჯელებ ჩამოყალიბებულ და მდგრად ეთნი-

კურ ჯგუფებზე და მათ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებზე.

ჩვენი ამოსავალი დებულება ის არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება განისაზღვრება წარმოების წესით ყოველგვარი „რანგების ტაბულის“ მიხედვით. მაშინ რომელი საფეხური უჭირავს გეოგრაფიულ გარემოს ამ იერარქიაში, ან რამდენად, რა ხარისხით განსაზღვრავს განსხვავებული ბუნებრივი გარემო საზოგადოებრივ ცხოვრებას? განსაზღვრავს იმდენად, რომ გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას კიდეც, ცივილიზაციების გარკვეული ერთიანობის მიუხედავად, კაცობრიობის ისტორია არის სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონისა და იქ ჩასახული ცივილიზაციის ისტორია. წარმოების წესის შემდეგ ისეთი ძირითადი მომენტებიც კი, როგორიცაა დამოკიდებულება კლასებს შორის, სოციალური სტრუქტურა, დამოკიდებულება საზოგადოებრივი და სოციალური ინსტიტუტების მიმართ და სხვა, მეტ-ნაკლებად განისაზღვრება გეოგრაფიული გარემოთი და ცალკეული ერის, ქვეყნის ისტორიული განვითარების სპეციფიკით.

გეოგრაფიული გარემოს როლის ხვედრითი წილის ზუსტი მათემატიკური სიდიდით გაზომვა მეტად ძნელი საქმეა. სხვადასხვა ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მან განსხვავებული როლი შეასრულა.

როცა საზოგადოების განვითარებას განვიხილავთ მოკლე ისტორიულ პერიოდში, მაშინ ნაკლებად ჩანს გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობა ამ საზოგადოების განვითარებაში. რაც უფრო დიდია ის ისტორიული მონაკვეთი, რომელსაც განვიხილავთ, მით უკეთ ჩანს საზოგადოებაზე აღნიშნული ფაქტორის ზემოქმედების კანონების როლი და მნიშვნელობა. აქედან, ცხადია, გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემატიკაზე მუშაობისას აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.

გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება საზოგადოებაზე უსასრულოა დროში. მოცემული ბუნებრივი პირობები მუდმივად მოქმედებენ კონკრეტულ ქვეყანაზე, ერზე და ამ ფაქტორის ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ცხოვრების წესის, კულტურის ნიშნები თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული გარემოს საზოგადოებაზე ზემოქმედების ხასიათი იცვლება ისტორიულ ეპოქებთან ერთად. მაგალითად, საქართველოს ბუნებრივი პირობები არსებითად არ შეცვლილა იმ დიდი გარდაქმნების ფონზე, რაც განიცადა ქართველმა ერმაჯერ 1801, ხოლო შემდეგ 1921 და 1991 წლების შემდეგ.

ის ტერიტორია, რომელზეც განსახლებულია ესა თუ ის ერი, არ არის მისი არსებობის მხოლოდ მატერიალური პირობა. გეოგრაფიული გარემო არის ეთნოგენეზის პროცესის ერთ-ერთი პირველი განმსაზღვრელი და მახასიათებელი და ერის (ხალხის) ისტორიული განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი დეტერმინატორი. აი, რას წერს ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ლ. გუმილიოვი ამასთან დაკავშირებით: „თავისი ჩამოყალიბის მომენტში ეთნოსი ეთანაწყობა გარკვეულ ლანდშაფტს. შემდეგ პერიოდში, გადასახლების თუ განსახლების დროს, ეთნოსი ეძებს ისეთ მხარეს, რომელიც ემგვანება იმ ტერიტორიას, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად, უგრები უპირატესად განსახლდნენ ტყეებში; თურქები და მონღოლები – სტეპებში; რუსები, ითვისებდნენ რა ციმბირს, სახლდებოდნენ ტყიანსა და ტყე-სტეპიან ზოლში და მდინარეების ნაპირებზე; ინგლისელებმა აითვისეს უფრო ზომიერი კლიმატის ტერიტორიები (კანადა, ახალი ზელანდია და ა. შ.), ვიდრე ესპანელებმა (სამხრეთ ამერიკა). გამონაკლისი, რა თქმა უნდა, გვხვდება, მაგრამ მხოლოდ დასაშვებ ფარგლებში“ [49. 51].

„ერის არსებობა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს მის კომპაქტურ განსახლებას გარკვეულ ტერიტორიაზე. ერი შეიძლება ჩამოყალიბდეს დიდი ხნის განმავლობაში ერთობლივი სამეურნეო

მოღვაწეობის შედეგად, რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ტერიტორიის ერთობას, რომელიც წარმოების წესის საშუალებით თავის დაღს ასვამს ერს და ანიჭებს მას გარკვეულ თავისებურებებს, რასაც ეროვნულ ხასიათს უწოდებენ. ტერიტორიისა და სამშობლოს გარეშე არ არსებობს ერი!“ [43. 327]. მინდა დავუმატო, რომ ტერიტორიის მთლიანობა, ამ შემთხვევაში, გულისხმობს მის კონკრეტულობას, მის ჩამოყალიბებულ სახეს. რამდენიმე ერი (ხალხი) შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთგვაროვან გეოგრაფიულ გარემოში, მაგრამ ერთი ერი არ შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში, სამშობლო ერთია და მას კონკრეტული სახე უნდა ჰქონდეს.

ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში გეოგრაფიული ფაქტორის ფუნქცია არ ამოიწურება ერად ჩამოყალიბების შემდეგ. ჯერ ერთი, ერად ჩამოყალიბების დროს გეოგრაფიული ფაქტორი განსაზღვრავს მისი ცხოვრების მრავალ მხარეს, რომელიც ამიერიდან მის უპირველეს მახასიათებელს წარმოადგენს და, მეორე, ერი არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც სულ მუდამ განაგრძობს თვითშემეცნებას. ერის იდენტობა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა გარკვეულ ისტორიულ, კულტურულ და გეოგრაფიულ გარემოში. ასევე, მოცემულ გარემოში ხდება დღესაც ეროვნული თვითშეგნების განვითარება.

გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ერის, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ფორმირებაზე. გარკვეულწილად უკვე ვიმსჯელე გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საწარმოო ძალების განვითარებაში. ცნობილია, ასევე, გეოგრაფიული გარემოს განმსაზღვრელი როლი ხალხთა კულტურულ-სამეურნეო ტიპებად ჩამოყალიბებაში.

ეკონომიკური ცხოვრების ერთობა გარკვეულად ახალი ეპოქის შედეგია, მაგრამ ეს დებულებაც არ უნდა გამოვშიგნოთ და ცალმხრივად არ უნდა გავიგოთ. სოფლის მეურნეობა ისევეა ეკონომიკა, როგორც მრეწველობა და რა გამოდის? ვთქვათ, ორი საუკუნის წინ საქართველოს სოფლის მეურნეობას არ ჰქონდა თავისი დასრულებული სახე? ჩვენ გვესმის, იმის გარდა, რომ ამ ეპოქების საწარმოო ძალების განვითარების დონეთა შედარება არ შეიძლება, დღევანდელ საქართველოში არის ისეთი კულტურები, რომლებზეც მაშინ წარმოდგენაც არ ჰქონდათ (ჩაი, სიმინდი, კარტოფილი, კომბოსტო, ბადრიჯანი და სხვა). მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს პრინციპს სრულებით არ ცვლის. ვიმეორებ, ახალმა ეპოქამ მხოლოდ ახალი დროის შესაბამისი სახე მისცა და „ახალ სიმაღლეზე“ აიყვანა ის და როცა ეკონომიკური ცხოვრების ერთობის წარმოქმნას მხოლოდ უახლოეს პერიოდს ვუკავშირებთ, ამით ეს რთული მოვლენა ტექნოლოგიურ პროცესამდე დაგვყავს.

სხვადასხვა თემი მის გარშემო არსებულ ბუნებაში სხვადასხვა წარმოების საშუალებას და სხვადასხვა საარსებო საშუალებას პოულობს. ამიტომ მათი წარმოების წესი, ცხოვრების წესი და პროდუქტები სხვადასხვანაირია. მაშ ასე, გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება საზოგადოებაზე სულაც არ ამოინურება ეკონომიკით. ის დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა ბიო-სოციალური განვითარების მრავალ მხარეზე. მაგრამ, მაინც რამდენად საგრძნობი და რეალურია გეოგრაფიული გარემოს გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობათა არაწარმოებით სფეროზე? იქნებ თანამედროვე ინფორმაციის, კომუნიკაციის, ურბანიზაციის, ინტეგრაციის და, გარკვეული აზრით, ნიველირების ეპოქაში ეს მხოლოდ არქაულობის ნიშანი იყოს? სულაც არა. კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპებზე ადამიანი უფრო მეტად იყო დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალობაზე ადამიანის უშუალო დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე მცირდება, გაშუალებული კი, პირიქით – იზრდება.

ეროვნულ-ისტორიული მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ-გეოგრაფიულთან და არ არის გასაკვირი, როცა სხვადასხვა ერს შორის არსებულ განსხვავებულობას აძლიერებს გეოგრაფიული გარემოს სხვადასხვაობა, მაგრამ რით შეიძლება აიხსნას ერთი ეთნიკური ერთეულის შიგნით არსებული

განსხვავებულობანი? „გეოგრაფიით“ და მხოლოდ „გეოგრაფიით“. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა „სპეციფიკური“ მისი ყოველდღიური მნიშვნელობით. აი, უმრავლესობისათვის მისაწვდომი მაგალითი: მეგრელებიც და თუშებიც ქართველები არიან, მაგრამ მათი ყოფა მაინც დიდად განსხვავდება, რადგან არსებობს განსხვავება ბუნებრივ პირობებსა და ყოფით ტრადიციებში: შრომაში, კულტურაში, მშენებლობის ტიპებში, ტანსაცმელში, კვების რაციონში და საჭმლის მომზადების წესებში.

თუ არსებობს წარმოების აზიური წესი, მაშინ, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა ვიგულისხმოთ აზიური ცხოვრების წესის არსებობაც. წარმოების აზიურმა წესმა გამოიწვია რეგიონის არა მარტო სამეურნეო ცხოვრების გაყინვა, არამედ სოციალური და კულტურული ცხოვრების სტაგნაცია. საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის შეგნებაში მყარად შევიდა აზროვნების გარკვეული სტერეოტიპები, კომპლექსები, სულიერი ღირებულებები. აზიური მეურნეობა და საერთოდ საზოგადოება არ იყო დინამიკური, მასში არ იყო მოცემული ორი ან რამდენიმე საწყისი. შესაბამისად, არადინამიკური, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იყო ამ რეგიონის მოსახლეობის აზროვნება და მიდრეკილებები, მათი ცხოვრების წესი. დღეს, როცა ეს ქვეყნები გარედან იღებენ განვითარები-

სათვის საჭირო მძლავრ იმპულსებს (განვითარებული ქვეყნების გავლენა), მათდა სამწუხაროდ და ჩვენდა გასაკვირად, სწრაფად როდი მოხდა მათი გარდაქმნა. ეს იმიტომ, რომ ყველაფერ მათეულს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და თითქმის ბიოლოგიური თვისების გამძლეობა შეიძინეს და, რაც მთავარია, მათვის გრძელდება გეოგრაფიული ფაქტორის ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობით არსებობა.

ადამიანის გარემომცველი სამყაროს საგნები ხდებიან რა მეცნიერული და მხატვრული შემეცნების ობიექტები, აისახებიან ადამიანის შეგნებაში. როგორც მეცნიერული, ასევე მხატვრული შემეცნება არის ადამიანისა და ბუნების, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთზემოქმედების ერთიანი პროცესი. გეოგრაფიული გარემოს ისეთი თვისებები, როგორებიცაა: განათება, რიტმი, ფერები, ლანდშაფტის მოხაზულობა, მისი პროპორციულობა, ქვეცნობიერად მოქმედებს და აისახება ადამიანის საქმიანობაზე. მაგალითად, განათება დიდად განსაზღვრავს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ამავე დროს, კარგი ამინდი, სითბო და სინათლე ადამიანისათვის ნიშნავს ცხოვრების წყაროს, პროგრესს, სიკეთეს.

ქვეყნის ტერიტორიის სიდიდემ ან თვისებრივ-მა მაჩვენებლებმა შეიძლება განაპირობოს ცხო-

ვრების წესის და კულტურის სხვადასხვა სფეროს სპეციფიკა. მაგალითად, იაპონელები მძიმე დღეში არიან ტერიტორიის ნაკლებობის გამო. ამიტომ ისტორიულად ისინი ცდილობენ მის მაქსიმალურ გამოყენებას, რამაც ერი მიიყვანა საერთოდ სივრცის ოპტიმალურ გამოყენებამდე და მინიატიურული საგნების კულტამდე. თუ ეს მტკიცება სწორია, მაშინ გავავრცოთ იგი. ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოშვებული მანქანა-დანადგარები პირველ ადგილზე შეიძლება აღმოჩნდნენ თავიანთი სიდიდით, ფიზიკური კონდიციებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნის უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმული ტერიტორიებიც შეიძლება იყო. ადამიანი ამ შემთხვევაში ქვეცნობიერად ამსგავსებს მის მიერ შექმნილ საგნებს მის გარშემო ბუნებაში არსებულს და აზროვნებს იმ მასშტაბებით, როგორშიც უხდება ცხოვრება. ამას შეიძლება ისიც ადასტურებდეს, რომ ტექნიკურად უაღრესად განვითარებულ აშშ-ში არ არსებობს მინიატიურულის კულტი.

საყურადღებოა შემდეგი ისტორიული და კულტუროლოგიური ფაქტი: მონღლოლთა პოლიტიკური და კულტურული ექსპანსიის შემდეგ, რუსულ არქიტექტურაში გავრცელდა ე. წ. კარვისებური სტილი, რაც მომთაბარე მონღლოლების ტრადიციულ საცხოვრისთან – კარავთან იყო დაკავშირებული.

რა შეიძლება ითქვას ფსიქიკური წყობისა და ცხოვრების წესის ბუნებრივ პირობებთან დამოკი-

დებულებაზე? ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ამტკიცებდა, რომ: „არსებობენ მთიანი, ტყიანი თუ წყლიანი ადგილების მსგავსი ბუნების ადამიანები, სხვები კი ხრიოკ და უწყლო ადგილებს ჰგვანან; ზოგი-ერთი საკუთარ თავში მდელოებისა და ტბების ბუნებას ატარებს, სხვას კი დაბლობების, მშრალი და ტრიალი მინდვრების ბუნება შეეფერება“ [47. 294]. ფსიქიკურ წყობაში უნდა ვიგულისხმოთ დღეს უფრო გავრცელებული ტერმინი – ეროვნული ხასიათი, რომელიც კულტურის განუყოფელი ნაწილია და ხშირად რელიეფურადაც კი აისახება მასში. ცხოვრების წესი გარკვეულად არის „მანერა“ საგნებისა და მოვლენების აღქმისა, რომელიც სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს აუცილებლად სხვადასხვაგვარი ექნებათ და ექნებათ იმიტომ, რომ მათ ხასიათის სხვადასხვა ნიშანი აქვთ. ქართულ ენაში ვხმარობთ გამოთქმას – ბუნებრივი ხასიათი, რაც ნიშნავს, რომ ხასიათი არის ობიექტური, მაგრამ, ამავე დროს, უნდა ჩავწედეთ მის თავდაპირველ და პირდაპირი აზრით გაგებულ მნიშვნელობას – ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე.

ნებისმიერი ქვეყანა არის ხალხის, ბუნებისა და კულტურის ერთიანობა. ყოველივე ეს კარგად არის ნაჩვენები დიმიტრი ლიხაჩოვის შრომებში, სადაც დიდი რუსი კულტუროლოგი ერთმანეთს უკავშირებს რუსი ხალხის სიკეთესა და თავისუფლებისა-

კენ სწრაფვას, როგორც ერის თვისებებს. და თავის სამშობლოს ბუნებას. იქვე ავტორი აჩვენებს, რამხელა გავლენას ახდენს რუსეთის ტრამალები რუსი ადამიანების თვისებებზე და პირიქით: „რუსი ადამიანებისათვის ბუნება მუდამ თავისუფლებასა და სილალეს ნიშნავდა. დაუკვირდით თვით ენას: თავისუფლად გასეირნება, სამშვიდობოზე გასვლა. თავისუფლება – ხვალინდელ დღეზე საზრუნავის არარსებობას, ანმყოში უდარდელ, ნეტარ ჩაღრმავებას გულისხმობს...“

რუსი გლეხი თავისი მრავალსაუკუნოვანი შრომით ქმნიდა რუსული ბუნების სილამაზეს. ის მიწას ხნავდა და ამით მას გარკვეულ გაბარიტებს ჰკარნახობდა. ის თავის სახნავ მინდორს გუთნით ჩამოულიდა და ზღვარს ავლებდა. რუსულ ბუნებაში თითოეული სამანი თანაზომიერია ადამიანისა და ცხენის შრომისა, ადამიანის უნარისა, გუთანში შებმულ ცხენს გაჰყოლოდა, უკან მობრუნებულიყო, შემდეგ კი იგივე გზა კვლავ გაევლო. ადამიანი მიწას ეფერებოდა და მთელ მის ამობურცულობებს, ბორცვებს თუ ლოდებს ასწორებდა. რუსული ბუნება ლბილია, გლეხის მიერ განსაკუთრებულად მოვლილი. გლეხის მიერ მიწის გუთნით, კავით, ფარცხით დამუშავებით არა მხოლოდ იქმნებოდა პურის ყანების „ლასტები“, არამედ იკვეთებოდა ტყის საზღვრები და ნაპირები, ხდებოდა ტყიდან

ველისაკენ, ველიდან მდინარისა თუ ტბისაკენ  
თანდათანობითი გადასვლა...

თანაც რა გულმოდგინედ ასწორებდა ადამიანი  
ბორცვებსა და აღმართ-დაღმართებს. აქ მხვნელ-  
მთესველის გამოცდილება ისეთი პარალელური ხა-  
ზების ესთეტიკას ქმნიდა, რომლებიც ერთურთსა  
და ბუნებას ისე ჰარმონიულად ერწყმოდა, როგორც  
ხმები – ძველრუსულ საგალობლებში. მხვნელი  
კვალს კვალზე ისე ავლებდა, თითქოს თმას ვარ-  
ცხნის და ღერს ღერთან ასწორებსო, სახლსაც ასე  
აშენებდა: მორს მორთან აწყობდა, კოჭს – კოჭთან,  
მესერსში: ლატანს – ლატანთან, თვით სახლები კი  
მდინარის თუ გზის გასწრივ ისე აწყობილად ჩამ-  
წკრივდებოდნენ, წყლის დასალევად გამოსული  
ნახირი გეგონებოდათ“ [53. 17-18].

რა თქმა უნდა, საინტერესოა ერის ფსიქოლო-  
გიურ ლაბირინთებში გზის გაკვლევა და გარკვეუ-  
ლი გამოცანებისა და ერთი შეხედვით აუხსნელი  
თავისებურებების განმარტება, მაგრამ მარტო ეს  
როდი ამოძრავებს მეცნიერს. დღეს ფსიქოლო-  
გიურმა პრობლემებმა მიიღეს საზოგადოებრივი  
მნიშვნელობის ხასიათი. მათი გადაწყვეტა მრავალ  
შემთხვევაში არის აუცილებელი პირობა გეოგრა-  
ფიული ფაქტორის როლის სწორად გადაწყვეტისა  
საზოგადოებრივი განვითარების პროცესში.

ერის ენა გარკვეულად გამოხატავს ერისავე  
შინაგან ბუნებას, იმას, რაც ორივეს ბუნებრივ პი-

რობებთან წილნაყრობით აქვს შეძენილი. ბუნების ზემოქმედება ენის ხასიათზე მეტნილად პირდაპირი შეიძლება იყოს. საყურადღებოა ასეთი ფაქტი: იმ ხალხებს, რომლებიც თურქულენოვანთა მოდგმას განეკუთვნებიან, სიტყვა „კედლის“ აღმნიშვნელი საკუთარი შესატყვისი არ გააჩნიათ. გასაგებია, იმ ხალხებისათვის, რომლებიც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, თავიდანვე არ წარმოქმნილა სიტყვა „კედლის“ ხმარების აუცილებლობა, რადგანაც ისინი კარვებში ცხოვრობდნენ და კარვის კალთა სახლის კედლის სინონიმად ვერ იქცეოდა. უფრო გვიან პერიოდში, მათს ენაში, რა თქმა უნდა, უკვე გაჩნდა შესატყვისი ტერმინი, მაგრამ სხვა ენიდან შესული. მაგალითად, თურქულში სიტყვა „კედელი“ (დუვარ) შევიდა სპარსული ენიდან.

ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა თუ ხელოვნების რომელიც გნებავთ დარგი მხოლოდ მაშინ არის ლირებული, როცა ის ეროვნულ პრიზმაშია გადაწყვეტილი.

მხატვრული ნაწარმოებების გაცნობისას ხშირად იგრძნობა, დედამინის რომელ რეგიონშია ის შექმნილი. შემოქმედი, ნებით თუ უნებლიათ, გასცემს თავის სადაურობას გარემომცველი ბუნების აღწერისას. „გეოგრაფიის კავშირი ხელოვნებასთან – იქნება ეს მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია თუ მხატვრული ლიტერატურა, საყოველთაოდაა ცნობილი. ხელოვნება ისტორიული და სივრცობრივია!

არსებობს მხატვრული წარმოსახვის სივრცობრივი განსაზღვრულობა (სარიანი წარმოუდგენელია სომხეთის გარეშე, ჩაიკოვსკი – რუსეთის გარეშე). სივრცობრივი განსაზღვრულობა კი, – ეს არის გეოგრაფიული გარემოს გავლენა ხელოვნებაზე” [43. 315].

დედამიწა სიცოცხლის პირველაკვანი, მშვენიერების ამოუწურავი წყაროა. არაფერშია იმდენი ესთეტიკა და პოეზია, რამდენიც ბუნებაშია – ცოცხალსა თუ არაცოცხალში. ამიტომაც ესოდენ ღრმად და სისხლხორცეულად უკავშირდება ბუნებას ხელოვნება. ტყუილად როდი ამბობს იტალიური რენესანსის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი – ჩენინო ჩენინი: „ყველაზე დიდი მაესტრო, რომელსაც ხელოვნებისაკენ ტრიუმფალური თალით მივყავართ, ნატურიდან ხატვაა. იგი ყველა ნიმუშზე მაღლა დგას“ [5. 15]. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებიდან, სადაც მხატვარი უმაღლეს ოსტატობას აღწევს ბუნების სურათების აღწერისას. მაგრამ ლანდშაფტებისა და ბუნებრივი პირობების სხვა კომპონენტების დანიშნულება მხოლოდ ის არ არის, რომ „შეავსოს“ მხატვრული ნაწარმოების შინაარსი. „გარდა ამისა, სხვადასხვაგვარი ბუნება, რომელიც ამა თუ იმ ეთნოსს ერტყა, სხვადასხვანაირ ესთეტიკურ გრძნობას განაპირობებდა. მაგალითად, იტალიის ბუნება მისი ლანდშაფტების ნაირგვარობით,

ხმელთაშუა ზღვის რბილი ჰავით, მზის შედარებით მაღალი რადიაციით და ა. შ. ადამიანს სხვაგვარ წარმოდგენას უქმნის მშვენიერებაზე, ვიდრე, ვთქვათ, ტუნდრის ზონის ჩუკოტკა – აქ მცხოვრებ ჩუქჩებს“ [34. 22]. ამ დებულების დასადასტურებლად გამოდგება ერთი რუსული ხალხური ლექსი, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორ გახდა რუსეთის ბუნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები მთელი ერისათვის ესთეტიკურობის ნიშნების სიმბოლოებად:

„სიმაღლე, სიმაღლე ცარგვალისა,  
უძირო წიაღი ზღვისა, ოკეანისა.  
ფართოდ გაჭიმულა ქვეყანა,  
ლრმაა ჭაობები დნეპრისა“.

იგივე განცდა მეუფლება ვაჟა-ფშაველას ლექსის კითხვისას:

„გაღმა სჩანს ქისტის სოფელი  
არწივის ბუდესავითა, –  
საამო არის საცქერლად  
დიაცის უბესავითა“.

სილამაზის, მშვენიერების კრიტერიუმი განსხვავებულია სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მცხოვრები ხალხებისათვის და არ არსებობს მშვენიერების აბსოლუტური, ყველასათვის მისაღები კრიტერიუმი. ამ აზრს კარგად ადასტურებს ენგელსის სიტყვები, როცა ის იტალიის ბუნების შესახებ აღმატებით ხარისხში წერს: „მისი ყოველი

ხე, ყოველი წყარო, ყოველი მთა მეტისმეტად პირ-ველ რიგზეა გამოწეული, ამავე დროს კი მისი ცა მეტისმეტად ლურჯია, მისი მზე მეტისმეტად თვალისმომჭრელია, მისი ზღვა მეტისმეტად გრანდიოზულია“ [22. 74].).

ცნობილია, საკუთარი სახლის კვამლი თვალებს არ წვავს, პირიქით, ყოველივე მშობლიური უფრო ახლოა გულთან და თავისი ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს ცალკეული კომპონენტები ხშირად გან-საკუთრებულ აზრს იძენენ ადამიანის შეგნებაში. კ. პაუსტოვსკი წერდა ორიოლის ოლქის ბუნების შესახებ: უბრალოება, რა თქმა უნდა, უფრო ახლოა გულთან, ვიდრე სხვადასხვა ფერთა ფეიერვერკი. ლანდშაფტის ერთფეროვნების პირობებში უფრო ნათლად ჩანს მიწის მთელი სილამაზე, უფრო მახ-ვილი ხდება ადამიანის თვალი [ციტ. 53. 128].

ახლა გასაგები უნდა იყოს, თუ რა ფსიქოლოგია ჰქონდათ იმპერიის ჩინოვნიკებს, როცა ქართული ეკლესია-მონასტრების კედლებს ათეთრებდნენ და როცა მთისა და პარის გასწორებას ცდილობდნენ საქართველოში.

თუ ჩვენთვის მიუღებელია ცენტრალური რუსე-თის ბუნების ზემოთ აღნერილი ექსპრესიული აღ-ქმა, ყოველ შემთხვევაში, გონების კარნახით, გა-საგებია, თუ რა იწვევს პოეტის ამგვარ აღტაცებას.

არის შემთხვევები, და არც ისე იშვიათად, როცა ერთის ესთეტიკა საფუძველშივე მიუღებე-

ლია მეორისათვის. მუსიკის შექმნის საფუძველთა აბსოლუტურმა სხვადასხვაობამ (ძირეული განსხვავება ორი სამყაროს გეოგრაფიულ გარემოში) დასავლეთში და აღმოსავლეთში მიგვიყვანა ორი სამყაროს მუსიკოსთა მიერ ერთმანეთის შემოქმედების შეუწყნარებლობამდე. იაპონური კულტურის მკვლევარს, გ. გრიგორიევას მოჰყავს ჰ. ბერლიოზის გამონათქვამი ჩინური მუსიკის შესახებ, რომლის მონოტონურობა და ერთფეროვნება მის-თვის მიუღებელია. ბერლიოზის აზრით, აღმოსა-ვლეთის ხალხები მუსიკას უწოდებენ იმას, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ხმაურს ვუწოდებთ. თუმცა, ვალში არც ბერლიოზის ადრესატები დარჩენილან. მათი აზრით, ევროპელთა მუსიკაში ყველა საკრა-ვი თავისთავად დუდუნებს, ისინი ერთმანეთზე არ ფიქრობენ და არ ესმით ერთმანეთის ენა [48. 263].

გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებით გამოწვეულ რა თავისებურებებზე შეიძლება ლაპარაკი ურბანიზაციის თანამედროვე დონის პირობებში? გასაგებია, როცა ასეთი ნიშნები შეიმჩნევა სო-ფლად, მაგრამ მოითმენს კი დიდი ქალაქი თავი-სი სტანდარტული ბინათმშენებლობით არსებით განსხვავებებს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო? და ეს მაშინ, როცა გრძელდება კაცობრიო-ბის „სოფლელი“ ნახევრის მოძრაობა ქალაქისაკენ, რაც ნებით თუ უნებლიერ აძლიერებს ნიველირე-ბის პროცესს.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? განვითარებულ ქვეყნებში მთელი ძალებით ცდილობენ, ზღვარი დაუდონ ურბანიზაციის შემდგომ ზრდას. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ქალაქი-სათვის ძალზე ძნელია ოპტიმალური ინფრასტრუქტურის შექმნა. არა, ადამიანებს აღარ სურთ რკინა-ბეტონის ყუთებში ცხოვრება! მაშინ როგორში? ყველა ხალხის წინაპრებმა, საუკუნეების განმავლობაში, ემპირიული გამოცდილების დაგროვების გზით, ააგეს ადგილობრივი ლანდშაფტისა და კლიმატური პირობებისადმი ოპტიმალურად მისადაგებული საცხოვრებელი სახლები, რისი უარყოფაც, რა დონესაც არ უნდა მიაღწიოს მშენებლობისა და არქიტექტურის ხელოვნებამ, არავის მოუტანს სიკეთეს. პირიქით, უკვე კარგა ხანია, მსოფლიო მასშტაბით იგრძნობა ტენდენცია ქალაქთმშენებლობის (აღარაფერს ვამბობთ სოფლებსა და ქალაქის ტიპის დაბებზე) ეროვნულ (ბუნებრივ) საწყისებზე დაფუძნებისა. ურბანიზაციის ეპოქაში ადამიანი სულ უფრო მეტად ქმნის თავისი ცხოვრების ხელოვნურ პირობებს, რომლებიც დიდი სტანდარტულობით ხასიათდებიან, რის შედეგადაც, ასე ვთქვათ, ქრება ტერიტორიული სპეციფიკა მათს ცხოვრებაში. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება აბსოლუტურად სტანდარტულ პირობებში და გეოგრაფიული მრავალფეროვნება არის მისი არსებობის ერთ-ერთი უპირველესი პირობა.

ყველასათვის ცხადია პირდაპირი კავშირი ბუნებრივ პირობებსა და ადამიანის ბიოლოგიურ მდგომარეობას შორის. ზედმეტად ცხელი და ზედმეტად ცივი კლიმატური პირობები, უწყლო უდაბნო და ჭაობიანი ადგილები სხვადასხვანაირად მოქმედებენ ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე, მის ჯანმრთელობასა და ნებელობაზე. ყოველივე ამან, რასაც ემატება ცხოვრების პირობებისა და რიტმის შეცვლა, კვების რაციონის მრავალფეროვნება და სხვა, განაპირობა ახალი ქვედისციპლინის – ადამიანის ეკოლოგიის გაჩენა.

ახალ ეპოქაში აქტიურად მიმდინარეობს ახალი ტერიტორიების ათვისება, რასაც თან უნდა სდევდეს ამ ტერიტორიის ნინასწარი, ასე ვთქვათ, სამედიცინო შემოწმება, თუ რამდენად ვარგისია ის ადამიანის ნორმალური არსებობისათვის. გაჩნდა ახალი დარგი, რომელიც წარმოიშვა მედიცინისა და გეოგრაფიის ინტეგრაციის შედეგად – სამედიცინო გეოგრაფია. სამედიცინო გეოგრაფია შეისწავლის ჯანმრთელობის გეოგრაფიას, ჯანმრთელობის კერებს. იმას, თუ როგორ პირობებში არის უკეთესი ჯანმრთელი ცხოვრების წესის შენარჩუნება. იგივე მეცნიერება შეისწავლის ავადმყოფობათა გეოგრაფიას. ემპირიული გამოცდილების დაგროვებისა და სოციოლოგიური გამოკვლევების საშუალებით ასეთი კანონზომიერების დადგენაც გახდა შესაძლებელი. ეს იმის საშუალებას მაინც იძლევა, და-

ვადგინოთ ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზები, სად და რომელ დაავადებას ვებრძოლოთ. სამე-დიცინო კლიმატოლოგიის წინაშე ცხოვრება სვამს ბიოკლიმატური ატლასების შედგენის ამოცანას. ეს უნდა იყოს კომპლექსური მეცნიერულ-საცნობარო ხასიათის გამოცემა, რომელშიც განზოგადებული იქნება მთელი ჩვენი ცოდნა ამინდისა და კლიმა-ტის გავლენის შესახებ ადამიანის ორგანიზმზე, მის ჯანმრთელობაზე, შრომასა და ცხოვრებაზე. ყოვე-ლივე ამას აქვს არამარტო მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ბუნებისა და ადამიანის შესახებ მეცნიერების ასეთ ურთიერთგამდიდრებასა და ურთიერთშერწყმას, ცალკეულ ადამიანში თუ ადამიანთა დიდ ჯგუფებში (ხალხი, ერი) სოციალურისა და ბუნებრივის ურ-თიერთობის დადგენას.

რაც უფრო მრავალფეროვანია გეოგრაფიული გარემოს შემადგენელი კომპონენტები სიმრავლის თვალსაზრისით, მით უფრო მრავალფეროვანი შეიძლება იყოს საზოგადოებაში წარმოშობილი მოთხოვნილებები. ბუნებრივი პირობების ერთფე-როვნება, გეოგრაფიული გარემოს შემადგენელი კომპონენტების სიღარიბე იწვევს საზოგადოებაში წარმოშობილი მოთხოვნილებების ერთფეროვნე-ბას. ეს კარგად ჩანს აზის, ტროპიკისპირა და, არა მარტო საერთოდ ჩრდილოეთის ხალხების, არამედ

ჩრდილო-დასავლეთი ევროპის ხალხების მაგალითზეც. ის ფაქტი, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია ბრინჯის კულტურის მოყვანით, დიდად განაპირობებს მათ ყოველდღიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ რეგიონებში მოსახლე ხალხების კულტურაში შეიმჩნევა მეტ-ნაკლები ცალმხრივობა.

მსგავს გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ და ერთნაირი სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ სხვადასხვა ეროვნების ხალხებსაც კი ძალზე მსგავსი ცხოვრების წესი და კულტურა აქვთ. „ეროვნული ჩვეულებებისა და ტრადიციების წარმოშობის ერთ-ერთ უპირატეს პირობას და მიზეზს გეოგრაფიული გარემოც წარმოადგენს. აქ იგულისხმება საცხოვრებელი ადგილის კლიმატური პირობები, ლანდშაფტი, მდინარეები, მთები, იზოლირება ან კავშირი სხვა ერებთან, მოსახლეობის მოძრაობა, რელიგიური განფენილობა და სხვა.“

მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც 20-მდე სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, ერთნაირი კლიმატური, მატერიალური და ისტორიული გარემო მათი ჩვეულებებისა და ტრადიციების წარმოშობა-განვითარებას თითქმის ერთ მიმართულებას აძლევს. ამდენად, ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც

ამბობენ, გეოგრაფიული გარემო ცეკვებშიც კი ვლინდება“ [16. 13].

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართველებისა და ბასკების შესაძლებელი ნათესაობის საკითხი. მეცნიერები დაობენ, არიან თუ არა ისინი საერთო წარმომავლობის ხალხები და რომელი ტერიტორია უნდა მივიჩნიოთ მათი თავდაპირველი განსახლების არეალად. დავუშვათ, რომ ისინი მონათესავე ხალხები არიან და მათი ერთი ნაწილი ოდესალაც გადასახლდა სხვა ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი დასახლდნენ არა ნებისმიერ ტერიტორიაზე, არამედ ისეთზე, რომელიც თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით მსგავსი იყო მათი თავდაპირველი სამშობლოს ბუნებისა. ან უნდა დავუშვათ საწინააღმდეგო: ისინი არ არიან მონათესავე ხალხები და მხოლოდ ბუნებრივმა პირობებმა განაპირობეს დიდი მსგავსება მათ სამეურნეო, ყოფით და სულიერ ცხოვრებაში. ორივე შემთხვევაში რეალობად უნდა მივიჩნიოთ, რომ მსგავსებამ გარემო პირობებში განაპირობეს მათი ოდინდელი მსგავსების შენარჩუნება უკვე თანამედროვე ეტაპზე.

გეოგრაფიული გარემოს ცალკეული ელემენტების, მათი დაჯგუფებებისა და ერთობლიობის სპეციფიკა განსაზღვრავს მრავალ ეროვნულ თვისებას. ასეთად უნდა ვიგულისხმოთ არსებითი, განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც მეტ-ნაკ-

ლეპად განასხვავებენ მას სხვა ერისაგან და არა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი ატრიბუტები. იმავე დროს, არ არსებობს, ვთქვათ, „წმინდა ქართული“ ხასიათის თვისება. იგივე თვისება (ან თვისებები) შეიძლება ახასიათებდეს სხვა ერებ-საც. უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ქართველებში ეს თვისებები გარკვეული სახით, დაჯგუფებით თუ თანამიმდევრობით წარმოგვიდგება და ისტორიული, ბუნებრივი და სხვა სახის სპეციფიკის გამო არსებული, უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო, რომელიც ისტორიული ვითარების, მიზეზთა და მიზეზთა გამო შეიძლება შეიცვალოს ან სხვა შეფერილობა მიიღოს. ამავე დროს, ერის ცხოვრების წესი, მისი კულტურა არ ამოიწურება ეროვნული ნიშნებით. ინტერნაციონალური არ არსებობს ცალკე. ის არსებობს მხოლოდ ეროვნულში. არ არსებობს ინტერნაციონალური ეროვნულის გარეშე და ეროვნული არის საერთო საკაცობრიოს არსებობის საფუძველი.

როდესაც თანამედროვე ცხოვრების მზარდ ინტერნაციონალიზაციაზე ვმსჯელობთ, არ უნდა გავაკეთოთ ისეთი დასკვნა, რომ ინტერნაციონალური საბოლოოდ გადაფარავს ეროვნულს, ინტერნაციონალური და ეროვნული სულაც არ არის ერთმანეთის გამომრიცხველი მოვლენები და ეროვნული არ არის ინტერნაციონალურის უკუპროპორციული. ეს არის რთული საზოგადოებრივი მოვლენა და აქ

არ გამოგვადგება მექანიკური პრინციპი, რომლის  
მიხედვითაც, თუ ერთს ემატება, მეორეს აუცილე-  
ბლად აკლდება. ყველა ერი, გარკვეული თვალსა-  
ზრისით, წარმოადგენს ეროვნულისა და ინტერნა-  
ციონალურის ერთობლიობას, თუმცა, თითოეული  
მათგანის „თავისუფალი სახით“ გამოყოფა შეუძ-  
ლებელია. ერის ყველა ღირსეული თვისება, რო-  
მელსაც აქვს არსებობის უფლება, ინტერნაციონა-  
ლური მოვლენაა, რამეთუ ის სხვა ერებსაც ეკუ-  
თვნით. მით უმეტეს, რომ არ არსებობს თვისება,  
რომელიც ერთი რომელიმე ერის მონოპოლიურ  
კუთვნილებას წარმოადგენს.

## II თავი

### გეოგრაფიული ფაქტორის როლი სახართველოს ისტორიასა და ძართული კულტურის ჩამოყალიბებაში

ისტორიოგრაფიაში, ისევე როგორც სხვა სამეცნიერო დისციპლინების ისტორიაში, მრავალი მიმდინარეობა, კვლევის სისტემა და მეთოდი არსებობს. მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ საისტორიო მეცნიერებაზე საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მისთვის ძირითადად დამთავრდა აღნერითი პერიოდი, ე. ი. ემპირიული ფაქტების დაგროვებისა და მათი ცალკალკუ შეფასების პერიოდი. მართალია, ბევრი ერი ახლა იწყებს თავისი ისტორიის სერიოზულ მეცნიერულ შესწავლას, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს ფაქტი ცოტა რამეს ნიშნავს. მოწინავე ერები დიდი ხანია შეუდგნენ თავიანთი ცივილიზაციების ფილოსოფიურ გააზრებას, თავიანთი ეროვნული საზოგადოების, კულტურის პოტენციის გაზომვას, ადგილის პოვნას მსოფლიო თუ რეგიონულ ცივი-

ლიზაციებში, წარმოშობის მიზეზებისა და წინაპირობების დადგენას.

საკითხი საქართველოს ისტორიის განსაკუთრებულობის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, მეტად რთულია. თუმცა, აქედანვე ცხადია, რომ ამ განსაკუთრებულობას დიდად განაპირობებს გეოგრაფიული ფაქტორის უნიკალურობა.

ქართული ცივილიზაციის ისტორიის გაგება წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული გარემოსა და დემოგრაფიული ვითარების მაქსიმალური გათვალისწინების გარეშე. დღეისათვის არადამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ პრობლემის შესწავლის არა მარტო ფაქტობრივი მდგომარეობა (თუნდაც ემპირიულ დონეზე), არამედ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი მართებულად დასმის საკითხი, ფილოსოფიურ და საისტორიო აზროვნებაში მისი მნიშვნელობის თეორიული გააზრება. ეს ალბათ იმითაცაა გამოწვეული, რომ, ჯერ ერთი, ჩვენში არ დამთავრებულა ე. წ. ალწერითი პერიოდი, და მეორეც, ეს სამუშაო, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალზე რთულია. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ხასიათის სამუშაო არ სრულდებოდეს. ძალზე საშური საქმეა მეცნიერული კვლევის გაფართოება ზემოთ ხსენებული მომენტების გათვალისწინებით, საჭიროა ახალი ემპირიული მასალის მოპოვება, არსებული ცოდნის სისტემატიზაცია, ყოველივე ამის

ფართო განზოგადება და მომავალში შეუპოვარი მეცნიერული მუშაობის შედეგად მრავალი ფაქტი თუ მოვლენა ქართულ სინამდვილეში სრულებით სხვაგვარად, ანდა ახალი კუთხით შეიძლება წარმოგვიდგეს.

„ერთსა და იმავე ეკონომიკურ ბაზისს – ერთსა და იმავეს მთავარი პირობების მიხედვით – უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასობრივ ურთიერთობათა, გარედან მოქმედ ისტორიულ გავლენათა მეოხებით შეუძლია თავისი გამოვლენისას ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვიჩვენოს, რომელთა გაგებაც მხოლოდ ემპირიულად, მოცემულ გარემოებათა ანალიზის საშუალებით შეიძლება“ [24. 411-412]. ვეყრდნობი რა იმ მოსაზრებას, რომ კონკრეტული გამოვლინებები თავიანთი ბუნებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანნი არიან, აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთქმედებაში მონაწილე დეტერმინანტ-ფაქტორთა მთლიანი კომპლექსის განხილვა.

ცხადია, ეს ვრცელდება საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული გარემოს და ქართველთა ეთნოგენეზის, ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურისა და ა. შ. მიმართებებზე. დღემდე ჩვენი ცოდნა, კულტურისა და ცხოვრების წესის ცალკეული ელემენტების გეოგრაფიული ფაქტორის კომპონენტების ზემოქმედების შედეგად გა-

მოწვეული ცვლილებების შესახებ, დარიბია. ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს ნაწილობრივ შეავსოს ეს დანაკლისი.

გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების პრობლემა, პირველ თავში მოხსენიებული მიზეზების გამო, ქართულ მეცნიერებაში სათანადოდ არ არის შესწავლილი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მკვლევარს, რომელიც ახლა იწყებს პრობლემის არსში ჩაწვდომას, ამ დარგში ყამირი დახვდება. აღნიშნული პრობლემის კვლევა ქართული აზროვნებისათვის უცხო არ არის, უბრალოდ, უკანასკნელ ხანს, სავსებით კანონზომიერად, მან ახალი სიცოცხლე შეიძინა. აქ შევეცდები საკითხების შესწავლის ზოგადი ვითარების გადმოცემას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

მართალია, ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა (პიპოკრატე, სტრაბონი, პროკოფი კესარიელი, მენანდრე) ცნობებს საქართველოს ბუნებრივი პირობების შესახებ ქართული მეცნიერული აზროვნების მონაპოვრად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ამ სფეროში პირველი გზის გამკვალავები მაინც ისინი არიან. ამავე, და უფრო გვიანი პერიოდის, საქართველოს აღნერისას (უფრო ზუსტად პოლიტიკური ისტორიის გადმოცემისას) ქართულ საისტორიო ხასიათის შრომებში ნაკლებად ვხვდებით ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებას. და ეს გრძელდება

ლეონტი მროველამდე. რატომ? ალბათ იმიტომაც, რომ უცხოელ ავტორთა შრომები იწერებოდა თავიანთი ხალხისა და სახელმწიფოსათვის (აქ მნიშვნელოვანი იყო ამ სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები სხვა ხალხების და ტერიტორიების მიმართ). ამდენად, ისინი მუშტრის თვალით, შედარების შესაძლებლობის პირობებში აფასებდნენ საქართველოს ბუნებრივ პირობებს და მის ავ-კარგსაც მეტ-ნაკლები წარმატებით არჩევდნენ. რაც შეეხებათ ამ პერიოდის ქართველ ისტორიკოსებს, მათთვის საკუთარი ქვეყნის ბუნებრივი პირობები სიახლეს არ წარმოადგენდა. ის იმდენად ჰქონდათ გათავისებული ჩვენს წინაპრებს, რომ მისი განზოგადება და კრიტიკული თვალით შეფასება არ ხდებოდა, რაც ჩვენი საისტორიო აზროვნების შედარებით ჩამორჩენილობითაც აიხსნება ამ სფეროში. რაც შეეხება ზოგადად გეოგრაფიულ აზროვნებას ძველ საქართველოში, ამის დამადასტურებელი ცნობები მრავლად მოიპოვება ჩვენს საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებში [40. 32].

ლეონტი მროველით პირობითად შეიძლება დავიწყოთ ახალი ეტაპი აღნიშნული პრობლემის გააზრებაში. ჩვენი ისტორიკოსი იმ ტერიტორიას, რომელიც ქართულ ეთნოსს უკავია, წინ აყენებს და უპირატესობას ანიჭებს და ამით, შეიძლება ითქვას, გარკვეულად უპირისპირებს კიდეც კავკასიის დანარჩენ ტერიტორიას. მხოლოდ ჰაოსს

შეხვდა „უკეთესი“ ტერიტორია, რაც ანტიკური პერიოდის რეალური პოლიტიკური ვითარების გამოხატულება უნდა იყოს. ლეონტი მროველი არის პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერების გზაზე შემდგარი სახელმწიფოს ისტორიკოსი და მის საისტორიო მოსაზრებებს, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო ამ პროცესისათვის და, მეორე მხრივ, გარკვეული თეორიული საფუძველი უნდა შეექმნა მისთვის. საგულისხმოა, რომ საისტორიო ხასიათის ნაშრომებით მდიდარ სომხურ ისტორიოგრაფია-შიაც ნაკლებად გვხვდება საქართველოს და საერთოდ კავკასიის ბუნებრივი პირობების კრიტიკული, შედარებითი დახასიათება. ეს ფაქტი აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ საისტორიო ნაშრომების აღნიშნული პრობლემის მიხედვით „სპეციალიზაციისათვის“ აუცილებელია, ისტორიკოსი თავისუფალი და ძლიერი ქვეყნის შვილი იყოს. ამ მხრივ, ეჭვი არ არის, ლეგენდა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების ხანაში უნდა იყოს შექნილი. მართალია, ლეონტი მროველის შემდეგ საქართველოს კიდევ კარგა ხანს აღმავლობის პერიოდი ჰქონდა, მაგრამ აღნიშნული მოსაზრების თვისებრივად გაღრმავებას ადგილი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში ხშირად არის ნახსენები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებრივი პი-

რობების თავისებურებები, რაც თავმოყრილი აქვს ივანე ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ სპეციალურ თავში.

გვიან შუა საუკუნეებსა და ახალი ეპოქის და-საწყისში ცნობებს საქართველოს ბუნებრივი პირო-ბების შესახებ ვხვდებით ევროპელი მისიონერების, მოგზაურებისა და მეცნიერების (პიეტრო დელა ვალე, ჟ. შარდენი, ი. გიულდენშტედტი, ჟ. ფ. გამ-ბა), რუსეთის სახელმწიფოს ელჩების ნაწერებ-ში. რა მდგომარეობაშია ამ პერიოდის ქართული საისტორიო მეცნიერება აღნიშნული პრობლემის შესწავლის მხრივ? საქართველოში ყოველთვის იყო მეტ-ნაკლებად ძლიერი ისტორიკოსთა სკოლა; უმრავლეს შემთხვევაში ქართველები, თავიანთი საზოგადოებრივი განვითარებით, უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე მომხდური მტრები და უმრავლეს შემთხვევაში საქართველოს ბუნებრივი პირობები სჯობდა მომხდური მტრის ქვეყნის ბუნებას. აქე-დან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა ჩვენშიც შექმნილიყო გეოგრაფიული დეტერმინიზ-მის რომელიმე მიმართულების საისტორიო ხასია-თის შრომები. ევროპაში შექმნილი ამგვარი ხასია-თის შრომები, თავდაპირველად, სამყაროს მოწყო-ბის ქრისტიანული რელიგიისეული ორთოდოქსული შეხედულების წინააღმდეგ იყო მიმართული, შემდ-გომ ეტაპზე კი გაპატონებული წრეების სოცია-ლურ დაკვეთებს ასრულებდნენ. საქართველოში,

ისტორიული ძნელბედობის გამო, საქმე სხვაგვარად წარიმართა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და ქრისტიანობა, ძალზე მძიმე პირობებში, ქართველობის ფიზიკური და კულტურული გადარჩენის სულისჩამდგმელები იყვნენ და მისი დოგმების წინააღმდეგ გამოსვლა ანტიეროვნულ აქციად აღიქმებოდა. ასევე, თავის პოლიტიკურ და სოციალურ ფუნქციებს ვერ შეასრულებდნენ აღნიშნული ხასიათის ნაშრომები, რადგან ამ პერიოდში საქართველოს არავის დაპყრობა არ შეეძლო და ასეთი თეორიებით „გამართლებაც“ არავის სჭირდებოდა. საყურადღებოა, რომ თავისი ყველაზე მეტი ძლიერებისა და კეთილდღეობის პერიოდში ქართველი მეფები კავკასიაში მცხოვრები ხალხების გაერთიანებას ერთ იმპერიაში ყოველთვის ამჯობინებდნენ ბუფერული ტიპის ქვეყნების შექმნას მის გარშემო, რაც, რა თქმა უნდა, დიდად იყო განპირობებული იმით, რომ ქართველთა ერთიანობა, „ქართველობა“ დაფუძნებული იყო ეთნიკურ და არა რელიგიურ, სახელმწიფოებრივ ან სხვა სახის გაერთიანებებზე. მაშასადამე, მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოს გეოგრაფიული გარემოს უნიკალურობა აზიის კონტინენტის მიმდებარე ტერიტორიასთან მიმართებით და ქართველი ერის კულტურულ-სამეურნეო ტიპის განსხვავებულობა ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხებთან შედარებით.

ვახუშტი ბატონიშვილამდე (1696-1757) ქართველი ისტორიკოსები ობიექტური მიზეზების გამო უმთავრესად პოლიტიკური ისტორიების გადმოცემას ვერ გასცდნენ. ვახუშტი იყო მკვლევარი, რომელმაც აღნიშნული პრობლემის შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა. მან თავისი დროის მეცნიერების მოთხოვნების დონეზე მოგვცა საქართველოს ბუნებრივი პირობების დახასიათება რეგიონების, ზონებისა და ისტორიული პროვინციების მიხედვით, მან შეძლო ქართველთა სამეურნეო-კულტურული ტიპის კონფიგურაციის მოხაზვა. ვახუშტი ბატონიშვილმა აჩვენა ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური გეოგრაფიული გარემოს როლი ქვეყნის დაყოფაში მთად და ბარად, მიანიშნა ქართველთა სამეურნეო ცხოვრების სიმაღლებრივი სარტყელების მიხედვით დაყოფაზე, მათ ყოფასა და წეს-ჩვეულებებზე.

ვახუშტის შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802), რომელმაც პაატა ბატონიშვილის აჯანყების დამარცხებისა და რუსეთში გადახვენის შემდეგ ხელი მიჰყო მეცნიერულ მოღვაწეობას და თეიმურაზ ბაგრატიონის ძმა – დავით ბაგრატიონი (1767-1819), რომელმაც თარგმნა მონტესკიეს „კანონი სჯულთა შესახებ“ და მასვე დაურთო კრიტიკული შენიშვნები, სადაც ბევრ რამეში არ ეთანხმება ავტორს. ყოველივე ეს იმ პერიოდის ქართული მეცნიერული აზროვნების გარკვეულ მომზადებულობაზე მიგვითითებს.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე ასეთი პრობლემა, სამწუხაროდ, არ დგას და შექმნილი ისტორიული ვითარების გამო მათ ასეთ პრეტენზიებს მხოლოდ შერბილებულ ფორმებში თუ წავუყენებთ. სამაგიეროდ, ამ პრობლემის კვლევაში დიდი გამოცოცხლება შეიტანეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ქართული საზოგადოებრიობის „ახალი თაობის“ წარმომადგენლებმა (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ი. ფანცხავა, გ. წერეთელი და სხვა). სამწუხაროა, რომ ამ პერიოდში ქართული მეცნიერული აზროვნება ვერ დგას იმ დონეზე, ასეთი განზოგადებული ხასიათის პრობლემები იკვლიოს. სამაგიეროდ, სასიხარულოა ის, რომ ამ მხრივ ძალზე აქტიურობს ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, რისი დამადასტურებელი მაგალითები უხვადაა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პუბლიცისტიკაში. მე შეგნებულად დავუპირისპირე ერთმანეთს ამ პერიოდის მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნება, რადგან პერიოდულ უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები გარკვეული მეცნიერული ლირებულებისანი არიან, მაგრამ ისინი არ გამოხატავენ იმ პერიოდის მეცნიერული აზროვნების მდგომარეობას. თუმცა მათ გავლენა უნდა

მოეხდინათ მომდევნო პერიოდის მკვლევართა ამ პრობლემით დაინტერესებაში. უცილობლად უნდა მივიჩნიოთ ის მოსაზრებაც, რომ ამ პრობლემის წინ წამოწევა უნდა უკავშირდებოდეს აქტიური ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შექმნას, საერთოდ ახალ ეპოქას, კომუნიკაციებისა და ინფორმაციის მძლავრი საშუალებების წაროშობას XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნეში.

ამ თაობის წარმომადგენლები ხელადებით არ იზიარებდნენ წატურალისტურ შეხედულებებს და იმათაც აკრიტიკებდნენ, „ვინც ბუნების გავლენას ხალხზე არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ“ [25. 256]. საგანგებოდ უნდა აღინიშნონ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და ვაჟა-ფშაველა, რომელთა ნაწერებშიც ნათლად ჩანს ამ პრობლემით არა მარტო დაინტერესება, არამედ პრობლემის მთლიანობაში დანახვის წარმატებული ცდა. აქვეა მრავალი საინტერესო ფაქტობრივი მასალა ამ პრობლემის შესახებ. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის სტატიები: „შინაური მიმოხილვა“, „ცხოვრება და კანონი“, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „ძველი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების შესახებ“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიკური მიზეზები“.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამ პრობლემით ჩვენი სამეცნიერო წრეებისა და დისციპლინების დაინტერესების ამპლიტუ-

და ძირითადად საბჭოთა კავშირისას შეესაბამება. გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის მეცნიერული შეფასება ქართული სინამდვილისათვის ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. კრიტიკულად გადაამუშავა რა არსებული ლიტერატურა, მეცნიერმა ჯეროვნად შეაფასა გეოგრაფიული გარემოს როლი ჩვენი საზოგადოების განვითარებაში. ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ ავტორმა დიდალი ემპირიული მასალის მოხმობით თვალნათლივ გვიჩვენა გეოგრაფიული გარემოს ცალკეული კომპონენტების გავლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, კონსტანტინე კაპანელის ლვანლი პრობლემის შესწავლის საქმეში. კ. კაპანელი იკვლევდა ქართველთა ეთნიკური ერთობის, ფსიქიკური თავისებურებების, ქართული კულტურისა და საქართველოს ბუნებრივი პირობების ურთიერთზემოქმედებას.

30-იანი წლების მეორე ნახევარში საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის პრობლემის შესწავლა ფაქტობრივად შეწყდა. 50-იანი წლების გამოცოცხლებას მოჰყვა გრ. ზარდალიშვილის ნაშრომი, რომელმაც პრობლემის კვლევას ბევრი ვერაფერი შესძინა. 60-იან წლებში მოსკოვსა და ლენინგრადში ნამოწყებულ დისკუსიას ამ საკითხზე დიდი სიმწვავე შესძინეს ვ. ანუჩინისა და ლ. გუმილიო-

ვის შრომებმა. ამავე პერიოდში აღნიშნული პრობლემის კვლევას საქართველოში მეტად აქტიურად მოჰკიდა ხელი გ. ყორანაშვილმა, რომლის კვლევის არეალი იმდენად ფართოა, რომ, შეიძლება ითქვას, ის იკვლევს გეოგრაფიული გარემოსა და ქართული ცივილიზაციის ურთიერთმიმართებას. სულ ბოლოს გამოვიდა გრ. მარგიანის ნიგნი, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, პრობლემის ნაწილობრივი ისტორიოგრაფიაცაა მოცემული.

ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა იმ პერიოდს დამთხვა, როცა გეოგრაფიული გარემოს კვლევას აშკარად არ აქცევდნენ ყურადღებას. ამის მიუხედავად, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში მათ (განსაკუთრებით ნ. ბერძენიშვილს) გამოთქმული აქვთ თავიანთი თვალსაზრისი ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს მეტ-ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემის გაშუქებისას გ. მელიქიშვილი, ი. ანთელავა, ი. კიკვიძე, დ. მუსხელიშვილი, დ. გოგოლაძე<sup>1</sup>.

ქართველი ეთნოგრაფები ვალში არიან ამ პრობლემის გაშუქების ეროვნულ საქმესთან, არადა პი-

<sup>1</sup> პრობლემის ისტორიოგრაფია და ცალკე ავტორთა ნა-აზრევი განხილული აქვს გ. ყორანაშვილს, ამიტომ მათ აღარ გავიმეორებ [იხ.: 31. 149-152; 36. 146-156].

რიქით უნდა იყოს: ქართველი ერის ყოფა-ცხოვრების წესი ხომ გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბდა და მის უცილობელ ნიშნებს ატარებს. აქ გვინდა აღვნიშნოთ თ. სახოკიას ღვაწლი, ლ. ფრუიძისა და ჯ. სონდულაშვილის გამოკვლევები ქართველთა უძველესი სამეურნეო საქმიანობის შესახებ, თ. ბერაძისა და ზ. კუტალეიშვილის შრომები ნაოსნობის შესახებ საქართველოში, ა. ლეკიაშვილის ცნობილი „შენ ხან ვენახი“. საგანგებოდ გვინდა გამოყოფა მ. გეგეშიძის ნაშრომები ტერასული და სარწყავი მინათმოქმედების, ეკოლოგის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემების შესახებ საქართველოში.

მეტად საინტერესო ნაშრომი გამოსცეს ა. გაბიანმა და რ. გაჩეჩილაძემ, სადაც ნაჩვენებია კავშირი გეოგრაფიულ გარემოსა (მთა და ბარი, აღმოსავლეთი და დასავლეთი) და სამართალდარღვევის სახეებს შორის საქართველოში.

სამწუხაროდ, ცუდი მდგომარეობაა პრობლემის კვლევის საქმეში გეოგრაფებისა და ეკონომისტების მხრივ. ამ სიაში ეკონომისტები წარმოდგენილი არიან გ. თოდუასა და პ. გუგუშვილის ნაშრომებით. მოსახლეობის დემოგრაფიის პრობლემებზე (რომელიც აღნიშნულ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში განიხილება) მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნეს პ. გუგუშვილმა, ვ. ჯაოშვილმა, ა. სულაბერიძემ.

არც ქართველი ფილოსოფოსები გვანებივრებენ ამ საკითხზე დაწერილი შრომებით. ჩვენს ლიტერატორებსა და ფილოსოფოსებს ჯერ კიდევ შესასწავლი აქვთ ბუნების ფილოსოფიური გააზრება ქართველი მწერლების შემოქმედებაში.

საქართველოს გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნების ქართულ ეროვნულ ხასიათთან მიმართების საინტერესო მომენტებს ვეცნობით გ. ასათიანის ცნობილ წიგნში „სათავეებთან“. ამ მიმართებით კვლევა-ძიების გაფართოებისათვის კარგ მაგალითს იძლევა ცნობილი რუსი კულტუროლოგის, დ. ლიხაჩივის შრომები.

\* \* \*

„ვიდრე საქართველოს ისტორიას განვაგრძობდეთ, თავდაპირველად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს გეოგრაფიული ვითარება... შევისწავლოთ ამ ქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი... ამისათვის კი უნდა გვქონდეს ყველა ცნობა, რომელიც კი მოიპოვება ქართულსა და მეზობელ ერთა მწერლობაში საქართველოს შესახებ და ჩვენის ქვეყნის აღნერილობას შეიცავს. ერთი სიტყვით, – ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარება ნათლად წარ-

მოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“ [42. 5]. ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ ყოველგვარი კვლევა ამ მიმართებით მხოლოდ „დავიწყებული“ საკითხის ხელახლა დაყენებაა და მისი მნიშვნელობა ზედმინევნით ესმოდათ ქართული საისტორიო აზროვნების ცნობილ წარმომადგენლებს.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ საქართველოს გეოგრაფიული გარემოს სპეციფიკაზე, შედარებით დახასიათებაზე და მისი სპეციფიკით გამოწვეულ თავისებურებებზე, საჭიროა, მოკლედ წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა პოზიტიურ ასპექტში. ჯერ გავეცნოთ ქვეყნის ბუნებრივ პირობებს და ფაქტობრივი მასალის მეტ-ნაკლებად გაცნობის შემდეგ შეგვეძლება გავშალოთ მსჯელობა მის გარშემო. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემოს დახასიათებისას ძირითადად ვეყრდნობით ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქართველოსადმი მიძღვნილ ტომს, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხების“ ორ ტომსა და სხვა ავტორთა შრომებს.

დღეისათვის, სამწუხაროდ, ეთნიკური და პოლიტიკური საქართველოს საზღვრები არ ემთხვევა ერთმანეთს. პოლიტიკური საქართველოს ტერიტორია შეადგენს  $69,5$  ათას კმ<sup>2</sup>. ის მდებარეობს

ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. დასავლეთიდან მას საზღვრავს შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთიდან მდ. ფსოუ და კავკასიონის მთავარი ქედი, აღმოსავლეთით საზღვარი ცენტრალური კავკასიონის ტინოვროსოს მთიდან (3374 მ) ეშვება დიდი კავკასიონის სამხრეთ მთიანეთზე მდ. ალაზნის ქვემო დინებამდე და მიჰყვება მას თითქმის მინგეჩაურის წყალსაცავამდე; სამხრეთით საზღვარი ჯერ მიჰყვება მდ. იორს, შემდეგ მტკვრისა და ივრის წყალგამყოფს, კვეთს მდინარეებს – მტკვარსა და დებედას, მიუყვება სომხეთისა და ჩილდირის ქედებს, კვეთავს ერუშეთის მთიანეთს, გადაუყვება შავშეთის ქედს, გადაკვეთს მდ. ჭოროხს და გადის შავ ზღვაზე. საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძე შეადგენს 1980 კმ. აქედან სახმელეთო საზღვრის სიგრძე 1665 კმ, ხოლო საზღვაო 315 კმ შეადგენს. მისი უკიდურესი დასავლეთი და აღმოსავლეთი წერტილები მდებარეობენ  $40^{\circ}05'$  და  $46^{\circ}44'$ , ხოლო უკიდურესი სამხრეთი და ჩრდილოეთი წერტილები –  $41^{\circ}07'$  და  $43^{\circ}35'$ . ქვეყნის ტერიტორიის  $2/3$  მთას უჭირავს და მისი ვერტიკალური ამპლიტუდა მერყეობს ზღვის დონიდან 5201 მეტრამდე (მწვერვალი შხარა).

საქართველოს ბუნებრივი პირობების დახასიათება უნდა დავიწყოთ მისი მრავალფეროვნების აღნიშვნით და იგივე დებულება უნდა მივიღოთ განხილვის შემდეგ დასკვნის სახით. აღნიშნული

ფაქტორი არის ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების უმთავრესი მახასიათებელი და ეს აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების მრავალ-ფეროვნება განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, რელიეფით, ატმოსფეროს ცირკულარული პროცესებით და სხვა ფაქტორებით. ქვეყანაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ოროგრაფიული ელემენტები: კავკასიონის მთავარი ქედი (კავკასიონი), საქართველოს მთათაშორისი ბარი, მცირე კავკასიონის მთიანი სისტემა (მესხეთ-თრიალეთის ქედი) და სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი. კავკასიონის მთავარი ქედი და-ფარულია თოვლიანი საფარით, რომლის სამხრეთი კალთები დასერილია მდინარეთა ხშირი ხეობებით. დიდი და მცირე კავკასიონის მთათა სისტემებს შორის გადაჭიმულია კოლხეთის დაბლობი, შიდა და ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეები, აღმართულია ლიხის, კვერნაკის, საგურამო-იალნისა და გომბორის ქედები, აგრეთვე ივრის ზეგანი და იმერეთის მაღლობი. ლიხის ქედი, ერთი მხრივ, აერთებს დიდი და მცირე კავკასიონის მთათა სისტემებს და, მეორე მხრივ, ყოფს ქვეყნის ტერიტორიას დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად.

საქართველო ხასიათდება საკმაოდ მრავალფეროვანი და რთული რელიეფით. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ტერიტორიის სიმაღლე ჩვენში მერყეობს

0-დან 5201 მეტრამდე, არამედ იმიტომაც, რომ მანძილი დასახლებულ პუნქტსა და უახლოეს მაღალ მწვერვალს შორის შეადგენს 9-16 კმ (მწვერვალი შხარა – უშესების თემი, მყინვარწვერი – სოფ. გველეთი), მაშინ როცა განსხვავება მდებარეობებს შორის ზღვის დონიდან შეადგენს 3000 მეტრს. კავკასიონი, რომელიც წარმოადგენს მთავარ წყალგა-მყოფ ქედს საქართველოს მდინარეების უმრავლე-სობისათვის, შედგება მრავალი მცირე ქედისაგან, ხეობებისა და ქვაბულებისაგან. საქართველოს ფი-ზიკურ-ოროგრაფიულ რუკაზე თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ არის დაქსელილი მთელი ტერიტორია მდინარეებითა და მათი თანმდევი ხეობებით. საქარ-თველოს ძირითადი ოროგრაფიული სისტემებიდან ყველაზე მეტად არის დანაწევრებული კავკასიონის რეგიონი, უფრო ნაკლებად მცირე კავკასიონი. რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს მთიანეთს, მისი საშუალო სიმაღლე, მართალია, 1300-2000 მეტრს შეადგენს, მაგრამ დანაწევრებით არ გამოირჩევა, რადგან აქ მდინარეთა ქსელი ხშირი არ არის. სა-ქართველოს მთათაშორისი რეგიონი ლიხის ქედით იყოფა კოლხეთის (დახრილია შავი ზღვისაკენ) და აღმოსავლეთ საქართველოს ბარით (დახრილია კასპიის ზღვის მხარეს). კოლხეთის დაბლობში გამოიყოფა საკუთრივ კოლხეთის დაბლობი (0-200 მეტრი ზღვის დონიდან) და იმერეთის მაღლობი (400-1500 მ), რომელიც მთიან-ბორცვიანი რელიე-

ფით, სუსტად დანაწევრებული პლატოებით და კანიონისებური ხეობებით ხასიათდება. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გამოიყოფა შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, ალაზნის ვაკეები და მათ შორის მოთავსებულია ბორცვიანი ტერიტორიები (საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 500-1500 მეტრი). ამ რეგიონში, თავისი კლიმატური პირობებისა და სხვა სპეციფიკის გამო, განსაკუთრებულ ნაწილად უნდა გამოიყოს ივრის ზეგანი – ისტორიული ქიზიყი (საშუალო სიმაღლე 400-800 მეტრი, მთიან ადგილებში 1100-1200 მეტრი).

დიდი გენეტიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება საქართველოს რელიეფი. აქ წარმოდგენილია ტეტოგენური, პეტროგენური, ვულკანური, ფსევდოვულკანური, კარსტული, ეროზიული, ანთროპოგენული და სხვა წარმოშობის რელიეფის ტიპები და ფორმები.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია საქართველოს კლიმატი, სადაც შედარებით პატარა ტერიტორიაზე გამოიყოფა რამდენიმე კლიმატური ზონა. ეს, პირველ ყოვლისა, განპირობებულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და რელიეფის სირთულით. საქართველოს კლიმატი ძირითადად ყალიბდება შავი ზღვიდან შემოჭრილი თბილი ჰაერის მასებით და აღმოსავლეთიდან შემოჭრილი კონტინენტური ჰაერის მასებით. ამას გარდა, ჩრდილოეთიდან (ცივი) და სამხრეთიდან (თბილი) ხშირად

ხდება ჰაერის მასების შემოჭრა. ამ შემთხვევაში უდიდეს დამცავ როლს ასრულებს კავკასიონის მთავარი ქედი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი.

ტემპერატურის საშუალო ნლიური ცვლილებების ამპლიტუდა საქართველოს ტერიტორიაზე დიდი კონტრასტულობით ხასიათდება და მერყეობს +15-დან (სოხუმი) -12,5-მდე (კავკასიონის მწვერვალები).

საქართველო მდებარეობს სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაში, მაგრამ მაინც გამოიყოფა ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული კლიმატური რაიონი და ერთიც ქვერაიონი. პირველი რაიონი ხასიათდება ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით და მოიცავს დასავლეთ საქართველოს; მეორე რაიონი ხასიათდება ნორმალურად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით, რომელიც მცირედ გადადის კონტინენტურში. რელიეფის ძლიერი დანაწევრებულობა იმდენად ცვლის ატმოსფეროს საერთო ცირკულაციას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, დაწყებული ნესტიანი სუბტროპიკულიდან დამთავრებული მუდმივ თოვლიან-ყინულიანით, გამოიყოფა 13 კლიმატური ქვერაიონი: დასავლეთ კავკასიონი, აღმოსავლეთ კავკასიონი, კოლხეთის დაბლობი, იმერეთის მაღლობი, ქვემო ქართლის ვაკე, შიდა ქართლის ვაკე, ივრის ზეგანი, ალაზნის დაბლობი, საგურამო-გომბორის მთიანეთი, მთიანი აჭარა-გურია, მესხეთი, ჯავახეთის მთიანეთი, თრიალე-

თი. ყველა ისინი მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ნალექების წლიური რაოდენობით, მზიანი დღეების რიცხვით, ნიადაგების ტიპებით და სხვა.

საქართველო მდიდარია შიდა წყლებით და ტერიტორიის ერთეულზე მოსული წყლის რაოდენობით გამოირჩევა მსოფლიოში. საქართველოს მდინარეები განსაკუთრებული წყალუხვობით და სიგრძით არ გამორჩევიან, თუმცა ქვეყანაში მათი რიცხვი დიდია – 26 ათასამდე. მდინარეთა ქსელი მეტად არათანაბრადაა განაწილებული: დასავლეთ საქართველოს მდინარეების საერთო წლიური ჩამონადენი შეადგენს 49,8 კმ<sup>3</sup>, აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებისა – მხოლოდ 16,5 კმ<sup>3</sup>.

საქართველო არ არის მდიდარი ტბებით (860), ამავე დროს მათი უმრავლესობა პატარა მოცულობისაა და ამიტომ მათ სამეურნეო მნიშვნელობაზე ნაკლებად მოგვიხდება მსჯელობა.

ჭაობებს უკავიათ კოლხეთის დაბლობის მნიშვნელოვანი ტერიტორია (225 ათასი ჰა ფართობი), მცირე ჭაობები გვხვდება აგრეთვე ჯავახეთის ზეგანზე. ახალ ეპოქაში კოლხეთის დაბლობზე ამოშრობილია 65 ათასი ჰა ფართობი.

საქართველოს მშვენება და სიმდიდრეა შავი ზღვა. როგორც აღვნიშნე, ქვეყნის საზღვაო საზღვარი შეადგენს 315 კმ.

ბუნებრივი პირობების უაღრესი მრავალფეროვნების წყალობით საქართველოში გვხვდება საერ-

თოდ არსებული ნიადაგების თითქმის ყველა ტიპი. მის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ძირითადი ნიადაგობრივი ოლქი: დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის. ნიადაგის წარმოშობის პირობები-დან გამომდინარე მათში გამოიყოფა 48 რაიონი და 169 ქვერაიონი.

კლიმატური, ნიადაგობრივი, ფიზიკურ-გეოგრა-ფიული მრავალფეროვნება განაპირობებს საქართ-ველოში მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. საერთო ჯამში ქვეყნის ტერიტორიაზე გვხვდება 13 ათასზე მეტი სახის მცენარე და 6000-ზე მეტი სახეობის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელი.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს და მოიპოვება მრავალი სახის სასარგებლო წიაღი-სეული. იმ წიაღისეულთაგან, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, აღსანიშნავია: ნავთობი, ქვანახშირი, მანგანუმი, რკინა, სპილენძი, ოქრო, ტყვია, დარიშხანი, თუთია, ვერცხლისწყალი, სტი-ბიუმი; სამთო-ქიმიური ნედლეულიდან აღსანიშნავია: ანდეზიტი, ბარიტი, ბენტონიტური თიხები, დიატომიტი, ტალკი და სერპენტინი; არამადნეული ნედლეულიდან – აქატი, კვარც-მინდვრის შპატიანი ქვიშები. საქართველო მდიდარია შესამოსი მასალით – ბაზალტით, გრანიტით, დიორიტით, კირქვით, მარმარილოთი, ტეშენიტით, პორფირიტით, გაბროთი, ტუფლავით.

საქართველოს მინერალურ რესურსებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინისქვეშა წყლებს. ცალკე უნდა აღინიშნოს ჩვენი ქვეყნის უაღრესად მრავალფეროვანი მინერალური წყლები: „ბაგიათი“, „ავადხარა“, „ვაჟას წყარო“, „ლუგელა“, „სქური“, „უნერა“, „ყაზბეგი“, „ბორჯომი“, „საირმე“, „ნაბეღლავი“, „ზვარე“, „ძაუ“ და სხვა. ბევრ მათგანს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე მენჯის, ცაიშის, სოხუმის, წყალტუბოს სამკურნალო-თერმული წყლები, ახტალისა და თბილისის სამკურნალო თვისებების მქონე ტალახები.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ნაირგვარი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები (ლანდშაფტები) ნახევარუდაბნოსა და კოლხური ნოტიო სუბტროპიკულიდან გლაციალურ-ნივალურ მარადთოვლიან ლანდშაფტებამდე. რელიეფის თავისებურების გამო საქართველოში არის მკვეთრად გამოხატული ლანდშაფტების სიმაღლებრივი ზონალურობა, რომლის ტერიტორიაზე სულ გამოიყოფა 100-ზე მეტი დასახელების (ტიპი, ქვეტიპი, სახე) ლანდშაფტი.

საქართველო გაერთიანებულია ყირიმ-კავკა-სიის მთიანი რეგიონის 5 ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქში. საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა შემდეგი ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონები:

ა) კავკასიონის მთიანეთის ოლქი, რომელიც თავის მხრივ იყოფა დასავლეთ, შუა და აღმოსავლეთ კავკასიონის ქვეოლქებად;

ბ) მცირე კავკასიონის ოლქი მოიცავს აჭარა-იმერეთისა და თრიალეთ-ლოქის ქვეოლქებს;

გ) მესხეთ-ჯავახეთის ოლქში გაერთიანებულია მესხეთისა და ჯავახეთის მაღლობის ქვეოლქები;

დ) კოლხეთის ოლქში გამოიყოფა რიონის ვაკე-დაბლობისა და იმერეთის მაღლობის ქვეოლქები;

ე) მტკვრის ბარის ოლქი იყოფა 4 ქვეოლქად: შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, იორ-აჯინოურის და ალაზან-გიშისწყლის ქვეოლქებად. თითოეული მათგანი კიდევ იყოფა რამდენიმე ფიზიკურ-გეო-გრაფიულ რაიონად.

ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკო-ნომიკური ნიშნების მიხედვით საქართველოში ჩამოყალიბდა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინ-ციები (ქართლი, კახეთი, ქიზიყი, იმერეთი, გუ-რია, სამეგრელო, აჭარა, რაჭა, სვანეთი, მესხეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და სხვა). ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ დარაიონებას გარკვეულად საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის ისტორიული დანაწილება.

საქართველო იყოფა აღმოსავლეთის, აღმოსავ-ლეთ-ცენტრალურ, დასავლეთ-ცენტრალურ, და-სავლეთის, სამხრეთის, აფხაზეთისა და აჭარის ეკონომიკურ რაიონებად.

\* \* \*

მე მოკლედ დავახასიათე საქართველოს გეოგრა-  
ფიული გარემოს ცალკეული კომპონენტები. ასეთი  
სქემატური განხილვის დროსაც კი აშკარად ჩანს  
საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალფე-  
როვნება. ქვემოთ შევეცდები ქვეყნის ბუნებრივი  
პირობების შედარებით დახასიათებას მეზობელ  
ქვეყნებთან მიმართებით. მხოლოდ ამ შემთხვე-  
ვაში გამოჩნდება ნათლად, თუ რა შეადგენს ჩვენი  
ქვეყნის სიმდიდრეს და რამდენად ხელსაყრელია  
საქართველოს გეოგრაფიული გარემო ქართველი  
ერის ბიოლოგიური და სოციალური არსებობისა-  
თვის.

საქართველოს აქვს გამორჩეული ინდივიდუა-  
ლური ეკონომიკურ-გეოგრაფიული სახე, რაც მრა-  
ვალი ფაქტორითაა გაპირობებული.

საქართველოს ჩრდილოეთიდან საზღვრავს კა-  
ვკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, საიდანაც  
ეშვება ქვეყნის მდინარეების ძირითადი ნაწილი.  
როგორც აღვნიშნე, საქართველოში 26 ათასამდე  
მდინარეა, აზერბაიჯანში – 1250-მდე, სომხეთში –  
კიდევ უფრო ნაკლები. მდინარეების ხშირი ქსელი  
იწვევს რელიეფის დანაწევრებას, დანაწევრება კი  
ქმნის ბუნებრივი ლანდშაფტების მრავალფეროვნე-  
ბას. საყურადღებოა, რომ კავკასიონის მთიანი სის-  
ტემა ჩრდილოეთის მხარეს უფრო სწრაფად დაბლ-

დება, ვიდრე სამხრეთით. შესაბამისად, ჩრდილოეთი კავკასია ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების თვალსაზრისით შედარებით ღარიბია. მდინარეთა ცალკეული ხეობების მიხედვით ისტორიულ საქართველოში გამოიყოფა ცალკეული „ქვეყნები“ (სვანეთი, რაჭა, ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო – მთიულეთი, ფშავ-ხევსურეთი). ბუნებრივი საფუძვლების ამ კომპონენტის (მდინარეთა ქსელის, ხეობების) მიხედვით მეცნიერები დღესაც ცდილობენ ქვეყნის დარაიონებას [15].

საქართველოს სამეურნეო ცხოვრების მოწყობის ყველაზე არსებითი ნიშანი და თავისებურება არის ხეობები, რომლებიც თავისებურ თაზისებს წარმოადგენდნენ ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე ხეობაში არის მკვეთრად გამოხატული ზონალურობა – როცა სამეურნეო ტიპები, სიმაღლის ცვლილებასთან დაკავშირებით, განლაგებულია „სართულებად“, ე. ი. თითოეულ ხეობაში წარმოდგენილია როგორც მთა, ასევე ბარი. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების ამ თავისებურებას ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია ყურადღება – ადგილს, ზღვის დონიდან იმ სიმაღლემდე (საშუალოდ დაახლ. 800 მ), სადამდეც ვაზი და ხეხილი ხარობდა, ბარად მიიჩნევდა, იმის ზემოთ – მთად. მაგრამ საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და სამეურნეო საქ-

მიანობის სარტყელურობა მხოლოდ მთად და ბარად არ უნდა დავყოთ. მიწათმოქმედება საქართველოში ავლენდა და ავლენს ზონალურ განსხვავებას დაბლობის, ბარის, მთისძირის, მთის, მაღალმთიანი ზოლების მიხედვით. ამასთანავე, საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილისათვის რელიეფის დიდი დანაწევრებულობის და გეოგრაფიული გარემოს სხვა კომპონენტების გამო, სამეურნეო თვალსაზრისით, „მთა“ უფრო დაბალი სიმაღლიდან „იწყება“, ვიდრე სამხრეთ საქართველოში.

მდინარეთა ხშირი ქსელის გამო საქართველოს მოწინავე ადგილი უჭირავს ჰიდრორესურსების სიმდიდრით, რაც საშუალებას იძლევა ჩვენი მთის მდინარეებზე აიგოს დიდი და პატარა ჰიდროელექტროსადგურები. საქართველოში ტყეს უჭირავს მთელი ტერიტორიის 40%, მათ მთის ფერდობების ჩამორეცხვისაგან დაცვის ფუნქციაც აკისრიათ. საქართველოში, მისი გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, მიწისქვეშა წყლები ახლოს არის დედამიწის ზედაპირთან, ჰესის აგებით კი მათი დონე უფრო მაღლა იწვევს. ეს იწვევს დედამიწის ზედაპირის მცენარეული საფარით დაფარული ზედა ფენის „მორყევას“, ჩამორეცხვას და საბოლოოდ იწვევს დამანგრეველი ძალის მეწყერულ პროცესებს. იმავე შედეგებს იწვევს ტყის ჭრა მთიანი რეგიონის საქართველოში. ასე რომ, ჩვენი უპირველესი სიმდიდრეები – მდინარეები და მათი

ხეობები არასწორი ეკოლოგიური პოლიტიკით შეიძლება დალუპვამდე მივიყვანოთ.

საქართველოს შუალედური მდებარეობა გამოიხატება მის ისტორიულ-პოლიტიკურ, კულტურულ და ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში, რაც აუცილებლად უნდა გაითვალინოს ამ საკითხების მკვლევარმა. თითქოს ერთ რეგიონში განლაგებული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენი ქვეყნის კლიმატის ერთ-ერთი უპირველესი განმსაზღვრელია შავი ზღვა, ხოლო კავკასიონის მთავარი ქედი იცავს მას ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან. შავი ზღვიდან მონაბერი თბილი და ტენიანი ჰაერის მასები გზად არ გაივლიან სომხეთის მთიანეთს. ისინი, მართალია, გადადიან ლიხის ქედს, მაგრამ უკვე ნაკლებ გავლენას ახდენენ აღმოსავლეთი საქართველოს ჰავის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ამ დანაკლისს კავკასიონის მთავარი ქედიდან და გომბორის მთიდან მოსული ნალექებით ივსებს. ამიტომ, გასაგებია, რომ ზღვის თბილი მასები აზერბაიჯანის ტერიტორიამდე ვერ აღწევენ. ამიტომაა, იმ ქვეწებში, რომლებიც სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობენ, ჰავა უფრო კონტინენტურია. კავკასიონიდან ნამოსული ცივი ჰაერის მასები ქედის გარშემოვლით აღწევენ სომხეთის მთიანეთამდე (ასევე, სამხრეთიდან იჭრება კონტინენტური ცივი ჰაერის

მასები), რაც იწვევს მკვეთრ აცივებას ქვეყანაში. ამ დროს, საქართველო ქოლგას შეფარებულივით ჩანს კავკასიონის სამხრეთი კალთების ძირში.

სომხეთსა და აზერბაიჯანში ტემპერატურათა ორივე აბსოლუტური მაჩვენებელი დიდად განსხვავდება საქართველოსაგან, სადაც ზაფხული თბილია და ზამთარი ზომიერად ცივი. ეს განპირობებულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უნიკალურობით, რაც საშუალებას იძლევა ჩვენს ტერიტორიაზე მრავალგვარი სამეურნეო დარგის განვითარებისათვის. ეს არის საქართველოს უცილობელი უპირატესობა ამ რეგიონის სხვა ტერიტორიებთან შედარებით.

საქართველოს გარკვეული უპირატესობა აქვს ნიადაგების თვისებრიობის მხრივაც. თუ სომხეთის ტერიტორია უმთავრესად ვულკანური წარმოშობისაა და ბევრგან ქვითაა დაფარული, აზერბაიჯანში მიწის ფონდის ერთი ნაწილი დამლაშებულია.

ნებისმიერი საკითხი, რომელიც მიწის ფონდთანაა დაკავშირებული, საქართველოში უდიდესი სირთულით გამოირჩევა. ლამის აღთქმულ ქვეყნად მიჩნეული საქართველოსათვის ეს არის ერთ-ერთი უპირველესი და უმნვავესი პრობლემა.

რატომ დადგა ჩვენში მიწის ფონდის საკითხი ასე მწვავედ? საქართველო ისტორიულად მიწათმოქმედების ქვეყანაა და სხადასხვა პერიოდში მინისა და მცენარეული საფარისადმი არასწორმა

დამოკიდებულებამ გამოიწვია მისი სავარგულების შემცირება – ნაწილობრივი ან სრული ეროზია, რა-საც ზოგჯერ შეუქცევადი ხასიათი აქვს. სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულები საერთო მიწის ფონდის 8,5%-ის შეადგენს, მათ შორის სახნავია 12-13%. უფრო სამწუხარო და დამაფიქრებელი ის არის, რომ ეს მაჩვენებელი განუწყვეტლივ მცირდება.

იმისათვის, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაშია საქართველოს მიწის ფონდი, მოვიყვან ასეთ შედარებითი ხასიათის მაჩვენებლებს. საქართველოში მიწის ფართობი, რომელიც მუშავდება, შეადგენს 16,5%-ს, იტალიაში – 5%-ს, ესპანეთში – 40%-ს, საფრანგეთში – 40%-ს, თურქეთში 29%-ს, დიდ-ბრიტანეთში – 30%-ს. დანიაში – 6%-ს, ირანში – 10%-ს [13. 176]. როგორც ვხედავთ, ჩვენიმ ქვეყნებს ძლივს ვუსწრებთ, რომელთა მიმართ პრეტენზია გვაქვს, რომ „უფრო“ მიწათმოქმედ ხალხად ვიწოდებოდეთ. საბჭოთა კავშირში 1000 სულ მოსახლეზე ყველაზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგულები საქართველოში იყო. მთლიანი მიწის ფონდით კი იგი მხოლოდ სომხეთს უსწრებს [20. 3].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის ფართობების დიდი ნაწილი (ცუდი მოვლისა და ბუნებრივი კვდომის გამო) ამორტიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ

მიწა, რომელიც 40-60 წელი იძლეოდა მოსავალს, არასწორი ექსპლუატაციის გამო გამოიფიტა და უამრავი ფიქრი, შრომა და სახსრები იქნება საჭირო მის აღსადგენად.

\* \* \*

საიდან უნდა დავიწყოთ საქართველოსათვის გეოგრაფიული გარემოს გავლენაზე საუბარი? ალბათ იქიდან, რომ მეცნიერები ამიერკავკასიასაც მიიჩნევენ ჰომო საპინსის ჩამოყალიბების ერთერთ კერად (დმანისელი ჰომინიდები). საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო პირველყოფილი საზოგადოების პერიოდის ადამიანებით, რასაც მონმობს არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები. ამ ზონის ბუნებრივი პირობები, ფლორა და ფაუნა იძლეოდა კარგ შესაძლებლობას გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანის ბიოლოგიური არსებობისათვის.

როგორც აღინიშნა, ყველგან და ყოველთვის, როცა ბუნება იძულებულს ხდიდა ადამიანს, გადაედგა ესა თუ ის ნაბიჯი თავისი განვითარების გზაზე, ის ამას აკეთებდა. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ზოგან ეს იძულება მეტი იყო, ზოგან ნაკლები, სხვაგან საერთოდ არ არსებობდა. ესეც არის ერთერთი მიზეზი ცივილიზაციის არათანაბარი განვითარებისა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველთა წინაპრებმა თანმიმდევრობით გაიარეს აუცილებელი საფეხურები ველურობიდან ადრეკლასობრივ და კლასობრივ საზოგადოებამდე, რასაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივმა პირობებმა. საქართველოში მონობა, თავისი კლასიკური სახით არ ჩამოყალიბებულა, რაშიც გარკვეულწილად „დამნაშავეა“ მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება და დიფერენცირებულობა. „უკვე ჩვენი პირველყოფილობის ისტორიაში, ქართველთა წინაპრების ხასიათის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებდა ჩვენი გარემომცველი გეოგრაფიული გარემო. უკანასკნელის მრავალფეროვნება – დიფერენცირებული პირობები, მოსაშინაურებლად ვარგისი ცხოველთა სახეებითა და მოსაშენებლად გამოსაყენებელი პურეულის, ბოსტნეულის, ხეხილისა და ვაზის სახეებით, მრავალფეროვანი წიაღისეულით (მინერალების ჯიშები, სხვადასხვა ლითონის მაღნები, საშენი მასალები) და სხვ. ობიექტურად სათანადო საფუძველს ქმნიდა ხალხის საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების, მოხოვნილების გამრავალფეროვნებისათვის. ამ ბაზაზე ჩვენი წინაპრების ხასიათი მოძრავი და გერგილიანი გახდა. ამავე მიმართულებით მოქმედებდა კლიმატური პირობებიც. ქვეყნის ჰავის დაყოფა ზომიერად თბილ და ცივ სეზონებად იწვევდა ვიტალური მოხოვნილებების გამრავლებასა და გამრავალფეროვნებას,

შესაბამისად, შრომის უნარის მეტ გამოვლენას. ამასვე უწყობდა ხელს ფიზიკური შრომის უფრო ნაკლები სიმძიმეც ზომიერი ჰავის პირობებში“ [34. 31]. აზის ვრცელ კონტინენტზე მხოლოდ საქართველოში (და კუნძულოვან იაპონიაში) აღმოცენდა ევროპული სახის ფეოდალიზმი, რაც უშუალოდ მიწისმფლობელობის ფორმებთან და მათ განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ამის მიზეზი კი, უპირატესად, იყო ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ჩვენს წინაპრებს უხდებოდათ ცხოვრება.

თავისი შეგნებული, ორიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში საქართველოსა და ქართველ ერს არაერთ დამპყრობელთან მოუწია ბრძოლა. შემოსულ მტერთან ბრძოლას, საომარი იარაღისა და ცოცხალი ძალის გარდა, სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, სიმდიდრე. დიახ, მაგრამ ეს სიმდიდრე და ძლიერება არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ, საჭიროა მისი მუდმივი კვლავწარმოება. როდის უნდა მომხდარიყო ეს, თუ სულ მუდამ მტრის მოგერიებაში იყვნენ ქართველები? – მტრის მოგერიების პარალელურად და ხანმოკლე შესვენებების დროს. ეს მომენტი კარგად ასახა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა თბილისის ორგანულ ნაწილად ქცეულ მონუმენტურ ქანდაკებაში „ქართვლის დედა“. ქართველ ქალს აქ ერთ ხელში ღვინით სავსე ფიალა უჭირავს მოყვრისათვის, მეორეში – ხმალი მტრებისათვის.

ჩვენს წინაპრებს შეგნებული ჰქონდათ საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განსაკუთრებულობა. იღია ჭავჭავაძე სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, წერდა: „ვთქვათ, მკლავმა და გულმა შეძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძლვებოდა ამითანა ომებსა და სისხლის ღვრასა?“ და იქვე სცემს პასუხს: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებაში და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმერ, პევრს ნათელს მოჰყენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“ [38. 177]. ისიც უეჭველია, რომ ჩვენი „ეკონომიური აგებულების“ უნიკალურობა აზიურთან შედარებით მისი გეოგრაფიული გარემოს კომპონენტების მრავალფეროვნებაა.

იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები საქართველოში არ იყო გადაჭიმული, ასე

ვთქვათ, თვალუწვდენელ სივრცეებზე და ისინი გაბნეული იყვნენ მდინარეთა ხეობების, მთისძირების, პატარა-პატარა დაბლობების სახით; იმის გამო, რომ ნიადაგის ქიმიური შედგენილობა და მოსავლიანობა მკვეთრად იცვლება ადგილიდან ადგილამდე და ბოლოს იმის გამო, რომ ჩვენში არ იყო აუცილებელი (ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე) მიწის ხელოვნური მორნყვა, საქართველოში არ განვითარებულა მიწის თემური მფლობელობა.

მიწის დამუშავების კოლექტიური ფორმა, როგორც ხალხის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი სახე, მიუღებელი იყო საქართველოს სინამდვილი-სათვის. შესაბამისად, საქართველოში არ ჩამოყალიბდა მიწის თემური მფლობელობა (გამონაკლისია მაღალმთიანი რეგიონი და ისტორიული ქიზიყი კახეთში), როგორც ქვეყნის შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტი. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი პირველი კოლექტიური მეურნეობა 1921 წლის შემდეგ სწორედ ქიზიყის რეგიონში ჩამოყალიბდა.

მთაში მიწათმოქმედების განუვითარებლობის, საძოვრების საერთოობის პირობებში მიწის დასაკუთრება ვერ მოხერხდებოდა. ხოლო ისტორიული ქიზიყი თავისი ბუნებრივი პირობებით ირანის ზეგანს უფრო ჰგავს, ვიდრე სუბტროპიკულ ზონაში მდებარე რაიონს. რუკაზე კარგად ჩანს, რომ იორსა და ალაზანს შორის მოთავსებულ ამ სივრ-

ცეზე არც ერთი მდინარე არ მიედინება. ჰავა აქ მშრალია და მორნყვის გარეშე მოსავალი ცუდად მოდის. ზემოაღნიშნული მიზეზები განაპირობებდა იმას, რომ ქიზიყი ისტორიულად სამეფო დომენს წარმოადგენდა. საქართველოში მიწა ეკუთვნოდათ თავადთა და აზნაურთა საკმაოდ მრავალრიცხოვან (ქვეყნის მიწის ფონდთან შედარებით) კლასს, ხოლო გლეხებს გადაცემული ჰქონდათ მუდმივ სარგებლობაში. წარმოების აზიური წესი, რომელიც იმ რეგიონის გარემო პირობებით იყო გაპირობებული (ხელოვნური მორნყვა), საქართველოსათვის ძირითადად უცხო იყო. ამანაც განაპირობა დესპოტური ხელისუფლების აღმოუცენებლობა და ფეოდალთა თავისუფლება (და თავაშვებულობაც) ჩვენს სინამდვილეში. საქართველოს ძლიერება ერთეული გლეხკაცის ღონიერებაზე იყო დამოკიდებული.

ევროპაში, კაპიტალიზმის სამშობლოში, ფეოდალიზმი კაპიტალიზმა შეცვალა, რისთვისაც აქ არსებობდა აუცილებელი ბუნებრივი პირობები. საქართველოს დიფერენცირებული ბუნებრივი პირობებიც თითქოს აკმაყოფილებდა კაპიტალიზმის განვითარებისათვის საჭირო პირობებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პერიოდში მას უკვე აღარ შეეძლო საკუთარ ბაზაზე განვითარებულიყო, რადგან დიდი ხნით მოექცა მტრულ გარემოცვაში. „მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკური განვითარება შეფერხდა. გეოგრაფიული პირობები

აქ არაფერ შუაშია, ისინი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ ოპტიმალური იყო და იძლეოდა შრომის ეკონომიკური დანაწილების თვალსაჩინოდ გაშლის საფუძველს. მაგრამ ბუნებისაგან მოცემული ეს შესაძლებლობა ჩვენმა წინაპრებმა მაშინ (სამწუხაროდ, მარტო მაშინ არა!) ვერ გამოიყენეს“ [36. 155].

საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი უძედურება ის იყო, რომ ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ჩვენში უსაშველოდ გაიწელა დროში. თუ ევროპის ქვეყნებში მისი არსებობა დაახლოებით ათასი წლით განისაზღვრა, საქართველოში ფეოდალიზმი თითქმის ორ ათეულ საუკუნეს გაგრძელდა. ფეოდალიზმის განვითარების ყველა სტადია საქართველომ გაიარა ისე, რომ მისი განვითარება დიდად არაფერს დაუჩქარებია, ანელებდა კი არახელსაყრელი საგარეო ვითარება. ამ უკანასკნელმა მომენტმა, როგორც ცნობილია, გამოიწვია სოციალური წინააღმდეგობის პროცესის შენელება, კლასთა ბრძოლის შედარებით ნაკლები გამწვავება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისტორიულ საქართველოში კლასთა ბრძოლა საერთოდ არ იყო. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, როგორ მიმდინარეობდა გლეხთა ომები ევროპასა და განსაკუთრებით რუსეთში: ქვეყნის რომელიმე პროვინციაში აგორებული ტალღა თანდათან ძლიერდებოდა და შიდა რაიონებშიც ვრცელდებოდა. სა-

ქართველოს არ ჰქონდა ასეთი ე. წ. „თავისუფალი დასახლებების“ პროვინციები, სადაც დაწყებულ სახალხო აჯანყებებს შესაძლებლობა მიეცემოდა ფართო გაქანება მიეღო.

ზოგიერთი ავტორი ცდილობს ემპირიული გზით დაასაბუთოს, რომ საქართველომ გაირა კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. კაპიტალისტური საწარმოების არსებობისა და უამრავი სტატისტიკური მონაცემების მოხმობის მიუხედავად, ყოველივე ეს არ არის საკმარისი პირობა კაპიტალისტური საზოგადოების, როგორც გარევეული თვისებრიობის, ფაქტად აღიარებისათვის. საქართველოს არ უცხოვრია ამ საზოგადოების ცხოვრებით, ქართველებს ამ საზოგადოების სიმწარისა და სიხარულის ფიალა არ შეუსვამთ. კაპიტალისტური საწარმოები ჩვენში ძირითადად უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. ამას გარდა, თვითონ მუშებიც ყოველთვის როდი იყვნენ ეროვნებით ქართველები, და კიდევ ერთი მომენტი, ყველა ისინი ნახევრად გლეხები იყვნენ და ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ „ჩამომავლობით“ მუშებად ჩამოყალიბება.

კაპიტალიზმა ვერ მოასწრო ქართველის გულსა და გონებაში გაჯდომა, ფულმა ვერ მოიპოვა საჭირო ადგილი იმდროინდელ საზოგადოებაში, ვერ გახდა დიდი გარდაქმნების მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი (ესეც ერთი მთავარი ნიშანი

- გამოვლინება კაპიტალისტური საზოგადოების განუვითარებლობისა). ქართველები ვერ ჩაებნენ ფართო აღებმიცემობაში. ისინი ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ და თავიდან „არ ეცალათ“ სავაჭრო საქმიანობისათვის. ამიტომაც, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ისტორიულად ქართველი მეფეები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ჩვენში სხვა ეროვნების ვაჭართა დაფუძნებას. დროთა განმავლობაში, ამ მდგომარეობამ არცთუ სასურველი ტრადიციის სახე მიიღო. ფეოდალურ ეპოქაში ყოველგვარ სავაჭრო და სავახშო საქმიანობას ჩვენში არაქართველები ეწეოდნენ და ქართველი თავადაზნაურები მათ ქედმაღლურად უყურებდნენ მაშინაც კი, როცა მათმა საბოლოო საათმა დაკრა. ისინი ან უნდა გარდაქმნილიყვნენ დროის მოთხოვნის შესაბამისად, ან დაღუპულიყვნენ და ისინი დაიღუპნენ თეატრალური პოზით და ქედმაღლური ღიმიღით.

საქართველოში არსებობდა წარმოების ევროპული წესი ან ევროპული ფეოდალიზმი და მისი კაპიტალიზმში გადაზრდის ყველა პირობა. ჩვენი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამის პირველ გაცხადებად უნდა ჩაითვალოს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა თამარ მეფის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. მეორე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, რომელიც შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, გახლავთ ქართლ-კახე-

თის თავადაზნაურობის მოძრაობა XVIII საუკუნის ბოლოს, რათა შემოეღოთ საქართველოში „ფრან-ციელთ მსგავსი რესპუბლიკაობა“(!), რისი მოთხოვნითაც დავით ბატონიშვილმა ერეკლე მეფეს მიმართა. სამწუხაროდ, ისტორიულმა ძნელბედობამ არ დააცალა საქართველოს თავისი „ბუნებრივი ნიჭის“ რეალიზება.

მრავალი თვისება, დადებითიც და უარყოფითიც, ტრადიციის ძალით, გადადის ერთი საზოგადოებიდან მეორეში, როგორი ძალის სოციალური რევოლუციაც უნდა ჰყოფდეთ მათ. უკვე აღვნიშნე, რომ ფეოდალიზმი ძალზე გაიჭიმა დროში საქართველოსათვის, მისთვის დამახასიათებელმა თვისებებმა კი დიდი გამძლეობა შეიძინეს. ამით უნდა აიხსნას ნაწილობრივ ის მომენტი, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი თითქოს ისევ ფედალური საზოგადოების ცხოვრების წესით ცხოვრობს. სამწუხაროდ, დღესაც ბევრნი არიან ჩვენში ობლომოვები და თათქარიძეები და ლუარსაბიც მარტო ერთი ეპოქის თავადი როდია.

ზემოთ აღვნიშნე, რომ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში ნაწილობრივ ხელი შეუშალა არახელსაყრელმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა გარემომ. აქვე უნდა აღვნიშნოთ წმინდა „გეოგრაფიული“ ხასიათის სხვა მიზეზები: ბუნებრივი რესურსებით არცთუ ისეთი სიმდიდრე, ცუდი

კომუნიკაციის საშუალებები, გამომდინარე ქვეყნის ფიზიკური გეოგრაფიიდან, და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – ქვეყნის სიღრმეში არ არსებობდა ბუნებრივად კარგად დაცული ქალაქი და, ამავე დროს კარგად დაკავშირებული სხვა რაიონებთან, რომელიც შეძლებდა თავის გარშემო გაერთიანებინა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება, ხელი შეეწყო ქვეყნის საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებისათვის.

\* \* \*

როგორი იყო ქართველების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ისტორიულ ეპოქაში და რა გავლენის მოხდენა შეეძლო მას ერის კულტურასა და ცხოვრების წესზე?

ძალზე ძნელი, საპატიო და ამავე დროს პრეტენზიულიც არის, რომელიმე ერმა დაიჩინოს კაცობრიობის ისტორიაში რაიმე არსებითის აღმოჩენა და ისიც მის გარიურაჟზე. ამის მიუხედავად, უდავოა ქართველური წარმომავლობის ტომების დამსახურება იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მიერ ლითონის ათვისების საქმეში.

რეინა იყო უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში. იმ უპი-

რატესობამ, რაც ქართველურ ტომებს ჰქონდათ სხვებთან შედარებით (ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, დიფერენცირებული ბუნებრივი პირობები) რკინის იარაღის ათვისებამდე და ამ იარაღის გამოყენებით გამოწვეულმა ორმაგმა უპირატესობამ შეაძლებინა ქართველურ ტომებს, დიდხანს მდგარიყვნენ იმდროინდელი მონინავე ცივილიზაციის ხალხების გვერდით.

ასეთივე საყოველთაო აღიარება მოიპოვა 8000 წლის წინათ ქართველური ტომების მიერ ვაზის კულტურის მოშენებამ სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ დროიდან უნდა მოდიოდეს საქართველოში ლვინის დაყენების ტექნოლოგიების შემუშავება.

მრავალ სახელწოდებათაგან, რომლებსაც სხვადასხვა ხალხი იყენებდა საზოგადოდ ქართველების, ან რომელიმე მისი კუთხის თუ ტომის აღსანიშნავად, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბერძნების მიერ შემოტანილი „გეორგია“. ი. კილინგერი, ავტორი ცნობილი კაპიტალური შრომისა – „მიწათმოქმედების პატრიარქებს შორის“, სხვადასხვა სამიწათმოქმედო კულტურის შედარების საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ქართველები ისე მტკიცედ არიან მიწასთან დაკავშირებული, როგორც (არავინ) არსად სხვა ქვეყანაში“ [ციტ. 13. 191]. ქართველები ნამდვილი მიწათმოქმედნი მაშინ გახდნენ, როცა რკინის იარაღებით დაიწყეს მიწის დამუშავება და იქიდან მოყოლებული არ მიუტო-

ვებიათ ეს საქმიანობა. საუკუნეების განმავლობაში მიწასთან ურთიერთობაში ჩამოყალიბებულმა ნიშან-თვისებებმა დიდი გამძლეობა შეიძინეს და ცხოვრების ყველა სფეროზე იქონიეს გავლენა. ყოველივე ეს კარგად ესმოდათ ჩვენი ეროვნულობის ცნობილ მოღვაწეებს: „შეიძლება ჩვენ, ქართველებმა, ვაჭრობაც დავიწყოთ, ქარხნებიც და ფაბრიკებიც გავმართოთ, მაგრამ თვითონ ხალხი ჩვენი მაინც მუდამ მეურნეობის მიმდევარი, მიწის დამმუშავებელი ხალხი იქნება. თვითონ ბუნებას, ისტორიულ ცხოვრებას მიუნიჭებია ჩვენთვის მეურნეობა.

მეურნეობიდან უნდა მოველოდეთ ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებასა და წარმატებას“ [ციტ. 12. 114].

აქ მინდა მოვიყვანო ერთი რიგითი მაგალითი – მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განაპირობოს ქართველთა ძირითადმა სამეურნეო საქმიანობამ ჩვენი ერის ზოგიერთი თვისება. ისტორიულად ქართველები ერთ-ერთ საუკეთესო და მამაც მეომრებად მიიჩნეოდნენ აზის და არა მარტო აზის კონტინენტზე. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ მიწათმოქმედი ხალხები ნაკლები აგრესიულობით და მეომრული სულით გამოირჩევიან. ამიტომ ჩვენ ნაკლებად გვიხდება მსჯელობა ქართული ლაშქრის განსაკუთრებულ, ე. ნ. ჯარისკაცულ სულზე. თავის დროზე დავით ალმა-

შენებელმა ყივჩაღები ჩამოასახლა საქართველოში. მომხდურ მტერს, შესაძლებელია, ქართული ლაშ-ქარიც გაუმკლავდებოდა, მაგრამ ამისათვის საჭირო იქნებოდა „ქუდზე კაცის გამოსვლა“ ან, ყოველ შემთხვევაში, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილის მობილიზაცია. ეს კი ქვეყნისათვის, რომლის სამეურნეო ნელინადი 8-9 თვეს გრძელდებოდა, ეკონომიკის მოშლას უდრიდა. ამიტომ მუდმივი ჯარი დაკომპლექტდა ყივჩაღებისაგან. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, თუ რა საძნელო იყო ქართველი გლეხისათვის ერეკლე II-ის მიერ შექმნილ „მორიგე ჯარში“ გასვლა.

ქვეყნის სამეურნეო საქმიანობა ხშირად რელიეფურად აისახება ერის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. მაგალითად, საყურადღებოა, რომ ვაზის მოტივი, მისი სხვადასხვა ნაწილის გამოსახულება, დომინირებს ქართულ ორნამენტში, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს ქართული ქრისტიანული არქიტექტურა. ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში ძირითადი ადგილი რომ ვაზს ეკუთვნის, ამას შემდეგი ფაქტიც გვიჩვენებს: „ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს, დიდ გარჯას, დიდ ხარჯს, დიდ დროს თხოულობს“ [38. 188]. საქართველოში მრავალგვარი კულტურული მცენარე ხარობს, მაგრამ, შეიძლება, აღნიშნული მიზეზებით საბოლოოდ ვაზმა იმძლავრა და გვიან ეპოქაში, როცა ვაზი ქართველების „ეროვნული კულტურა“ გახდა,

მას ისეთ ადგილებშიც კი აშენებდნენ, სადაც მაინცდამაინც არ ვარგობს. მიწის სიმცირე დღე-საც შესამჩნევია იმერელი გლეხისათვის, რამეთუ ის ვაზის მწკრივებს შორის სიმინდსა და ლობიოს თესავს (ადგილის ეკონომიურად გამოყენების მიზნით). ვაზის ქართველთა „ეროვნულ კულტურად“ გადაქცევას თვალსაჩინოდ გვიდასტურებს ჩვენი სათაყვანებელი „შენ ხარ ვენახი“ და ის სიმპა-თიური ფაქტიც, რომ ზემო იმერეთის ერთ პატარა მთიან სოფელს საღვინე ჰქვია.

ილია ჭავჭავაძემ ზუსტად დაინახა, თუ როგორ იყო დაკავშირებული ქართველი გლეხი ვაზთან. „ვაზი, ვენახი, თვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურაა მიწათმოქმედებაში და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰარებულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქე-რისა. აქ გონების, საზრიანობის ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქე-დამ გახსნისა და წარმატებისაც“ [38. 188]. ილიას კარგად ესმოდა ვაზის კულტურის შრომატევადობა, რასაც იგი უკავშირებდა ქართველთა მკვიდრ მეურნეობას და ასკვნიდა, რომ ამიტომაც ქარ-თველებისათვის უცხოა მოხეტიალე ცხოვრებაო. ილიამ კარგად „დაიჭირა“ ვაზის კულტურის გავ-ლენა არა მარტო ქართველთა სამეურნეო, არამედ მათ სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზეც. „ეს

ქონებრივი და ზნეობრივი ლირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია, კარგად უნდა ზემოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. ამიტომაც გრძნობა საკუთრების დანდობისა და პატივდებისა აქ უფრო მეტ საზრდოობას უნდა ჰქონილობდეს, ვიდრე იქ, საცა უძრავი ქონება მოკლებულია ამ ორნაირ, ადამიანთა მიერ სამართლიანად პატივსაცემსს ლირსებას“ [38. 189].

ფეოდალურ საქართველოში, რომელშიც ქართველმა ერმა თავისი შეგნებული ცხოვრების (ისტორიის) ძირითადი ნაწილი გაატარა, ფაქტობრივად არსებობდა მიწაზე კერძო საკუთრება.

აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლი, კახეთი), სადაც მიწა მეტ მოსავალს იძლეოდა, გლეხთა დაკაბალება უფრო შორს წავიდა და ბატონყმობის უღელიც უფრო მძიმე იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, ხოლო საქართველოს მთაში ბატონყმობა საერთოდ ვერ ჩამოყალიბდა. ეს მომენტები დღემდე აპირობებენ ამ მხარეების მცხოვრებთა მენტალურ განსხვავებულობებს. ადარებდა რა მთისა და ბარის მცხოვრებლების სულიერ ცხოვრებას, ვაჟა-ფშაველა წერდა: „თუ ამ ისტორიულს ცხოვრებას, წარსულს და თუნდ აწმყოს, გავუწევთ ანგარიშს, ვივარაუდებთ თავისუფალი კაცის ყოფა-მდგომარეობას, მაშინ ერთის გაფართოება აპოლონის ტაძარში, ხოლო მეორის გაძევება, აღარ

გაგვიკვირდება. სხვაც რომ არა ვსთქვათ რა, გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ფშავლის ქედი ბატონ-ყმობის უღელს არ გაუხეხია. მთას სხვა ბატონი არცა ჰყოლია, გარდა ლვთისა და ხატისა“ [9. 162]. და იქვე: „მისი გული და გონება თავისუფალი იყო, ყოველმხრით ფრთა გაეშალა, დრო ჰქონდა დაკვირვებისა, ფიქრისა, ოცნებისა“ [9. 163].

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის, იმერეთის მთები ძირითადად ნაკლებმოსავლიანია. იმერეთის მაღლობის მოსახლეობა, ამავე დროს, მცირემინიანობას განიცდის. მიწის ნაგლეჯები, რომელზეც აქაურმა გლეხმა შეიძლება მოსავალი მოიყვანოს, გაბნეულია სერებსა და გორაკებზე, მთების უბეებში. მიწის დამუშავების გარდა ამ კუთხის მოსახლეობას სხვა საქმიანობის წარმოება ნაკლებად შეეძლო და სხვა სახსარი თითქმის არ გააჩნდა. ეს მცირემინიანობა იწვევდა მიწის პატარა ნაკვეთის გამოც კი დიდ დავასა და კინკლაობას. „იმერეთში რამდენიც კორტოხია, იმდენი – ბატონია“. ამ სიტყვებში ის აზრი გამოსჭვივის, რასაც შუა საუკუნეების პერიოდის ევროპელი ფეოდალი გულისხმობდა გამოთქმაში: „ჩემი სახლი, – ჩემი ციხესიმაგრეა“.

ისტორია ზოგისთვის დედაა და ზოგისთვის დედინაცვალი. საერთოდ, საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით ვარგის ქვეყნად უნდა მივიჩნიოთ ცივილიზებული

ერის ნორმალური ფუნქციონისათვის, მაგრამ „ბე-ვრი ჩაფიქრებია ისეთ სურათსაც, როცა ამა თუ იმ ხეობის გაშლილ ფერდობზე, რომელიც ადამიანს სამეურნეო მიზნებისათვის გამოუგლეჯია ბუნე-ბისათვის, მშრომელი კაცი ხეზე ბანარგამობმული გულმოდგინედ თოხნიდა საყანე მიწას“ [4. 68]. აქამდე მოიყვანა ქართველი კაცი თავისმა შრო-მისმოყვარეობამ და ამიტომაც არის ქართველი შრომისმოყვარე.

მსოფლიოს ხალხებს მაგალითად აქვთ ჰოლან-დიელების სარისკო ბრძოლა ზღვის სტიქიასთან მიწის დამატებითი ფართობის გამოგლეჯისათვის. თავზესაყრელად ქართველებსაც არასოდეს ჰქო-ნიათ მოსავლიანი მიწის ფართობები. ამისათვის ისინი აგებდნენ ტერასებს და მთას სტაცებდნენ სავარგულებს. დადასტურებულია, რომ საქართ-ველოში  $30-40^{\circ}$  დახრილობის პირობებშიც აგებდ-ნენ ტერასებს და მოყავდათ სასოფლო-სამეურნეო კულტურები [9. 68]. ტერასული მიწათმოქმედება მოითხოვდა არა მარტო დიდ შრომით დანახარჯებს (როგორც წესი, ტერასებთან ერთად გაყავდათ სარწყავი არხებიც), არამედ უდიდეს პროფესიულ კულტურასა და შრომისმოყვარეობას.

უკვე აღვნიშნე, როგორ კრიტიკულად რთულ პირობებში უხდება ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება. მაგრამ არის ისეთი ზონებიც, სადაც

ფაქტობრივად შეუძლებელია სამიწათმოქმედო დარგების განვითარება (ცივი კლიმატი, ნიადაგის უნაყოფობა, უაღრესად რთული რელიეფი) და სა-დაც საერთოდ მეტად რთულ პირობებში უხდებათ ადამიანებს ცხოვრება. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების აქტიური რაიონია და მდიდარ მხარედ მიიჩნევა, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, ხელს უწყობს მათი სოცია-ლური მოთხოვნილებების მრავალფეროვნებასა და დაკმაყოფილებას.

ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიის ფარ-თობი, თუ გავითვალისწინებთ მთისა (70%) და ვაკე და დაბლობი ადგილების (30%) შეფარდებას, მთლიანობაში ნაკლებ ოპტიმალურად უნდა მივიჩ-ნიოთ ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის. ამიტომ, ვაკე და დაბლობი ადგილების სიმცირისა და მთიანი რეგიონის ნაკლებ ნაყოფიერების გამო, ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი კვადრატული კილომეტრის გონივრულ გამოყენე-ბას. მთისა და ბარის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაყოფიერი და თანასწორუფლებიანობის საფუძ-ველზე დამყარებული ურთიერთობა გვაქვს ისტო-რიულ საქართველოში. „ბარელს მთა სჭირდებოდა, მთიელს კიდევ – ბარი. უერთმანეთოდ მათ არსე-ბობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყა-ლობით საქართველოში შუა ნაწილი, ბარი, ეკონო-

მიკურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან, ისევე როგორც წინაუკმო მთა და ბართან, უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და ალებმიცემობის გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიემართებოდა“ [42. 5]. ამ ურთიერთობის დაწვრილებითი გარჩევა და მნიშვნელობაზე მსჯელობა სცილდება ჩვენი ნაშრომის საზღვრებს, ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობა, როგორც წაყოფიერების, ისე თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით, დაირღვა. საერთო ტენდენცია ის არის, რომ ჭარბი მოსახლეობა მთიდან ბარში სახლდება, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ამ პროცესმა ჯერ მასობრივი ხასიათი შეიძინა, ხოლო შემდეგ უმართავი პროცესი გახდა. ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობის ფონზეც კი საცოდავი სანახავი იყო ჩვენი მთიანი რეგიონის სოფლები ცხოვრების პირობების თვალსაზრისით. იმის მაგივრად, რომ იქაური მცხოვრებლებისათვის ადგილზევე შექმნილიყო ნორმალური პირობები, სხვადასხვა მიზეზისა და მოსაზრების გამო დაიწყეს მათი ტოტალური ჩამოსახლება ბარში. ყოველივე ამან ლამის გააუკაცრიელა ზოგიერთი მთიანი ისტორიული კუთხე. ამ პრობლემის უშუალო მიზეზი გახლავთ გზა. ახალ ეპოქაში მთიელებისათვის ძალზე ძნელი იყო არსებული გზით ბართან კავშირი, მაგრამ

როცა ტალღა აგორდა, ისინი არსებული გზითაც („გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვიწრო ბილიკი კლდეზედა“) საკმაოდ სწრაფად დაეშვნენ ბარში, ხოლო უკან, მთაში ასვლა როგორც პირდაპირი, ასევ გადატანითი მნიშვნელობით, ცხოვრების ნირშეცვლილთ ძალზე ეძნელებათ, რადგან უგზოობას მოსდევს ის „რომანტიკა“, რასაც მივარდნილ მთაში ცხოვრება ჰქვია. აი, ასეთი პრობლემების გადაჭრა უხდება ჩვენს საზოგადოებას 21-ე საუკუნეში.

თავის დროზე მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი გზის არსებობა გამოიწვევდა ინტენსიურ მიმოსვლას მთასა და ბარს შორის და არა მთის საბოლოოდ დაცლას. საუკუნეების განმავლობაში, ემპირიული გზით დაგროვილი, ადგილობრივი პირობებით გამოწვეული სამეურნეო საქმიანობის წარმართვის სპეციფიკა, რომელსაც ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობა კოლექტიური მეხსიერების საშუალებით თაობიდან თაობას გადასცემდა, უცებ, ერთი თაობის ცხოვრების განმავლობაში თითქმის მთლიანად დაიკარგა. არადა, კულტურისა და ყოფის ისტორიულ ტრადიციებს შეუძლიათ ძალზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ წარმოების ხარისხზე და ეფექტიანობაზე, როგორც თანამედროვე ეტაპზე, ასევე მომავლის თვალსაზრისით, თუ მოსახლეობის მიგრაცია სასურველ ფარგლებში იქნება შენარჩუნებული.

მთის რეგიონის მოშლის დიდი უბედურება, სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ მანამდე ვერ შეიგნო, სანამ ეს ეკონომიკას, პირველ ყოვლისა, სოფლის მეურნეობას, არ შეეხო და მწვავედ არ დააყენა სურსათის იმპორტის პრობლემა. არადა ყველაფერი ეს რომ ძნელი გასათვალისწინებელი არ იყო, ამას ქვემოთ მოყვანილი ციტატაც მოწმობს: „საქართველოს ბარს უკავია მთელი ტერიტორიის დაახლოებით 1/3 ნაწილი, ე. ი. დაახლოებით 23000 კმ<sup>2</sup>, თუ კოლხეთის ჯერ ამოუშრობელ ჭაობთა მასივს გამოვრიცხავთ – 21000 კმ<sup>2</sup> და ამ ფართობზე ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის 80%. საშუალო სიმჭიდროვე მოსახლეობისა აქ აღემატება 160 მცხოვრებს. მთელი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რომ ასეთი სიმჭიდროვე არსებოდეს, მაშინ ჩვენი მოსახლეობა 11 მილიონს გადააჭარბებდა, ე. ი. მეტი იქნებოდა, ვიდრე დღევანდელ პორტუგალიასა და უნგრეთში. შესაბამისად, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 80%-ზე მეტი იქმნება ბარის რაიონებში. სხვა რეგიონებშიც რომ ასე ყოფილიყო კონცენტრირებული ნარმოება და მოსახლეობა, როგორც ბარში, მაშინ ჩვენი ეროვნული შემოსავალი სამჯერ მეტი იქნებოდა“ [31. 154]. მართალია, მთას ისე მჭიდროდ ვერასოდეს დავასახლებთ და ავითვისებთ, როგორც ბარს, მაგრამ ჩვენი მთის მდგომარეობის ეკონომიკის ენაზე გადმოცემა მართლაც დამალონებელია.

იმავე ტერიტორიაზე მთიელი თავის მეურნეობას ვერ გამართავს როგორც პარში, რადგან მეცხოველეობის განვითარებისათვის მეტი ტერიტორია, საძოვრები და სათიბი ადგილებია საჭირო.

თანამედროვე პირობებში აშკარა გახდა სოფლად ზედმეტი მოსახლეობის არსებობის პრობლემა. თანამედროვე ტექნიკა და საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამსხვილება იწვევს „ზედმეტი“ მოსახლეობის გაჩენას. შესაბამისად, აუცილებელია მათთვის მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნა როგორც ქალაქში, ასევე სოფელში. ეს თანამედროვე საქართველოს საერთო ეროვნული გამოწვევაა.

საქართველოში, გამომდინარე მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან, დიდი პერსპექტივები აქვს ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას. აქ, შედარებით მცირე ტერიტორიაზე (რა თქმა უნდა, არა ყველაგან), კოოპერაციის არსებობის პირობებში შესაძლებელია მდიდარი, და რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია, მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება. მომავალში ალბათ უფრო ოპტიმალურად უნდა შევუფარდოთ მსხვილი მექანიზებული მეურნეობები და ინდივიდუალური კოოპერაციული მეურნეობები, რომლებმაც უნდა მოგვცენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მთა არ არის მისი ძლიერების მთავარი წყარო. ქვეყნის ძლიერების მთავარ წყაროდ დღემდე რჩება ვაკე და დაბლობი ადგილები. ქართველების მინაზე მიჯაჭვულობის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ბერძნები, როგორც უკვე აღვნიშნე, მათ მიწათმოქმედ ხალხს უწოდებდნენ. არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ სიტყვა „ლვინო“ დღევანდელი ევროპის ხალხთა ენებში ქართული-დან შევიდა. ეს არ უნდა იყოს ისტორიის კაპრიზი ან შემთხვევითობით გამოწვეული, რადგან საქართველოში გამოყვანილია ვაზის 500-მდე ჯიში. საუკუნეების განმავლობაში საქართველოში გამოყვანილია 200-ზე მეტი ვაშლის, მსხლის, ატმის, ხორბლის, ღომის, ფეტვის ჯიშები. სიმინდის კულტურა საქართველოში XVII საუკუნეში შემოვიდა, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა მაინც გამოიყვანეს სიმინდის რამდენიმე ახალი ჯიში. ქართული ვაზის 500-მდე ჯიში მსოფლიოში არსებულ ჯიშებთან შედარებით შეადგენს 2,5%-ს. ამავე დროს, ეს 5,5-ჯერ მეტია, ვიდრე სომხეთში, 3-ჯერ მეტი, ვიდრე აზერბაიჯანში, 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში [17. 37].

ვაზი არის უაღრესად შრომატევადი კულტურა და მოითხოვს ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე უამრავი ოპერაციის ჩატარებას. ვაზის მომვლელი გლეხის სამეურნეო წელი 8-9 თვეს

გრძელდება, ხოლო ქვევრში ჩასხმულ ღვინოსაც მთელი ზამთარი მოვლა-პატრონობა სჭირდება. ამიტომ მღერის ქართველი გლეხი – „ვაზო, შვილი-ვით ნაზარდოონ“. ასეთი შრომატევადი კულტურის პატრონი ქართველები ბუნებამ მეტად შრომისმოყვარე ხალხად და, რაც მთავარია, თავისი ძირითადი საქმიანობის პროფესიონალებად ჩამოაყალიბა. აქტიურმა და გრძელმა სამეურნეო წელიწადმა ქართველებს შრომისმოყვარეობასთან ერთად მუდმივი სამუშაო მისცა და ადგილის დედის სიყვარული გაუღვივა. იმ ხალხებს, სადაც სამეურნეო წელი 5-6 თვეს გრძელდებოდა, ყოველთვის პრობლემად ჰქონდათ მოსახლეობის მუდმივი დასაქმება მთელი წლის განმავლობაში. სამაგიეროდ, მათვის პრობლემა არ იყო ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება. ქართველები ისტორიულად „გლეხური ცხოვრების წესს“ მისდევდნენ, რაც ახალ ეპოქაში გარკვეულ შეუსაბამობაში აღმოჩნდა დროის მოთხოვნებთან. ამ მოვლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად ჰქონდა გააზრებული ვაჟა-ფშაველას: „ჩვენს გლეხეკაცობას მკვიდრად უდგია ფეხი მშობელს დედამიწაზე, იმას ეალერსება და იმას ეხუტება და იხუტებს გულმკერდში.

დღეს ჩვენი ერის სისუსტესა და ძლიერებას აქა აქვს თავი და ბოლო...

მართალია, დღეს ესოდენი სიყვარული თავის მიწა-წყლისა და უფრო გუთნისა, ბევრში ზარალს

აძლევს ჩვენს ხალხს, არ აძლევს ნებავს გარეთ გასვლისას, – მოეკიდოს სხვადასხვა ხელობას, მაგრამ საპოლოვოდ კი დიდად და ბევრად სახეიროა ჩვენთვის, ვინაიდან ტერიტორია გვენახება და, ხომ მოგეხსენებათ, უმინანყლო ერი იგივეა, რაც უფრთოდ ფრინველი, უწყლოდ თევზი და უჰაეროდ სიცოცხლე“ [9. 211]. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მცირერიცხოვანი ქართველებისათვის არამობილურობა შეიძლება თვითშენარჩუნების, გადარჩენის ინსტინქტითაც იყოს განპირობებული. ალბათ არც ისე ბევრია ქართველებზე არამობილური ხალხი საცხოვრებლის გამოცვლის თვალსაზრისით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ არ ეთმობოდათ შრომით და ოფლით შექმნილი სიმდიდრე და, რაც კიდევ აღსანიშნავია, აზიური დესპოტიებით გარშემორტყმულებს, სისხლით მოპოვებული სიმდიდრე არასოდეს დაუყენებიათ ოფლით მოპოვებულ სიკეთეზე წინ.

„ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, ჯერ უნდა გულიდან ამოილოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამაპაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითეული ვაზია, თვითეული ხეა მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის, ყოველივე ამის გულიდან ამოღება ძნელია“ [39. 189].

სხვაგან აღვნიშნე ვაზის კულტურის გავლენა ქართველი კაცის მენტალობის ჩამოყალიბებაზე, ვაზის გავლენით ჩამოყალიბდა ქართველი ქართველად. დღეს დასავლეთი საქართველოს მასაზრდოებელია სუპტროპიკული კულტურები (მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად), რომელთაც ასევე დიდი შრომა სჭირდებათ. მაგრამ ამ კულტურებს მაინც ახასიათებთ შრომითი დანახარჯების ნაკლები ინტენსივობა და სამეურნეო საქმიანობის ხასიათის შედარებითი სიმარტივე, რაც ქმნის პრობლემებს ამ რეგიონის მოსახლეობის მუდმივ დასაქმებაში და რაც საბოლოოდ მათი ცხოვრების წესში აისახება. გარდა ამისა, განა შეედრება ასი წლის სიყვარული იმ სიყვარულს, რომლითაც ქართველს უყვარს ვაზი და რომელსაც საუკუნეებმა მხოლოდ სიმტკიცე შესძინეს.

ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობის რთული ხასიათი კარგად „დაიჭირა“ ვაჟა-ფშაველამ: „რაც ცოდნა და გამოცდილება მამა-პაპამ უანდერძა გლეხეკაცობას, ამან კარგად შეინახა: საცა ვენახი ხარობს, მშვენივრად შემუშავებული ვენახი აქვს: საცა საქონლის მოშენებას უწყობს ადგილი ხელს – საქონელი ჰყავს მოშენებული და, ხვნა-თესვას თუ ვიტყვით, რიყესა კლდეზედაც სულადი, პური მოჰყავს“ [9. 198]. ქართველი კაცისა და ვაზის კავშირის დამარცხება რომ ძნელი საქმე იყო, ამას მიხვდნენ თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი, რომ-

ლეპიც სულ მუდამ ვენახის აჩეხვაში იყვნენ. თურქებმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ შეცვალეს აქ არსებული მეურნეობის წესები (1578 წ.), რამაც ვერ გაამართლა და იძულებულნი გახდნენ, ისევ ადგილობრივი წესების უპირატესობა ეცნოთ. საბოლოოდ ამ მხარეში ვენახის განადგურების მიზეზი მაინც თურქთა ბატონობა და მისი მძიმე შედეგები (დიდალი გადასახადები, მუსლიმობა და სხვა) გახდა.

ვაზთან არის დაკავშირებული ქართველი გლეხების უმრავლესობა როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად და ამ ურთიერთობაში რაიმე ბზარის გაჩენა გამოიწვევს შეუქცევად მორალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ძირითადად სამეურნეო საქმიანობაზე ხელის აღება გამოიწვევდა დამოუკიდებელი სახის დაკარგვას და ქართველების აღრევას სხვა ეთნოსში. ამიტომაც იყო მიწისა და კაცის ეს კავშირი მტკიცე, რამაც ქართველებს ადგილის დედის სიყვარული განუვითარა და არ გააღვივა მათში მიდრეკილება ჯგუფური მიგრაციებისაკენ.

ცნობილია კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე მცხოვრები ერთ-ერთი ტომის – უბისების ტრაგედია. მას შემდეგ, რაც რუსეთმა თურქეთი დაამარცხა და ამიერკავკასია საბოლოოდ შემოიერთა, არასასურველი ელემენტების განდევნისა და კოლონიზატორული მოსაზრებების

გამო მათ წინადადება მისცეს, თურქეთში გადა-  
სახლებულიყვნენ. გადასახლებასთან დაკავშირე-  
ბულ ყოველგვარ ხარჯს მეფის ხელისუფლება  
კისრულობდა. და უბიხები წამოეგნენ ამ ანკესზე.  
წამოეგნენ იმიტომ, რომ თურქეთში მათ ენეოდათ  
რელიგიური ერთიანობა, ხოლო უკან ალბათ ნაკ-  
ლებად – ადგილის დედის სიყვარული. ასე რომ,  
მათ თავიანთი ავლადიდება აიკიდეს, გემებში ჩა-  
ტვირთეს და გაემგზავრნენ. ისინი რომ ყოფილიყ-  
ვნენ მიწათმოქმედი ხალხი და შეექმნათ თუნდაც  
საშუალო დონის სამიწათმოქმედო კულტურულ-სა-  
მეურნეო ტიპი, მაშინ ძალზე ძნელი იქნებოდა მათი  
ცოცხლად ამოგლეჯა მშობლიური ადგილებიდან.

მიგრაციულობის თვალსაზრისით ამერიკელე-  
ბზე მობილური ხალხი ძნელი მოსაძნებნია. აშშ-ში  
არის მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა,  
მაგრამ ამ დარგში დასაქმებულია მოსახლეობის  
მხოლოდ 4%, რაც უმნიშვნელო გავლენას ახდენს  
საერთოდ ამ ქვეყნის ცხოვრების წესზე. ამერიკე-  
ლები თავიდანვე ჩამოყალიბდნენ როგორც სამრეწ-  
ველო, ბურჟუაზიული, მოგებაზე ორიენტირებული  
ხალხი. მათი წინაპრები უკეთესი ცხოვრების საძებ-  
ნად გადმოსახლდნენ აქ ძველი სამყაროდან, რასაც  
იმ დროს თავისი რომანტიკა ჰქონდა. ამიტომ არ  
უნდა გაგვიკვირდეს, როცა საშუალო ამერიკელი  
შტატიდან შტატში იოლად გადადის საცხოვრებ-  
ლად.

აქ გვინდა მცირე დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ქართველები არასოდეს ყოფილან ბუნებრივი პირობებით განსაკუთრებულად განებივრებულნი, მათ თავიანთი სარჩო-საბადებელი ხეზე არ უკრეფიათ. სამაგიროდ, მათი სამშობლოს ზომიერმა კლიმატმა და დიფერენცირებულმა ბუნებრივმა პირობებმა დიდად განსაზღვრეს მათი განვითარების მრავალსახიანობა. ამიტომაც არ არის სწორი თუნდაც ხატოვნად მიჩნეული გამოთქმა, რომ საქართველოს ღმერთმა თავისი კალთიდან დააბერტყა ყოველგვარი სიკეთე. გულისხმიერმა ხასიათმა, შეერთებულმა უდიდეს შრომისმოყვარეობასთან, შეაძლებინა ქართველ კაცს ბუნებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობა. ყოველივე ამის შედეგია ყველა დროის საქართველო.

საერთო საშინაო ბაზრის შექმნისათვის და საბოლოოდ, კაპიტალიზმის განვითარებისათვის საჭიროა კომუნიკაციების, მიმოსვლის საშუალებების, კარგი გზების არსებობა. საქართველო ყოველთვის განიცდიდა, ასე ვთქვათ, ქრონიკულ უგზოობას. ქვეყნის მთიანი რელიეფი არ იძლეოდა კარგი გზების გაყვანის შესაძლებლობას. ამასთანავე, ის გზა ფუნქციონირებს მუდმივად და კარგად, სადაც მუდმივად მოძრაობები ხალხის მასები. ეს მშვიდობიანი მომისვლა კი ხშირად ირლვეოდა საქართველოში.

დიდ უგზოობას განიცდიდა რუსეთის იმპერიის საკუთრივ რუსული ტერიტორიები, რაც გარკვეულად განაპირობებდა მის ნელ განვითარებას, ხოლო განვითარების დაბალი დონე ისევ და ისევ ქრონიკულ უგზოობას. აუტანელი ტალახი რუსეთის ქალაქების ქუჩებში და გზებზე შენიშნული აქვთ ევროპელ მოგზაურებსაც [50. 110].

საქართველოს არა აქვს თავისი დედამდინარე ისეთი მნიშვნელობისა, როგორიცაა ნიღოსი ეგვიპტისათვის, რაინი გერმანიისათვის, დნეპრი ან ვოლგა რუსეთისათვის; თითქმის ყველა დიდი ცივილიზაცია რომელიმე დიდი მდინარის პირას გაიშალა. საქართველოს აქვს თავისი მდინარეები – მტკვარი, რიონი. მაგრამ, როგორც ჩანს, პატარა მდინარეები მაინც ლოკალურ ცივილიზაციებს თუ ასაზრდოებენ. შეიძლება ამიტომაც აფრთხილებდა კონსტანტინე გამსახურდია თანამოძმებს, დიდი მდინარეების პირას დაბადებულმა ბიჭებმა არ გვაჯობონო.

\* \* \*

მდინარეების შემდეგ ყოველგვარი მნიშვნელობით ზღვას უნდა მივადგეთ. ზღვამ გამოიყვანა მსოფლიო არენაზე ფინიკიელები, ბერძნები, პორტუგალიელები, ესპანელები, ინგლისელები, იაპონელები, ამერიკელები; ზღვაზე და სრუტეებზე გასასვლე-

ლად ხდებოდა ომები და იღვრებოდა სისხლი; ზღვაზე და სრუტეებზე გასასვლელის უქონლობამ ძალზე დააზარალა მთელი რიგი ხალხები; საქართველოს ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი და ქართველებმა ის ვერ გამოიყენეს. რით შეიძლება თავი ვიმართლოთ? განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როცა შესაძლებელი გახდა ზღვაზე მოგზაურობა, საქართველოში ზღვაოსნობა განვითარებული იყო. ამის დადასტურებად შეიძლება მივიჩიოთ ძველი ქართული საზღვაო ტერმინოლოგია [2. 174], თქმულება არგონავტების შესახებ, სავაჭრო გზის არსებობა ფაზისზე და მტკვარზე და ის ფაქტი, რომ თანამედროვე თურქეთში ქართველური წარმოშობის ლაზები უპირველეს და საუკეთესო ზღვაოსნებად არიან მიჩნეული. მთელი შემდგომი პერიოდის საქართველო აზიას ებრძოდა და აქ ზღვა არაფერ შუაში იყო. უფრო გვიან, ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის პერიოდში ხმელეთით უშუალო ურთიერთობა უფრო ხელსაყრელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში ზღვისადმი დიდი მიდრეკილება ქართველებს არ გამოუმუდავნებიათ. საქართველოს ძლიერების ხანაშიც მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო საკითხები მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში წყდებოდა და საქართველოს ზღვის გადაღმა მხრიდან მნიშვნელოვანი მეზობელი არ ჰყოლია. ახალ პერიოდში, როცა ევროპამ თავისთავადაც და სხვის თვალშიც

საგრძნობი წონა შეიძინა, ცივილიზებული სამყაროსაკენ ზღვით გასასვლელი – ბოსფორის სრუტე – თურქებმა საგულდაგულოდ ჩაკეტეს. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ცარიზმს არ უზრუნია აქ ფლოტის შექმნისათვის, მან ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთიც კი ვერ აითვისა ჯეროვნად, რასაც ყირიმის ომის შედეგები და მისი დღევანდელი სტატუსიც მოწმობს.

ასე რომ, ცისფერი გზა მსოფლიო ოკეანეებში მოგზაურობისაკენ ქართველებისათვის ჩაკეტილი აღმოჩნდა; ჩვენთვის ის ვერ გახდა სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი გზა; მას არ გაუტყორცნია მშობლიური კუთხიდან ქართველები სხვა ქვეყნების „ასათვისებლად“; ეს მთელი ერისათვის ტრადიციაა; ვეღარ წარმოიდგინა ქართველმა ერმა სამშობლოსთან სამუდამო ან დიდი ხნით განშორება; ქართველი კაცი ვერ გახდა დიდი ზღვაოსანი, ვერ გავიდა მსოფლიო საზღვაო მერიდიანებზე, ოკეანე ვერ იქცა მისი მოქმედების ასპარეზად.

საქართველოს მომავალი განვითარება დიდად იქნება განპირობებული აღმოსავლეთ-დასავლეთი (აბრეშუმის გზა) პროექტის წარმატებული ფუნქციონირებით, რომელშიც ფაზისი-ფოთს კრიტიკული, მნიშვნელოვანი როლი ექნება. ზღვამ უშუალო გავლენა ვერ მოახდინა და ქართველებისათვის სამეურნეო მოღვაწეობის აქტიურ ასპარეზად ვერ გადაიქცა. სამაგიეროდ, საქართველოს მდებარეო-

ბამ შავ ზღვასთან უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების არსებული სახით ჩამოყალიბებაში.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს იღებს საკურორტო და ტურისტული საქმის ორგანიზაციის მაღალი დონით. ისეთი ქვეყნები კი, როგორებიცაა: იტალია, ესპანეთი, მექსიკა, შვეიცარია, წარმოუდგენელია ამ სახის შემოსავლის გარეშე. ამ თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ბუნებას, უდიდესი შესაძლებლობები და პერსპექტივები აქვს საქართველოს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე კურორტი შეიძლება საერთაშორისო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერად ჩაითვალოს. ძალზე საშური და აუცილებელი საქმეა ამ კურორტებისათვის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რის გარეშეც მათი სასურველ დონეზე ფუნქციონირება შეუძლებელი იქნება. იმ „ბუნებრივი ნიჭის“ გარდა, რომელიც საქართველოს კურორტებს გააჩნიათ, აუცილებელია მაღალი, თანამედროვე დონის სერვისი, რომლის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ტურისტის მოზიდვა. ამ მიმართულებით საქართველოს ხელშესახები პროგრესი აქვს ბოლო პერიოდში.

ქართველების დამოკიდებულებას სამშობლოს ბუნებრივი პირობებისადმი გამოხატავს ფართოდ გავრცელებული შეხედულება ჩვენი ქვეყნის ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ. ეს არის შედეგი და გარკვეულწილად კიდეც განაპირობებს ქართველი ერის ბუნებრივ და სოციალურ ოპტიმიზს და ამ ოპტიმიზმს გააჩნია თავისი ბუნებრივი საფუძველი – საქართველოს სიმდიდრე მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებაში უფროა (ხაზს ვუსვამ), ვიდრე მისი ნიადაგის ან ბუნებრივი პირობების სხვა კომპონენტების აბსოლუტურ ნაყოფიერებაში. რაც შეეხება გადმოცემას ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ, აქ ალბათ ქვეყნის საერთო მშვენიერება, წმინდა ესთეტიკური მხარე უფრო იგულისხმება. ამას გარდა, საფიქრებელია, რომ ეს წარმოდგენა საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში უნდა იყოს შექმნილი, რაც უნდა მივიჩნიოთ ქართველ ისტორიკოსთა ცდად – ბუნებრივ საფუძველებზე დაეფუძნებინათ იმდროინდელი საქართველოს უპირატესობები მისი მეზობლების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ საქართველოს ყველა ისტორიული კუთხე ერთნაირად ოპტიმალური არ ყოფილა და არც დღეს არის ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

ჯერ კიდევ ჰიპოკრატე (460-377), მედიცინის მამა, აღნიშნავდა კოლხეთის რაიონის ჭაობიანობას, ჰაერის მაღალ ტენიანობას, რაც იწვევდა სხვა-

დასხვა დაავადებას (მაგ., ციებას) ადგილობრივ მოსახლეობაში. კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ნაწილი მთლიანად ჯერ კიდევ არ არის ამოშრობილი. ახალ ეპოქაში აქ გაშენებულმა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ამ რეგიონის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე, ყოფით და სულიერ ცხოვრებაზე, გაუმჯობესდა ცხოვრების დონე და პირობები.

სუბტროპიკული კულტურების მოყვანა სერიოზული სამუშაოა, მაგრამ სეზონურ შრომასთან არის დაკავშირებული. თუ ამას დავუმატებთ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა საშუალებით ხდება პლანტაციებში მრავალგვარი სამუშაოს წარმოება, ნათელი გახდება, რომ იქმნება გარკვეული სიძნელეები ამ რეგიონის მოსახლეობის შრომით დასაქმებაში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ უკანასკნელ ხანებში სამეგრელოს რეგიონი ჭარბი მუშახელის ექსპორტს აძლევს ქვეყნის (და არა მარტო) საქალაქო ცენტრებს.

\* \* \*

საომარი ოპერაციების მსვლელობას, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავს. მაგრამ საომარი მოქმედებების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგი-

ლობრივი ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად გათვალისწინებას. ბევრი გარეშე დამპყრობელი რუსეთთან დამარცხებას მხოლოდ ადგილობრივ პირობებს, მკაცრ ზამთარს, ჭაობებს, უგზოობას, უზარმაზარ ტერიტორიას და სხვა მიზეზებს მიაწერდა. „თავისთავად ქვეყანა ევროპისაკენ მხოლოდ თავისი დასავლეთი საზღვრითაა მიბრუნებული, ამიტომაც მხოლოდ ამ მხრიდანაა მოწყვლადი. მას არ გააჩნია ისეთი ცენტრი, რომლის ხელში ჩაგდებითაც შეიძლება დაზავება აიძულო; ქვეყანა სრულიად გამოუსადევარია დასაპყრობად უგზოობის, ვრცელი ტერიტორიისა და რესურსების სიმწირის გამო. ასეთი ქვეყანა უძლეველ და მძლავრ პოზიციას წარმოადგენს ნებისმიერისთვის, ვისაც კი მისი გამოყენება ძალუს: მას შეუძლია, სრულიად დაუსჯელად ისეთი ამბები დაატრიალოს ევროპაში, რის გამოც სხვა მთავრობა დაუსრულებელ ომებში გაებმებოდა“ [58. 42]. სხვადასხვა დროს მრავალი ავტორი ამ მოსაზრების ცალმხრივი განვითარებით ხსნიდა ნაპოლეონის, ჰიტლერის თუ სხვა დამპყრობლების მარცხს. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლების ძლევამოსილად დამთავრებისა. ამის გარდა, აქ სათაკილო არაფერია, ყველა იბრძვის მის ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით.

შემოსეულ მტერთან ბრძოლაში ქართველთა საუკეთესო დასაყრდენი იყო ჩვენი ქვეყნის ბუ-

ნება. ნაირგვარი რელიეფი, მაღალი მთები, ლრმა და ვიწრო ხეობები, გამოქვაბულები, ხშირი ტყეები დიდ დაბრკოლებას უქმნიდა შემოსეულ მტერს და დამხვდურისათვის უაღრესად დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კარგად იცოდა მტერმა და ხშირად მასობრივად ჩეხდა დაბურულ ტყეებს, სადაც მოსახლეობა თავს აფარებდა. ყველა სამხედრო შეტაკების აღნერა, რომლებიც ქართველებმა მოიგეს ადგილობრივი პირობების უკეთ გამოყენებით, სამხედრო ისტორიკოსებისათვის მიმინდვია, მინდა გავიხსენო მხოლოდ დიდგორის ომი, სადაც დავით ალმაშენებელმა შედარებით მცირერიცხოვანი ჯარით თურქ-სელჯუკთა რიცხვმრავალი ლაშექარი დაამარცხა. ისიც გავიხსენოთ, რა თქვა დავითის მისამართით თურქთა სარდალმა: „შენ ტყეთა ოდენ მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა“ [30. 243].

რელიეფის თვისებების გამოყენებით მოგებული ბრძოლები არასოდეს ჩაუწერიათ ქართველებს პასივში. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მტერმა საქართველოს მხოლოდ ის ნაწილები ჩამოაჭრა, რომელიც წინა მხრიდან ნაკლებად იყო მთებით დაცული. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ხელშეუხები ჩრდილოეთი და დასავლეთი (ზღვა) საზღვრები. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს გადარჩენაში უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა

გარემომ. მთიანმა რელიეფმა თანამედროვე პირობებშიც კი თავისი გაიტანა. ილია ჭავჭავაძე საყვედურობდა მყინვარს – უმაქნისი ხარ და დიდგულაო. ვინ იცის, იქნებ მუდმივად ასეთი კრიტიკულ მომენტებს ელოდება თავის უბეში გამოზრდილი ხალხისათვის და თავის სათქმელსაც მაშინ ამბობს.

\* \* \*

დღემდე შენარჩუნებულია მცდარი თვალსაზრისი, რომ საქართველოში ყოველივე სიკეთე ბუნების წყალობა უფროა, ვიდრე ქართველი ერის შემოქმედებითი შრომისა და ძიების ნაყოფი. ერთი საუკუნის წინათ ამ აზრის საწინააღმდეგოდ ვაჟა-ფშაველა წერდა: „ჩვენ, ქართველებზე იტყვიან ხოლმე, ვითომ ზარმაცები, დაუდევარნი ვიყვნეთ; მიზეზად ამისა ასახელებენ ჩვენს მდიდარ ბუნებას, რომელიც ნაკლების, მცირედის გარჯით მრავალს სარჩოს გვაძლევს, უხვად ასაჩუქრებს კაცის მცირეს შრომასო. მსჯელობა იქამდის მიდის, რომ აღვიარებს კიდეც, თითქოს წიადაგი ჩვენში მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეობას, სიმსუნავეს, ლორულს სმა-ჭამას, მუთაქა-ხალიჩებზე გადაბრუნ-გადმობრუნებასა ჰქონდეს“ [9. 185].

შეხედულება საქართველოს საუკეთესო მდებარეობისა და უმდიდრესი ბუნების შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ქვეყნის ბუნების

წმინდა ესთეტიკური ღირებულებით უნდა იყოს შთაგონებული. საქართველოს ბუნება ხშირად იწვევდა ქართველი თუ უცხოელი მწერლებისა და პოეტების აღტაცებას, აკმაყოფილებდა მათ მკაცრ ესთეტიკურ მოთხოვნებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უპირობოდ გავიზიაროთ ეს აღტაცება და ის ცხოვრების ყველა სფეროზე გავავრცელოთ. ამ შემთხვევაში პოეტთა სამართლიან აღტაცებას ოპონენტობა უნდა გაუწიოს მეცნიერულმა აზრმა. ქართველი ერის შემოქმედებაში საქართველოს ბუნება მეტად ფასეულად არის წარმოდგენილი და არ ვაპირებ ამ მოსაზრების გადასინჯვას, ოღონდ არ გვარგებს აღტაცების ბრმად გაზიარება. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ არც ბერძენ-რომაელი ავტორები, არც ევროპელი მოგზაურები და არც ძველი პერიოდის ქართველი ავტორები ასეთ აღტაცებას არ იჩენენ საქართველოს ბუნებრივი პირობების მიმართ, რაც შესაძლებლობას მაძლევს ვიფიქრო, რომ ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი ახალი პერიოდის „ინტერპრეტაცია“ უნდა იყოს და რასაც ალბათ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და რუსეთისა და აზიის მიმდებარე ტერიტორიების შედარება-დაპირისპირება-მაც.

სინამდვილეში საქართველოს დიდად სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხრივ: ქვეყ-

ნის ტერიტორიაზე არ ჩამოედინება დიდი წყალუხვი მდინარეები; არ გაგვაჩინია სამეურნეო თვალსაზრისით გამოსადევი დიდი ტყის მასივები; დიდი ოდენობით არ მოიპოვება იშვიათი სასარგებლონიალისეულები; ტერიტორიის დიდი ნაწილი მთასა და მაღალ მთას უჭირავს. ასე რომ, საქართველო, მისი ბუნებრივი პირობების ხარისხობრივი მაჩვენებლების აბსოლუტური მახასიათებლებით არ შეიძლება მდიდარ ქვეყნად მივიჩნიოთ.

საქართველოს სიმდიდრე მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებაა და ეს არის მისი დიდი უპირატესობა. ქართული ცივილიზაცია, გარკვეული ჩავარდნების მიუხედავად, ერთ მთლიან უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. განვითარების ასეთი ხანგრძლივი, უწყვეტი ჯაჭვისათვის აუცილებელია გეოგრაფიული გარემოს კომპონენტთა უაღრესი მრავალფეროვნება, რადგან ისტორიული განვითარების პროცესი, მის ავანგარდში ყოფნისათვის, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა „კაპრიზს“ უყენებს ხალხებსა და სახელმწიფოებს. ქართული ეთნოსის გეოგრაფიული გარემოს არსენალში უმეტესწილად ყოველთვის მოიძებნა განვითარებისათვის საჭირო ნიადაგი და ფაქტორები, ამიტომ ქართული ცივილიზაცია გამოუვალ ჩიხში არ შესულა, საამისოდ ის ძალზე დინამიკური იყო. დინამიკურმა ცივილიზაციამ განაპირობა „დინამიკური“ კულტურა, აქტიური ცხოვრების წესი. ქარ-

თველი ერის და მისი ცხოვრების წესი, ქართული კულტურა ჩამოყალიბდა კონკრეტულ ბუნებრივ პირობებში, ამიტომ ყოველივე ის, რაც ღრმად ეროვნულია – ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტიპი, მატერიალური და სულიერი ღირებულებები – ამ პირობების ნიშნებს ატარებს და ყოველივე ამის შენარჩუნებისათვის აუცილებელია, მათი ჰარმონიული ერთიანობა არ დაირღვეს.

შესაბამისად, საქართველომ უნდა მოახერხოს თავისი მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი საცხოვრისიდან მუდმივად წამოწიოს და გაააქტუალუროს ის აქტივი, რომელიც ქვეყნის პერმანენტულ განვითარებას და ერის აქტიურ სამეურნეო-კულტურულ პოზიციას უზრუნველყოფს.

„ბუნებრივ საწარმოო ძალთა თვალსაზრისით ღარიბ და ერთფეროვან ლანდშაფტურ გარემოში ეთნოგენეზის პროცესი ნელა მიმდინარეობს. პირიქით, რთული, მაგრამ ერთნაირი საწარმოო საქმიანობით შეკავშირებული კოლექტივი ეთნოსად უფრო მაღე იქცევა. განვითარების პროცესში ეს კოლექტივი დასახელებული რეგიონის ბიოცენოზში შედის, რაც კულტურის ქმნადობის სარბიელს წარმოშობს“ [3. 202]. ქართველები ჩამოყალიბდნენ ხალხად და შემდეგ ქართველ ერად იმავე ტერიტორიაზე, რომელიც მათ დღესაც უკავიათ. ქართველი ერის ეთნოგენეზი მიმდინარეობდა ერთი და იმავე, პრაქტიკულად უცვლელი ბუნებრივი პირობების

აქტიური ზემოქმედებით. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ქართველები, ყველა, როგორც ერთი, გადასახლდნენ სხვა რეგიონში. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ერთ აუცილებლად დაშორდება თავის დღევანდელ სახეს, გარკვეული ცვლილება მოხდება მის კულტურასა და ცხოვრების წესში.

ანდა ავიღოთ სხვა შემთხვევა: ვთქვათ, რაიმე მიზეზის გამო, კარდინალურად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რაც განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ანალოგიურ შედეგამდე მიგვიყვანს. თუ ქართული კულტურა ჩაისახა და განვითარდა გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა მისი სახის ჩამოყალიბებაში, იმავე თვისებების სამომავლოდ შენარჩუნებას სჭირდება ისეთივე (მსგავსი) გეოგრაფიული გარემო. რა გავლენასაც ახდენდა ეს გარემო პირობები ჩვენს წინაპრებზე, მეტ-ნაკლებად იმავე გავლენას ახდენს ჩვენზე და (საზოგადოების განვითარების კვალად) მოახდენს მომავალ თაობებზე. ამიტომაც უდევს თავისი წილი ქართველობის შენარჩუნებაში საქართველოს ბუნებას.

საქართველოს ბუნება, ამ შემთხვევაში, არის არა უბრალო ფონი ჩვენი ყოფა-ცხოვრებისათვის, არამედ გვევლინება ქართული კულტურის ღირსეულ და ღირებულ შემადგენელ ნაწილად. „ეთნოსის, ხალხის გარემომცველი ბუნება მისი თვით-

შეგნების შინაარსში ერთ-ერთი მთავარი მომენტია. ეს ბუნება მის მიერ აღიქმება როგორც საკუთარი, მისგან განუყრელი დიდი ნაწილი, რომლისადმი მყარდება გარკვეული ემოციური მიმართება. მაგალითისათვის შევჩერდები მხოლოდ ჩვენს მიმართებაზე ჩვენი ქვეყნის ბუნებასთან. ქართველი კაცის ცნობიერებაში საქართველოს ბუნება დიდად ფასეულად არის წარმოდგენილი. ეს გამოჩნდა ჯერ კიდევ ქრისტიანული იდეოლოგიის აბსოლუტური დომინირების ხანაში, როცა ჩვენმა წინაპრებმა მეათე საუკუნეში შექმნეს კონცეფცია საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის თაობაზე. ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის თანახმად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ქვეყნის (ქართლის) ბუნება აღემატებოდა კავკასიის დანარჩენი ქვეყნებისას. უახლოეს დროში აღნიშნული მომენტი კარგად აისახა ქართულ პოეზიაში (მოვიგონოთ გრიგოლ ორბელიანის „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!“ აკაკი წერეთლის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“ ანა კალანდაძის „საქართველოო ლამაზო“ და სხვ.) [33. 23-24]. როგორც ვხედავთ, ბუნების ესთეტიკურ აღქმას და საერთოდ მხატვრულ შემოქმედებას ქართველები თავიანთი ეროვნული ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ. მაგრამ, ამავე დროს, უფრო მნიშვნელოვანი მომენტები ხომ არ გვრჩება მხედველობის

არედან? მაგრამ ისტორია უკვე დიდი ხნის წინათ აითვალინებდა ასეთ ერებს და წინ მხოლოდ მათ წამონევდა, ვინც უფრო პრაქტიკული მოსაზრებით უყურებს ცხოვრებას.

ყოველ კულტურას აქვს ორი სახის დეტერმინატორი, ორგვარი საფუძველი – ბუნებრივი და სოციალური. ნებისმიერი მათგანის როლის გადაფასება თანაბარი ძალის შეცდომად ჩაეთვლება მკვლევარს. შეუძლებელია კონკრეტული კულტურა მოვწყვიტოთ მის მატერიალურ საფუძველს, რადგან ყველა კონკრეტული კულტურა ისახება და ვითარდება საკუთარ ბუნებრივ ნიადაგზე. არც ერთი ერის კულტურა არ არსებობს როგორლაც ან სადმე, განყენებულად. არ არსებობს აბსოლუტური ხასიათის კულტურა. „ყოველი ერი თავის კულტურას, თავის ცივილიზაციას აძლევს ელფერს იმ მიწა-წყლისა და გეოგრაფიული მდებარეობისა, რომელთა გავლენას განიცდის საუკუნეთა განმავლობაში: იქმნება თავისთავად ერთგვარი შეფარდებულობა ეროვნულ-კულტურულ და გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მდებარეობას შორის“ [14. 241]. ამიტომაც კულტურა თუ ცალკეული საზოგადოებრივი მოვლენა ერის ცხოვრებაში უნდა შევისწავლოთ მკვიდრ ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამით რა თქმა უნდა, ჩრდილს არ ვაყენებ კულტურის დეტერმინატორ სხვა ფაქტორებს.

აქვე მინდა ერთი რამ აღვნიშნო: ბუნებრივი პირობები შეიძლება კულტურის პროფილს უფრო განაპირობებენ, ვიდრე მის მთლიან სახეს, მაგრამ განა პროფილი არ გვაძლევს წარმოდგენას ადამიანზე, მის შინაგან ბუნებაზე? ასევე, ქართული კულტურის პროფილი ნათლად გვიჩვენებს ქართული ესთეტიკის, ქართული ხასიათის რელიეფის ყველა მოხაზულობას.

ქართული კულტურა არის ის, რაც საერთოა ქართულ მუსიკაში, ქართულ ქორეოგრაფიაში, ქართულ სახვით ხელოვნებაში, ქართულ არქიტექტურაში, ქართულ ლიტერატურაში და ა. შ. მაგრამ რა შეიძლება იყოს ის საყოველთაო მახასიათებელი, რომელიც ყველა მათგანს აერთიანებს, რომელია ის პირველმიზეზი, რომელიც მათი ბუნების ერთობას განაპირობებს? – ერთ-ერთი ასეთი საყოველთაო მახასიათებელი საქართველოს ბუნებრივი პირობებია.

ეროვნული ხასიათის თვისებების ერთი რიგი უშუალოდაა გაპირობებული გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებით, მეორე რიგი კი – გაშუალებულად, წარმოების წესის მძლავრ პრიზმაში გარდატეხილად წარმოგვიდგება. ქართველების არტისტულობა, მუსიკალურობა, ტემპერამენტი და სხვა ბუნებრივი პირობების უშუალო გავლენას უფრო უნდა მიენეროს. ერის (ხალხის) ხასიათის „მეორე რიგის“ თავისებურებები მეტ სიფრთხილესა და

დაკვირვებას მოითხოვს მიზეზ-შედეგობრივი კავ-შირების დაძებნის დროს.

ქართველთა ხასიათის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი ინდივიდუალიზმი და გარეგნული მოუწესრიგებლობა. ასეთი თვისება მხოლოდ საუკუნეების განმავლობაში და მისი გამომწვევი ფაქტორის მუდმივი ზემოქმედების შედეგად შეიძლება ჩამოყალიბებულიყო. „ირიგაციის ზედმეტობამ (დას. საქართველოში), შედარებით მცირე ზომებით არსებობამ (აღმ. საქართველოში), ინტენსიურმა კულტურებმა განპირობეს წარმოების ინდივიდუალიზაცია, მინაზე კერძო საკუთრების თვალსაჩინოდ განვითარება. ამის შესაბამისად, ჩვენში შრომითი კოოპერაციის როლიც ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე აღმოსავლეთის მშრალ ქვეყნებში. იგი (კოოპერაცია) მცირე მასშტაბებს თუ იღებდა (ნადი, მამითადი, გუთნეულით ხვნის დროს)“ [34. 31].

ამ მომენტებმა განაპირობეს ის, რომ იმერეთში იმდენი ბატონი გახდა, რამდენიც კორტოხი იყო (ამ მოვლენის პირველმიზეზი კი, როგორც აღვნიშნე, რელიეფისა და საერთოდ ბუნებრივი პირობების დიდი დიფერენციულობა იყო), ხოლო არაგვის ერისთავი ნამდვილ ბატონად ჩამოყალიბდა და განსხვავება მათ შორის მხოლოდ გაქანებაში იყო. ასეთი ზნე მარტო ქართველებს როდი სჭირდათ.

ასეთი მდგომარეობა ტიპურია ფეოდალური ევრო-პისთვისაც.

ქართველები ყოველთვის წარმოადგენდნენ მდგრად ეთნოსს. ჩვენთვის ცოტა რამეს ნიშნავდა რელიგიური, მსოფლმხედველობრივი მიკუთვნებულობა. ჩვენ ვერთიანდებოდით უპირველესად ეროვნულობის ნიშნით (ფიზიკური ტიპი, მატერიალური და სულიერი კულტურა) და ამიტომ რჯულის შეცვლით ჩვენი თანამემამულე მაშინვე არ ხდებოდა არაქართველი და ქართველობის „აღიარებით“ სხვა ერის წარმომადგენლებიც უმაღვე ვერ იქცეოდნენ ქართველებად. ქართველად გახდომა მათთვის, უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე თაობის გადაგების შემდეგ იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ქართველების „სომხობა“ და „ფრანგობა“ უფრო პროფესიის და რომელიმე კონფესიის აღიარების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ვიდრე მათი ეროვნული მიკუთვნებულობის გამოხატულება.

ქართველების არაფანატიკურობასა და რჯულ-შემწყნარებლობას იმითაც ხსნიან, რომ საქართველოს ტერიტორიისათვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი დიდი ბუნებრივი კატაკლიზმები (ვულკანი, ქარიშხალი, წყალდიდობა) და, შესაბამისად, ოდითგანვე არ არსებობდა დიდი, აუხსნელი შიში ბუნების ძალებისადმი. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი აღნიშნული თვისებისა, რომელსაც ბუნებრივი პი-

რობები განაპირობებენ. ამავე ფენომენის ასახნელად არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ისტორიული გარემო, რომელშიც ქართველები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დღესაც. ამიერკავკასიის ეს მონაკვეთი ყოველთვის იყო რელიგიათა და ხალხთა თავშეყრის, ურთიერთგადაკვეთის ადგილი.

ხალხებს შორის სიძულვილი და უპატივცემულობა ხშირად მომდინარეობს იმ არცოდნიდან, რასაც ერთი ამჟღავნებს მეორის კულტურული და სულიერი ღირებულებების მიმართ. საქართველოზე უამრავ სხვადასხვა წარმომავლობისა და რჯულის ხალხს გაუვლია და ქართველებს პქონდათ ნიჭი იმისა, რომ მათში ცუდთან ერთად კარგი თვისებებიც დაენახათ. აღსანიშნავი და სასიხარულო ის არის, რომ ეს დიდბუნებოვანი თვისება ქართველებმა დღემდე შეინარჩუნეს. ეს არის ჩვენი ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი უცილობელი მიზეზი. აქვე უნდა ვეძებოთ ქართველების შინაგანი დემოკრატიულობის მიზეზი, რადგან მოითმინო არა თუ შენს გვერდით, არამედ შენში, ამ შემთხვევაში შენს ეროვნულ ტერიტორიაზე და, გარკვეულად, შენს ეროვნულ სხეულში, სხვისი განსხვავებული აზრი, არის უდიდესი დემოკრატიზმი. და დღეს, როცა ჩვენ, მეტ-ნაკლებად ყველას, გვიწევს დემოკრატიის სწავლა, ქართველებს შეუძლიათ ადვილად „გაიხსენონ“ იგი.

\* \* \*

ქართველი ერის დიდ ნიჭისა და სიკეთეს მისი სტუ-  
მართმოყვარეობა წარმოადგენს. ზომიერი კლიმა-  
ტური სარტყელი აქ მცხოვრებ ადამიანს მეტად  
კომუნიკაბელურს ხდის და ისიც სიხარულით  
ხვდება მის სახლში ყოველი ახალი ნაცნობი თუ  
უცნობი ადამიანის გამოჩენას. ასევე, ცნობილია  
ქართველების გულუხვი მასპინძლობა. თუ ადა-  
მიანს სტუმრის მოსვლა უხარია, მაშინ, ბუნებრი-  
ვია, რომ მას გულუხვად უმასპინძლდება. მაგრამ  
რომ გავუმასპინძლდეთ, უნდა გვქონდეს რამ სიმ-  
დიდრე. თავდადებული შრომის პირობებში საქართ-  
ველოს ნიადაგები (იგულისხმება ბარის რაიონები)  
კარგ მოსავალს აძლევდა ქართველ გლეხს და ისიც  
თავის ნაამაგარს გულით სთავაზობდა შორეულ  
თუ ახლობელ სტუმარს. რაც შეეხება სტუმარმას-  
პინძლობის წესს მთის რეგიონში, აქ, უეჭველია,  
მრავალი სხვა მიზეზიც მოქმედებდა. აღვნიშნავ  
მხოლოდ ერთ მათგანს, რომელიც ახლოს დგას  
განსახილველ საგანთან: მყაცრი ბუნებრივი პირო-  
ბები განაპირობებდნენ უცხო ადამიანის შეკედლე-  
ბას და მისდამი თბილ დამოკიდებულებას. ზოგჯერ  
მაღალი მთიდან რაიმე საჭიროებისათვის ბარში  
წამოსული კაცი გზას რამდენიმე დღეს უნდებოდა  
და სხვისი სტუმარიც ხშირად იყო. აღსანიშნავია  
ისიც, რომ მუდმივი საომარი ვითარების პირო-

ბებში ქართველების ერთი ნაწილი, ბარელები ხშირად იყვნენ სტუმრად მთიელებთან, რასაც ორივე მხარე სათანადოდ აფასებდა.

და მაინც, ზოგჯერ ქართული სტუმარმასპინძლობა სასურველ ფარგლებს გარეთ გადის. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ასეთი ტენდენცია ჩვენში მხოლოდ მე-15 საუკუნის შემდეგ ჩნდება, ე. ი. საქართველოზე საგარეო მტრების მოძალების შემდეგ. უცხო ეთნოსი, თუნდაც ის განვითარების უფრო მაღალ დონეზე იდგეს, უფრო ანადგურებს ადგილობრივ კულტურას, ვიდრე ხელს შეუწყობს მის გაღრმავებას. ქართველმა თავადაზნაურებმა გადმოიდეს ირანელთა წეს-ჩვეულებები, გადაბმული ქეიფები, რომლებიც ხორცის საამებლად არიან მოწოდებულნი. გაბატონებული კლასის ცხოვრების წესი მეტ-ნაკლებად ვრცელდება მთელ ხალხზე. ამას ზედ დაერთო, როგორც უკვე აღვნიშნე, ისიც, რომ ფეოდალიზმი ჩვენში დაუსრულებელ უსაშველობად იქცა და ისიც, რომ ცარიზმის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, ფუნქციადაკარგული ქართველი თავადაზნაურების ერთ ნაწილს თავის გამოჩენის ასპარეზად გადაჭარბებული სტუმარმასპინძლობა მიაჩნდა და ახერხებდა კიდეც ამ ასპარეზზე თავის გამოჩენას. ამ მოვლენის პირმშოც იყო თავადი ლუარსაბ თათქარიძე.

ამავე დროს, ცნობილია, რომ ქართული სუფრა არ იყო მარტო დროის გასატარებელი ადგილი და მე დავუმატებდი: მთელი წლის მძიმე შრო-მით ნაამაგარ ვაზის მოსავალს ერთ დღეში ხომ არ დალევდა გლეხი და ისიც თრობის შეგრძნების განცდისათვის. თუ გუთნეულით პირველი ხნულის გავლებას თავისებური რიტუალი ახლდა თან, ასე-თივე რიტუალი იყო ღვინის სმაც. სუფრასთან ურ-თიერთობის დროს ადამიანები ივსებენ ცხოვრები-სეულ დანაკლისს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ქართველი თამადა ყოველთვის და ყველას მიმართ გულწრფელი არ არის, რადგან მას არ შეუძლია გამოხატოს ზოგჯერ უცნობი ადამიანების მიმართ სიყვარული. ნამდვილი თამადა ყოველთვის გუ-ლწრფელია, რადგან მოყვარის სულსა და გულთან მიახლოება უპირველესად მისთვის არის ბედნიე-რება. ამ ბედნიერებას ისინი თვითონვე დგამენ, ქმ-ნიან და უძღვნიან გარშემო მყოფთ, რომელთაგან მხოლოდ საპასუხო გამოძახილს ელიან. ამ დროს ისინი სწავლობენ ნამდვილ ადამიანურ ურთიერ-თობას, როგორც ბედნიერების განცდის საშუა-ლებას, უფრო სწორად, ეს ურთიერთობაა უკვე თავად ბედნიერება. ეს სულაც არ იყო ლირიკული გადახვევა, რადგან ის ჩვენი ეროვნული კულტუ-რის, ცხოვრების წესის დამახასიათებელი ნიშანია.

იმის მიუხედავად, რომ საქართველო და ქარ-თველები დიდი ხანია, რაც ორგანულ მთელს

შეადგენენ, თავის დროზე ისინი მაინც მონათე-სავე ეთნიკური ჯგუფებისაგან ჩამოყალიბდნენ. ფეოდალიზმის ეპოქაში დიდი ხნით კარჩაკეტილმა ცხოვრებამ მათ ჩამოუყალიბა ადგილობრივი პი-რობებიდან გამომდინარე შესაბამისი ფსიქოლო-გიური განსხვავებულობანი, რამაც დღეისათვის საკმაოდ მყარი სახე მიიღო: როგორც ახასიათებდა ო. გოგებაშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს 100 წლის წინათ, თითქმის ისეთივენი არიან ისინი დღესაც და ერთი საუკუნის (თანაც როგორი საუკუნის) აქტიურმა ურთიერთობამ ვერ წაშალა მათი უნიკალურობის კვალი. ეს არის სა-ქართველოს სიმდიდრე, მისი მრავალფეროვნება და არა ეთნიკური სიჭრელე. ამის გარეშე საქარ-თველო ერთუცნობიანი განტოლება იქნებოდა და შეუძლებელია იმის წარმოდგენაც კი, რომ დროთა განმავლობაში რაიმე მიზეზის გამო საქართველოს რომელიმე ისტორიულმა პროვინციამ დაკარგოს თავისი განუმეორებლობა.

ცალკეული კუთხეების მოსახლეობის წეს-ჩვე-ულებათა შორის განსხვავებულობისა და საერ-თოობის დადგენა ეთნოგრაფების საქმეა, მე კი მათი ყოველდღიური და სამეურნეო საქმიანობის რელიეფური შედეგების აღნიშვნით შემოვიფარგ-ლები. ო. გოგებაშვილი საქართველოს ცენტრალუ-რი ტერიტორიის მცხოვრებლების მშვიდ ხასიათს მათი სამეურნეო საქმიანობით ხსნიდა (ხვნა-თესვა)

[6. 176]. როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველოს მთიანი რეგიონის მოსახლეობა ძირითადად მეცხოველეობას მისდევს. ისინი სხვებზე მეტი ზვიადები, ამაყები და დამოუკიდებელნი არიან. ადვილი შესამჩნევია, რომ სოციალური ხასიათის მიზეზებთან ერთად ეს მათი გარემომცველი (ასევე ზვიადი) ბუნებიდან მომდინარეობს. მთაში ბატონყმობა თითქმის არ განვითარებულა, რაც გამოწვეული იყო მნირი და მთიანი ტერიტორიით, ტყე და საძოვრები კი საერთო უნდა ყოფილიყო. ამიტომ აქაურთა სიმდიდრე პირუტყვის სულადობაში გამოიხატებოდა, რასაც ბართან ცუდი კავშირის გამო რეალიზაცია არ უხერხდებოდა, ე. ი. ქონებრივი დიფერანციაციაც შორს ვეღარ წავიდა. ამიტომ აქაურები თავისი თავის ბატონები თავადვე იყვნენ. აქ არც ერთი მეფის ხელისუფლება არ აღწევდა ისე, როგორც საჭირო იყო (უგზოობა, ზამთარი). აქ მინდა ერთი მეტად საყურადღებო მომენტი აღვნიშნო: სვანები და რაჭველები ორივენი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე სახლობენ და მათ ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ქედი ჰყოფს. ამის მიუხედავად, თავიანთი მენტალობით ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სვანები ტიპური მთიელები არიან, ხოლო რაჭველები ბარელების ფსიქოლოგიას ამჟღავნებენ. სინამდვილეში ასეც არის. გავიხსენოთ, რა პრინციპით ყოფდა ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს მიწა-წყალს:

სადაც მევენახეობა, მეხილეობა და მიწათმოქმედება იყო შესაძლებელი, ბარად მიიჩნევდა, ხოლო ამის ზემოთ მდებარე ტერიტორიას მთას მიაკუთვნებდა. რაჭა ზღვის დონიდან შედარებით დაბლა მდებარეობს, აქ ხეობა უფრო გაშლილია და შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება (განსაკუთრებით ქვემო რაჭაში). ამიტომაც რაჭაში შესაძლებელი გახდა მიწაზე კერძო საკუთრების განვითარება (უკიდურესი მთიანი რაჭის გარდა) და რაჭველები მიუკუთვნებიან მთიან რეგიონში მცხოვრებ იშვიათ ხალხს, რომლებსაც „საკუთარი თავადაზნაურობა“ ჰყავდათ. რაც შეეხებათ სვანებს და მთის რეგიონის სხვა ისტორული პროვინციების მცხოვრებლებს, მათი მენტალობა მათსავე გვარ-სახელებშიც კარგადაა გამოხატული. ისინი უმეტესად ადამიანის შინაგან მდგომარეობას გამოხატავენ (სახელები – ზვიადი, ვეფხია; გვარები – ფიცხელაური, გაფრინდაული და სხვა).

ფსიქოლოგიური სხვაობა შეიმჩნევა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობაშიც. გლეხთა დაყმევება ორივე ნაწილში საკმაოდ ღრმად წავიდა (უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში), მაგრამ ისტორიული გარემოს გავლენით აღმოსავლეთში მას უფრო დესპოტური შეფერილობა ჰქონდა. მთავარი კი მაინც სამეურნეო საქმიანობაა. ვაზის კულტურა, რომელიც აღმოსავლეთში ძირითადია, მოითხოვს უდიდეს

შრომისმოყვარეობასა და მოთმინებას. სწორედ ეს თვისებებია ძირითადი კახელი გლეხის გულლია ხასიათში. დასავლეთი საქართველოს მთაგორაკიანი რეგიონის მცხოვრებლები კი მეტად დინამიკურები, ლალები და ტემპერამენტიანები არიან. ალბათ ამიტომაც შეიქმნა კახეთში „ურმული“ და „ოროველა“ – მშრომელი კაცის გულის ამოძახილი, ხოლო იმერეთსა და გურიაში ხალისიანი, ათას ადგილას მიხრილ-მოხრილი, დატეხილ-დამტვრეული და მაინც საოცრად მთლიანი „მხედრული“ და „კრიმანჭული“. ეს უკანასკნელი მომენტი აღნიშნული აქვთ თ. სახოკიას თავის „მოგზაურობაში“ [28. 117] და ნ. კეცხოველს თავის ერთ-ერთ ნაშრომში [17. 10]. მუსიკალური კულტურის ბუნებრივი პირობებისაგან დამოკიდებულების მაჩვენებელი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ საკუთრივ მთის ერთფეროვანმა ბუნებამ განაპირობა თუშეთის „პრიმიტიული“ მუსიკა. რაც შეეხება საერთოდ ქართულ პოლიფონიურ სიმღერას, მასში, როგორც მონოლითში, რამდენიმე ხმის თანასწორუფლებიან საფუძველზე არსებობა ჩვენთვის ქართული კულტურის შინაგანი დემოკრატიზმის მაჩვენებელია.

ქართული კულტურის მრავალპლანიანობას კარგად გვიხატავს გ. ასათიანი: „ერთხმოვანება, ერთფეროვნება, ერთსახოვნება საფუძველშივე მიუღებელია ჩვენი ესთეტიკური მსოფლმხედველობისათვის.

ასეთია ქართული სიმღერაც, ქართული პეიზაჟიც, ქართული ხუროთმოძღვრებაც, ქართული ვერსიფიკაციაც: ხოლო ქართველური ტომების ხასიათები ხომ ნამდვილი პოლუსებისაგან შედგება (ამ უკანასკნელთა მიხედვით ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ყველაზე მეტად ერთ-მანეთს არ ჰგვანან).

ჩვენ „სიჭრელეს“ ვერ ვიტანთ (თუ რაიმე ბოლომდე ვერ მივიღეთ აღმოსავლური კულტურიდან, პირველ ყოვლისა, სწორედ სიჭრელის კულტი). მაგრამ ვერც ერთფეროვნებას ვეგუებით. მონოტონურობა ისევე გვიხუთავს სულს ცხოვრებაში (ბუნებაში, ადამიანურ ურთიერთობებში, შრომაში, მოქმედებაში), როგორც აზროვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაში“ [1. 65].

უკვე ვისაუბრე სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლების მენტალურ განსხვავებულობაზე, რაც არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა თვითმიზანი. ისეთ პატარა ქვეყანაშიც კი, როგორიც საქართველოა, ადამიანები ავლენენ განსხვავებულ დამოკიდებულებას ერთი და იმავე მოვლენის მიმართ. ამ თვალსაზრისით საყურადღებო დასკვნებს ვეცნობით ა. გაბიანისა და რ. გაჩეჩილაძის ერთ-ერთ გამოკვლევაში. ნაშრომის ავტორებმა დაადგინეს, რომ არსებობს გარევეული ურთიერთდამოკიდებულება გეოგრაფიულ გარემოსა და სამართალდარღვევის სახეებს შორის საქართველოში [45. 143].

უკვე კარგა ხანია, ცივილიზებულ სამყაროში იგრძნობა, ასე ვთქვათ, შემობრუნება ბუნებისაკენ, სულ უფრო მეტი მოთხოვნილებაა ბუნებასთან უშუალო კონტაქტებზე. ადამიანს თითქოს დამაჯერებლობა დააკლდა ხმაში, რომლითაც ის ბუნებას მბრძანებლობდა. ის თითქოს ქვეშეცნეულად მიხვდა, რომ თვითონ მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია ბუნებისა და მისგან გამოსვლა, მასზე მაღლა დადგომა შეუძლებელია. მიხვდა და შეიცვალა ტონი ბუნებასთან ურთიერთობისას, დადრკა და ისევ ბუნებას შეეყუუა. ისევ ვაჟა-ფშაველა გავიხსენოთ: „ჩვენ ბუნებაში ვართ, – იგი ჩვენშია, საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისი ვართ, მკვდარნიც!“ [8. 373]. რა იწვევს ასეთ ლტოლვას ბუნების წიაღთან კონტაქტებისაკენ? ეს ცივილიზებულ სამყაროში თვითშენარჩუნების დაკარგული ინსტინქტის გაღვიძებაა, ან, შეიძლება, ეს სხვა არაფერია, თუ არა წყურვილი მშვენიერებისა, ადამიანისათვის ესთეტიკური განცდების თანდაყოლილი მოთხოვნილება.

„ბუნების ესთეტიკური შემეცნება ორგანულადაა დაკავშირებული პატრიოტიზმთან – ადამიანის სულის სილამაზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოხატულებასთან. ადამიანის ყველაზე ამაღლებული ღირსებანი, უნინარესად, სულიერი, უდიდესი აღმაფრენის ნაყოფია. მას კი კვებავს ბუნების

ესთეტიკური შემეცნებისა და მამულისადმი სიყვარულის ერთიანი გრძნობა. რაც უფრო მშვენიერია შენი მამული, მისი მიწა-წყალი, მით მეტად განვითარებულია ადამიანში ესთეტიზმი, მით უფრო ღრმად აქვს მასში გადგმული ფესვი მშობლური მთა-ბარის სიყვარულს – პატრიოტიზმის განცდას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ურიცხვი მტრის გარემოცვაში მოქცეული ერთი მუჭა ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენისა, და არა მხოლოდ გადარჩენისა, არა მარტო არსებობის შენარჩუნებისა, არამედ მასში ესთეტიკურობის, ეთიკურობის, ჰუმანურობის, ალტრუიზმის, ინტერნაციონალურობისა და სხვა კეთილშობილური თვისებების გამომუშავებისა. ამიტომაც არის ქართველი კაცისათვის წმიდათაწმიდა თავისი ბუნება. ამანაც განაპირობა, რომ ქართველთა უმრავლესობა მშობლიურ მიწა-წყალზეა მიჯაჭვული“ [5. 16]. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მტრებისაგან თავგაბეზრებული ქართველები არ აიყარნენ და მთელ დუნიას არ მოედვნენ. ქართველების სულიერი მიჯაჭვულობა საკუთარ მიწაზე კარგად ჩანს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში – „მიწის ყივილი“.

ეს არ ნიშნავს, თითქოს ქართველები სხვაგან არსად მიდიოდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, იყო და ამის ყველაზე კარგი მაგალითია ბაქოში მრავალრიცხოვანი

და ძლიერი ქართული კოლონიის არსებობა. ბაქო  
იყო ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სამრეწველო  
ქალაქი და, ბუნებრივია, ქართველებსაც იზიდავდა.  
ანდა გავიხსენოთ რაჭის მოსახლეობის გადასახ-  
ლება თუ საშოვარზე წასვლა ჩრდილო კავკასიაში.  
თანამედროვე პირობებშიც, სხვადასხვა მიზეზის  
გამო ქართველები საკმაო რაოდენობით მიდიან  
ქვეყნის გარეთ დროებით თუ მუდმივად საცხო-  
ვრებლად.

პირველ თავში ვისაუბრე, თუ როგორ შეიძ-  
ლება გარემომცველი ბუნების საგნები ან მათი  
ცალკეული თვისებები იქცნენ მთელი ერისათვის  
ესთეტიკურის სიმბოლოდ. მაგალითად, არყის ხის  
ტყე ლამაზია რუსი ადამიანის შემეცნებაში. ამავე  
დროს, არყის ხე ასოცირდება ყოველგვარ რუსულ-  
თან, მშობლიურთან და გვევლინება პატრიოტიზ-  
მის განცდის საშუალებად.

ცნობილია სხვადასხვა ხალხის მიერ მცენარეე-  
ბის გაფეტიშება. საქართველოში წმინდა მცენარეა  
მუხა, რომელიც მეტად ფასეულ, მაღალესთეტიკურ  
მცენარედ არის წარმოდგენილი ქართულ კულტუ-  
რაში და ქართველი ერის შეგნებაში. შემთხვევითია  
თუ არა ეს მოვლენა? ქართველი კაცის შინაგანი  
ბუნების უპირველესი თვისებაა მუდმივად ერთ  
ადგილზე ცხოვრება, ფუძისადმი ერთგულება, რა-  
საც კარგად გამოხატავს ტერმინი „მკვიდრობა“.  
ქართველს ისე მაგრად აქვს გადგმული ფესვები

მშობლიურ მიწაში, როგორც მუხას და ეს ასოციაცია სულაც არ არის ძნელი დასანახავი. თავიანთი მკვიდრობის ხარისხი, ქართველებმა, მათ გარემოში მუდმივად მყოფ საგანთაგან, მუხას შეადარეს. ქართველებს საუკუნეების განმავლობაში უამრავი მტერი ჰყავდათ, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს. მუხაც 800 წელიწადს ცოცხლობს და მისი ძლიერი „პიროვნება“, რაღა თქმა უნდა, სიმპათიებს აღუძრავდა ქართველებს, რომლებსაც მუხის შემხედვარეთ, მტერი მუმლად მიაჩნდათ („მუმლი მუხასა... – ხალხური). ეს დადასტურებულია მთის საქართველოშიც: „ფშაველთა თემური თავისუფლების წყაროს ლაშარის ჯვარში აღმართული სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის სახით წმინდა მუხა წარმოადგენდა. როდესაც ზურაბ არაგვის ერისთავმა (1619-1629) ფშაველთა დაპყრობა-დამორჩილება გადაწყვიტა, ფშაველთა თავისუფლების მოსპობის მიზნით, მან ლაშარის ჯვარში წმინდა მუხა მოაჭრევინა“ [21. 163-164].

ქვეყნის ბუნება ერის კულტურის შემადგენელი ნანილია. ერი გარკვეული ბუნებრივი პირობების აქტიური და მუდმივი ზემოქმედების შედეგად ყალიბდება და ყველა ერი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით მოქმედებს მის გარშემო არსებულ ბუნებაზე. ასე რომ, „დროთა განმავლობაში“, ჩვენ „ვემსგავსებით“ ჩვენივე სამშობლოს ბუნებას და ის „გვემსგავსება“ ჩვენ.

საქართველოს დიადმა ბუნებამ შეუწყო ხელი ქართველს, გამხდარიყო ძლიერი, დიადი, რაინდული – წერს დ. ლიხაჩოვი [52. 23]. არ შეიძლება მსჯელობა განყენებულად საქართველოს ან რუსეთის ბუნების შესახებ, თუ ამასთან არ ვგულისხმობთ ქართველ ან რუს ერს. „რუსი ბავშვი რომ დაიბადება და თვალს გაახელს, მისი მზერა სწოდება დაუსრულებელ სტეპებს, რაც სამყაროს სიმბოლოა. ის ეჩვევა, ეზრდება სტეპებს და ამ სამყაროს დაუფლებისათვის არავითარი წინააღმდეგობა, შეზღუდვა არ არსებობს მისთვის, იმდენად ძლიერია სივრცის დაუფლების სურვილი, რაც თავისუფლებისაკენ სწრაფვას ნიშნავს, რადგან სივრცე თავისუფლების სიმბოლო და სინონიმია მისთვის“ [27. 62].

ამ მხრივ განსხვავებულმა ბუნებრივმა პირობებმა სხვა მიმართულება მისცა ქართული ხასიათის განვითარებას და „გამოიწვია სიმაღლისაკენ სწრაფვა, რომელიც იგივეა ქართველისათვის, რაც რუსი კაცისათვის სივრცე. თვალს რომ გაახელს (ქართველი – ტ. გ.), მისი მზერა მთებს ხვდება. ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილოს, სივრცე რომ დაინახოს და გაიგოს, რა არის იქით, მთებს მაღლა უნდა აიწიოს. ჯერ სიმაღლე და მერე სივრცე, და ასე იქცევა მისთვის სიმაღლე თავისუფლების სინონიმად“ [27. 63]. აქედან გაუჩნდა ქართველს სიმაღლისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურ-

ვილი და სიმაღლის დაპყრობის უინი. ამიტომაცაა ქართულში სიმაღლე ესთეტიკურის სიმბოლო.

\* \* \*

შეუძლებელია ხელოვნებაზე მსჯელობა მისი ზუსტი მისამართის გათვალისწინების გარეშე. მხატვარი ხატავს პეიზაჟს და სახელს არ არქმევს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს არის „იმერეთი“, „კახეთი“, „სვანეთი“, „ხევსურეთი“ (ხომ არსებობს „იტალიური პეიზაჟი“, „შვეიცარიის პეიზაჟი“). საქართველოს ბუნება არაიშვიათად სრულყოფილი ფორმით ხასიათდება და ზოგჯერ ისეთ პეიზაჟს ნახავთ, ჯადოქარიც რომ იყოთ, ვერაფერს შეალამაზებთ. ლამაზი ბუნება განაწყობს ადამიანს გამოსახვის სრულყოფილი ფორმების ძიებისაკენ. ამიტომ საქართველოში ყოველთვის იყო ფორმის ძიება და საქართველოში ფორმას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

„თითოეულ ერს თავისი საკუთარი, ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურაშიც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებული ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობა უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა: შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთა-ბა-

რით, ტყე-ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ, ზომიერად; აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად – კი მომავლის-კენ მიიწევდეს, თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, უსახო ლანდი“ [37. 267]. ამჯერად გვერდს ვუვლი ქართველი მწერლების შემოქმედებაში ბუნების მხატვრულ თუ ფილოსოფიურ ასახვა-გააზრების უფრო ფართო გაშუქებას. ამის მიუხედავად, მაინც წარმოუდგენელია მათი შემოქმედება საქართველოს ბუნების გარეშე, რადგან ბუნება ყოველი ადამიანის შემოქმედების უშრეტი წყაროა. აქ როგორ არ გავიხსნოთ ვაჟა-ფშაველა, რომლისთვისაც ბუნება იყო ფილოსოფიური განსჯის საგანი, ეროვნული პოზიციის გამოხატვის ასპარეზი და საშუალება, ვინც ბუნებას მისსავე ენაზე ესაუბრებოდა, ვინც ბუნების ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობდა.

აღსანიშნავი და დამახასიათებელია ის, რომ უაღრესად ფართო ცნება – სამშობლო ხშირად გაიგივებულია საქართველოს ბუნებასთან და ქართველების შეგნებაში ერთ მთლიანად ასოცირდება. მხატვარი უმეტესად ხატავს მას, რასაც ხედავს. ქართველი მხატვარი კი ხედავს საქართველოს, ხედავს „ქართულად“ და „საქართველოდან“. მე ვისაუბრე ქართველი ერის დამახასიათებელ რამდენიმე თვისებაზე, რომლებიც შეიძლება აიხსნას

გეოგრაფიული ფაქტორის ზემოქმედებით. ყველა ქართველი მხატვარი თავის თავში ატარებს და თავის შემოქმედებაში დებს იმავე თვისებებს. ხომ არიან შემოქმედნი, რომელთა შედევრები სხვისაში არ აგვერევა. სწორედ ასე, ყოველგვარი ტიტრების გარეშე რომ მივხვდებით, რომ ესა თუ ის ფილმი ქართულია, მანერისა და გამოსახვის ხერხებით რომ დავადგენთ თეატრის, არქიტექტურის, მუსიკის, პოეზიის ნიმუშების სადაურობას.

საქართველოს ბუნებრივი პირობებისათვის არა-ტიპური მოვლენები არც ქართულ ხელოვნებაში აისახა. შავ ზღვაზე დიდი გასასვლელის მიუხედავად, მისი არც მხატვრული ასახვა და, მით უმეტეს, ფილოსოფიური გააზრება ქართულ ხელოვნებაში არ იგრძნობა. გამონაკლისები საერთო სურათს ვერ შეცვლიან. როგორც ზღვა არ იქცა ქართველი კაცისათვის სამოღვაწეო ასპარეზად, ასევე არ იქცა ის საჯილდაო ქვად ქართველ შემოქმედთა-თვის, თუმცა, როგორც „მოწინააღმდეგე“, ის ყველასათვის ღირსეულად უნდა ჩაითვალოს.

ქართული სიმბოლისტების „დროშა“ ლურჯი იყო, მაგრამ ის ჯერ ცის ფერთან ასოცირდებოდა, ხოლო შემდეგ ზღვის სილურჯესთან.

\* \* \*

ქართული არქიტექტურის შედევრები საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტის ორგანული გაგრძელება და დაგვირგვინებაა. ბუნების სხვადასხვა კუთხესთან ისტორიულ-არქიტექტურული, ეთნოგრაფიული თუ სხვა ხასიათის მრავალი ძეგლია შესისხლხორცებული. „ვისაც საქართველოს გზა-ბილიკებზე უვლია, მისთვის ნაცნობი სურათია – წარმტაც ბუნების წიაღში თვალგვირგვინად აღმართული ქართველი კაცის დიდებული შემოქმედების ნაყოფი...“

გამოაკელით ქართულ ბუნებას ქართული ძეგლები და ნახავთ, ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გაღარიბდება, დაკარგავს თავის სახესა და სიცოცხლეს!“ [5. 17].

ქალაქისა თუ სოფლის გარეგანი იერსახე, მისი არქიტექტურა, მშენებლობის კულტურა ბევრად გვიხასიათებს მისი მცხოვრებლებისა და საერთოდ, მთელი ქვეყნის სულიერ და მატერიალურ სიმდიდრეს. ზოგი ქალაქი მთებშია გაშენებული, ზოგი მდინარის ხეობაში, ზოგიც კიდევ ზღვის პირას, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სამშენებლო მასალა სჭარბობს, ასევე სხვადასხვა მოთხოვნილებას უყენებს განსხვავებული კლიმატური პირობები მათ ზონაში განლაგებულ ნაგებობებს.

საქართველოში, გარდა ეკვატორულისა და ტროპიკულისა, მინიატიურაში წარმოდგენილია დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა ზონა და მათი უმრავლესობა ათვისებულია ადამიანის მიერ. ე. ი. ადამიანმა აქ ააშენა თავისი საცხოვრებელი სახლიც, რაც მთავარია, ყველგან ადგილობრივი პირობების შესაბამისად. როგორ ვაშენებთ დღეს? – ტიპური პროექტების სტანდარტულ სახლებს. ბუნების მრავალფეროვნებაში ადამიანის მიერ შეტანილი ეს ერთფეროვნება ქმნის დისკომფორტს. განა შეიძლება ყველგან, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ერთნაირად ვაშენოთ? ეს პროექტები მხოლოდ ძირითადი ჩარჩოს შიგნით იცვლებიან უმნიშვნელოდ. დღეს ჩვენ საქართველოს სინამდვილისათვის შეიძლება საცხოვრებელი სახლების ისეთი მრავალფეროვნება ვერ შევქმნათ, როგორც ჩვენმა წინაპრებმა, მაგრამ მათი სავსებით უგულებელყოფა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობ მრავალ უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანს.

ჩვენს არქიტექტურაში დომინანტი უნდა იყოს ეროვნულ ლანდშაფტსა და რელიეფზე მისადაგებული, ეროვნული ორნამენტით განყობილი არატიპიურ ნაგებობათა პროექტები. „ქართული არქიტექტურა, მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში სათუთად ინარჩუნებდა განსაკუთრებულ მიღებას ნაგებობების მასშტაბური წყობისადმი. მისთვის

ყოველთვის უცხო იყო აღმოსავლეთის დესპოტიებისათვის დამახასიათებელი ჰიპეტროფირებული მასები, დამთრგუნავი მასშტაბები, მოკლედ რომ ვთქვათ – გიგანტომანია. თვით მეფეთა საცხოვრებლებიც კი ჩვენში „სასახლეებად“ იხსენიება ისტორიისადმი პატივისცემის გამო უფრო, ვიდრე მათი შთამბეჭდავი გაბარიტებიდან ან ინტერიერის განმაცვიფრებელი შემკულობიდან გამომდინარე...

დიახ, მთელი ჩვენი ისტორიის ლოგიკის გამო საქართველოში ვერ გაჩნდებოდა პირამიდები ან სფინქსი, თუმცალა ტიტანური შრომა ჩვენს წინაპრებსაც დაებედათ – გავიხსენოთ, თუნდაც, ნაკლებად ცნობილი, ჯავახეთის მთებს შეფენილი ციკლოპური ნამოსახლარები ან მესხეთის სამინათმოქმედო ტერასები, რომ არაფერი ვთქვათ უფლისციხეზე, ვარძიაზე, დავითგარეჯზე. ჩვენი ტაძრებიც კი თავისი ტექტონიკის, გეგმების თვალ-ნათლივობით, დეკორისა და მოხატულობის სისტემის ადამიანისადმი თანამასშტაბურად გააზრებით იმდენად არ თრგუნავდა მრევლს, რამდენადაც აყალიბებდა მის ჭეშმარიტად ადამიანურ გრძნობას – სილამაზის აღქმის უნარს“ [10].

ნუ გადავაქცევთ საცხოვრებელ ბინებს „საძილე ტომრებად“! ასეთია ფსიქოლოგების აზრი, რომლებიც ამ პრობლემას იკვლევენ. დღევანდელი ქალაქების დაგეგმარებაში არქიტექტორებთან და მშენებლებთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდ-

ნენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, სამრეწველო დიზაინერები, გეოგრაფები, ლანდშაფტური დაგეგმარების სპეციალისტები. ყველა ქალაქს დიდი მშენებლობისათვის თავისი ნაკლი და ღირსება აქვს. თბილისის ნაკლიც და ღირსებაც ის არის, რომ ქალაქი მთაგორიან რელიეფზეა გაშენებული. გააჩნია მის ამ თვისებას საიდან შევხედავთ და რამდენად წარმატებულად გამოვიყენებთ. მრავალფეროვნებისათვის, არქიტექტორთა გაქანებისათვის ასეთი რელიეფი ჯობს. ასეთ პირობებში დიდი გაქანება ეძლევათ დიზაინის ოსტატებს. ქალაქი ხომ ჩვენი საერთო სახლიც არის და მას თავისი „ქალაქის ავეჯი“ სჭირდება. დიზაინი ხელოვნების ის დარგია, რომელიც კარგად ითვისებს და ირგებს ეროვნულ ფორმას. უფრო სწორად, მისი დამოუკიდებელი არსებობა, თუ ვიმსჯელებთ, მაგალითად, მის ქართულობაზე, იმაზეა დამოუკიდებული, თუ რამდენად ეროვნულია ის.

არის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც ქალაქმშენებლობასთანაა დაკავშირებული და სამეურნეო და ეკოლოგიურ პრობლემებს ეხება. საქართველოს ტერიტორიის 70% მთას უკავია. მთიან რელიეფზე მშენებლობა შედარებით ძნელია და ძვირი ჯდება, ამიტომ მოინახა იოლი, მაგრამ არასწორი გამოსავალი – მშენებლობები მიმდინარეობს ქალაქის მიმდებარე ვაკე ადგილებზე. ეს ინვევს ქვეყნის ისედაც მცირე სასოფლო-სამეურ-

ნეო სავარგულების შემცირებას, რაც უდიდესი პრობლემა გახლავთ. ამას გარდა, ქალაქი იზრდება და იბერება. მომსახურების სფეროს ინფრასტრუქტურა კი გაცილებით ჩამორჩება მის ზრდას. ამიტომ მომავალში ქალაქების მშენებლობა ქვეყანაში ინტენსიური გზით უნდა წარიმართოს. მშენებლობისთვის სივრცის უკმარისობას განიცდიან არა მარტო ჩვენი დიდი ქალაქები, არამედ საქართველოს სოფლებიც. ისტორიულ საქართველოში სოფელი ძირითადად მთიან რელიეფზე შენდებოდა, ამით იზოგებოდა სასოფლო სავარგულები, რომლებიც ხშირად სოფლიდან დაშორებით მდებარეობდა. დღეს, სამწუხაროდ, დავივიწყეთ ეს გონივრული წესი და უშურველად ვარიგებთ მოსავლიან მიწებს სხვადასხვა სახის მშენებლობებისთვის. სხვას რომ თავი დავანებოთ, მთიან რელიეფზე მშენებლობას, წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით, დიდი უპირატესობა ექნება ბარში გაშენებულ ქალაქთან და სოფელთან შედარებით.

\* \* \*

თუ ცივილიზაცია, კულტურა ვითარდება სტიქიურად, ის თავისი მოქმედების შედეგად ტოვებს ნანგრევებს. ადამიანი თავისი სამეურნეო მოღვაწეობის დროს აქტიურად უტევს ბუნებას, ართმევს მას

„ტერიტორიას“ და თავის სამოქმედო ასპარეზში რთავს მას. ეს, ხშირ შემთხვევაში, იწვევს იმ ჰარმონიის დარღვევას, რაც უნდა არსებობდეს საზოგადოებასა და მის გარემომცველ ბუნებას შორის. „პროგრესს, ცივილიზაციას, აღმშენებლობას უნდა ერთვოდეს ზნეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცივილიზაცია, ინდუსტრია სიკეთის მაგივრად ბოროტებად შეიძლება გარდაიქცეს, მშენებლობა – დაქცევად, ნგრევად. თვითმიზნური პროგრესისაკენ, ბუნებაზე სრული გაბატონებისაკენ სწრაფვამ, ადამიანური ენერგიის მექანიკური, და შემდეგ ბირთვული ენერგიით შეცვლამ, ადამიანის გონის ელექტრული მანქანებით ჩანაცვლების ტენდენციამ უკიდეგანო მომხმარებლობისაკენ გაგვიტაცა. ტექნიკამ ყოვლისშემძლები გაგვხადა და ჩვენი ყოვლისშემძლეობა იქამდე მივიდა, ღმერთებივით მეორე სამყაროს შექმნა მოვინადინეთ და ამისათვის დედაბუნება საშენ მასალად წარმოვიდგინეთ, ჩვენი მოქმედებისათვის საჭირო საშენ მასალად“ [41].

საქართველოში არსებობს ბუნების დაცვის სახელმწიფო სტრუქტურები და შესაბამისი კანონიც, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენში გარემოს დაცვის საქმეს. მე არ განვიხილავ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს, თუნდაც იმიტომ, რომ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. სახელმწიფო სტრუქტურები იდეალური მუშაობის შემთხვევაშიც კი ვერ აუვა მთლიანად იმ საქმის

სირთულეს, რასაც ბუნების დაცვა ჰქვია, რადგან ეს საქმე სცილდება ერთი უწყების ინტერესისა და შესაძლებლობის ფარგლებს.

ჩვენ ხშირად ვცოდავთ, როცა ვამბობთ, რომ ესა თუ ის საქმე პირველად ჩვენ წამოვიწყეთ, ე. ი. ჩვენით დაიწყო. ეკოლოგიური პრობლემების მთელი სირთულე ესმოდათ ისტორიულ საქართველოშიც. თამარ მეფის სიგელებში მოხსენიებული არიან ტყისმცველები და ტყისმცველთუხუცესები. ბუნების დაცვის ნორმებზე საუბარია „ხელმწიფის კარის გარიგებასა“ და „დასტურლამალში“. დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი გარემოს დაცვას ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნში“. ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნების კარგ მაგალითს იძლევა ხევსურეთში ტყეების შენირვის ტრადიცია. თუ რომელიმე ადგილს, ტყის გაჩეხვის ან ბუნებრივი მიდრეკილების გამო (დაქანება, ქარბორბალა, ლვარცოფი და სხვა) საფრთხე ექმნებოდა, ამ ტყეს დაუყოვნებლივ შესწირავდნენ ხატს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აქ ამიერიდან ხის მოჭრა არ შეიძლებოდა, ვინც განზრას თუ უნებლიერ დაარღვევდა ამ წესს, მას ხატში არ მიესვლებოდა, ვიდრე კურატს (სამი წლის ასაკამდე მოზვერს) არ შესწირავდა მას [16. 24].

არსებობდა გარკვეული შეზღუდვები ცოცხალი ბუნების დაცვის საქმეში. მაგალითად, მთიან რაჭაში მონადირეს ეკრძალებოდა ერთ წასვლაზე ერთ

სულზე მეტი ნადირი მოეკლა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წმინდა სამეურნეო მოსაზრებითაც უნდა ყოფილიყო გაპირობებული – ამ რეგიონის მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნანადირევს და მოსახლეობა ცდილობდა გადაშენებამდე არ მიეყვანა ნადირი. რაც შეეხება საქართველოს ბარს, აქ, ჩემი აზრით, საქმე ცოტა სხვანაირად უნდა ყოფილიყო. ნადირობა ფეოდალურ საქართველოში უმეტესწილად გაბატონებული კლასის გართობის საშუალებას წარმოადგენდა, რაც საუკუნეების განმავლობაში უამრავი ნადირ-ფრინველის განადგურებას იწვევდა. ეს „სისუსტე“ ქართველებს დღემდე გამოჰყვათ და ამიტომაც იზრდება გამუდმებით ჩვენს „ნითელ წიგნში“ შესული ფრინველებისა და ცხოველების რაოდენობა.

ცნობილია ადამიანის ასეთი ფსიქოლოგიური მოდელი – რაც გაუგებარია – უცხოა, რაც უცხოა, მიუღებელი და მტრულია და თუ შესწევს ძალა და ხელი მიუწვდება, ანადგურებს მას. ცხადია, ასე, უპირველესად, იქცევიან მიგრანტები, რადგან ხვდებიან რა უცხო ლანდშაფტის გარემოცვაში, მათ არ იციან, თუ როგორ მოეპყრან მას. ამიტომ იწყებენ მის გადაკეთებას, რაც უპირატესად ნგრევაში გამოიხატება. საქართველოს ისტორია გარკვეულწილად ამ სიტყვების დადასტურებაა. ჩვენს ტერიტორიაზე მუდმივად დათარეშობდა

უცხო კულტურული ეთნოსი, რომელიც ჩვენი განუმეორებელი ბუნების განადგურებას ცდილობდა. ოთხასი-ხუთასი წლის წინათ ტყიანი იყო ჯავახეთი, წალკა, აღმოსავლეთ საქართველოს ველების დიდი ნაწილი (თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, გ. ყორანაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი შედეგები გამოიწვია ჩვენი წინაპრების ინტენსიურმა სამეურნეო საქმიანობამ [32. 42]). უცხო ეთნოსმა შეუგნებლად, თავისი სამეურნეო საქმიანობით შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც დამღუპველი აღმოჩნდება კონკრეტული ბუნებრივი გარემოსათვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს ბუნებრივი პირობების კარდინალური შეცვლა გამოიწვევდა ქართველების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის შეცვლას და საბოლოოდ მათ მიერ თავიანთი ეროვნული, კულტურული სახის დაკარგვას.

ადამიანი აღარ სჯერდება ბუნებრივი პირობების უბრალოდ თავის მიზნებისათვის გამოყენებას, ის ცდილობს მათი თვისებრივი მახასიათებლების შეცვლას, რომლის შედეგებიც ყოველთვის არ შეიძლება წინასწარ იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის ჭაობების ამოშრობას. ჭაობების ამოშრობამ გამოიწვია ის, რომ მცენარეთა და ცხოველთა რიგი სახეობებისა, რომლებიც ადრე აქ გვხვდებოდნენ, გადაშენდნენ და, რაც მთავარია,

ამ რეგიონში შეინიშნება აცივება, რაც პირდაპირ მომაკვდინებელია სუბტროპიკული კულტურები-სათვის. არც ერთი პირდაპირი თუ ირიბი ჩარევა მშობლიურ ბუნებაში მიზნად არ ისახავს მისთვის ზიანის მიყენებას. ამის მიუხედავად, ემპირიულად საბოლოოდ მხოლოდ თვით ბუნება დაამტკიცებს ადამიანების მიერ განხორციელებული ამა თუ იმ საინჟინრო პროექტის ავკარგიანობას. ენგურისა და ჭოროხის კაშხალთა აშენებით მოსახლეობამ მიიღო იაფი ელექტროენერგია და სასმელი წყალი, მაგრამ აქ წარმოიქმნა სხვა სირთულეები. საქართველოს ნიადაგები ამ რეგიონებში თიხანარევია. ამავე დროს, მინისქვეშა გრუნტის წყლები ჩვენში ახლოსაა დედამინის ზედაპირთან, რაც წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიებზე თავის სიტყვას იტყვის. საქართველოს მთის მდინარეებს დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ ნაშალი ქვიშა. დღეს ეს ქვიშა, ერთი მხრივ, ილექება წყალსაცავების ფსკერზე და ავსებს მას, ხოლო, მეორე მხრივ, ის აკლდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებს და, შეიძლება ითქვას, გვართმევს ოქროდ ლირებულ ტერიტორიას. წყალსაცავების აშენება იწვევს მიმდებარე ტერიტორიაზე ტემპერატურის მცირედ მომატებას, რამაც შეიძლება ჯერ გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს.

აქ მინდა შევეხო საქართველოს მთის რეგიონის ერთ მეტად მწვავე პრობლემას. მთაში ტყეებს

ნიადაგის ჩამორეცხვის საწინააღმდეგო ფუნქციაც აკისრია. დროთა განმავლობაში, ტყეების არასწორ-მა ჭრამ წარმოშვა თავისუფალი „კორიდორები“, რომლებშიც თავისუფლად ეშვება მაღალი მთი-დან წარმოსული ზვავები. წლების განმავლობაში ჩვენში გავრცელებული იყო მოსაზრება, თითქოს კოშკების აგება (სვანეთში) დაკავშირებული იყო მხოლოდ მეზობელ თემებს შორის არსებულ მტრო-ბასა და შუღლთან. „გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ, და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობე-სად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ არღარა ეკვეთვის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკი-ცედ“ (სხვათა შორის, სვანური კოშკის ანალოგი გვხვდება ბასკეთშიც) [11. 111]. მაგრამ ქართველ-თა „სოციალური ორგანიზებულობა გამორიცხავს პანიკურობას. საქართველოს ისტორიაში ცნობილი არ არის ისეთი შემთხვევები, რომ მოსახლეობას პანიკური შიშით, მასობრივი გაქცევით მიეტოვე-ბინოს საცხოვრებელი. სტიქიური მოვლენები კი მრავალგვარი, ხშირი და ძლიერი ხასიათისა იყო საქართველოში“ [4. 145].

საქართველოში აშენდა შაორის, სიონის, ჟინვა-ლის წყალსაცავები, ენგურის ჰიდროელექტროსად-გური, დაგეგმილია ხუდონის, ნენსკრას, მტკვარის

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ყველა ამ ობიექტს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგები ჰყავთ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუ-მენტებით, რომელთა უმრავლესობა საზოგადოებისათვის ცნობილია და მათ აღარ გავიმეორებ. მინდა ყურადღება მივაქციო ერთ მეტად მნიშვნელოვან და მტკიცნეულ საკითხს. საქართველო ისტორიულად „ხევებად მოწყობილი“ ქვეყანაა, ხოლო ყველა ჩამოთვლილი ობიექტი საქართველოს მთავარი მდინარეების ხეობებში მდებარეობს. გასაგებია, რომ ეს ობიექტები ამ ეტაპზე ეკონომიურ ეფექტს იძლევიან, მაგრამ თუ პერსპექტივაში მათ ამ რეგიონების ეკოლოგიური ბალანსი დაარღვიეს, მაშინ უკვე მსჯელობა მოგვიხდება არა ეკონომიურ ზარალზე, არამედ ამ ხეობების, როგორც ქვეყნის კულტურულ-სამეურნეო ერთეულის ყოფნა-არყოფნის შესახებ. საქართველო კი სწორედ ასეთი ხეობების ორგანული ჯამია. არ ღირს იმის იმედად ყოფნა, რომ „ასეთი რამ (სტიქია) უხუცესებსაც კი არ ახსოვთ“. ყოველი შესაძლებელი, და ამ ეტაპზე ჩვენი ცნობიერებისათვის ნარმოუდგენელი, საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, ასეთი მასშტაბის მშენებლობების ნარმოება დროში ისტორიულად დიდად დაცილებული ინტერვალებით.

ჩვენ დიდხანს ვმოქმედებდით ლოზუნგით: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან,

ჩვენი ამოცანაა, წავართვათ იგი მას!“ წართმევით კი ბევრი რამ წავართვით, მაგრამ მიცემით ცოტას ვაძლევთ. ამან გამოიწვია მომხმარებლური დამოკიდებულების გაძლიერება მთელი ჩვენი საზოგადოებისა ბუნების მიმართ და ბუნების გაუცხოება ჩვენს შემეცნებაში. მიღებული თვალსაზრისით ადამიანი, როგორც გონიერი არსება, არ გადალახავს დასაშვებ ზღვარს ბუნებასთან ურთიერთობაში, არ მიიყვანს საქმეს გლობალურ თუ რეგიონულ ეკოლოგიურ კრიზისამდე. მაგრამ ვინ იცის, სად გადის ის ზღვარი, საიდანაც იწყება შეუქცევადი პროცესი, როცა სისტემა „ბუნება-საზოგადოება“ კარგავს თავის სიმდგრადეს და, ამავე დროს, კარგავს უნარს – დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას, მდგომარეობას, როცა ისინი შესაბამისობაში იმყოფებოდნენ. ეკოლოგიურმა პრობლემამ გლობალური ხასიათი შეიძინა და ის ჩვენს ქვეყანაშიც ძალზე მწვავედ დგას, მაგრამ მასზე ზოგადი და მომავალ დროში მსჯელობა ადამიანების შეგნებაში კონკრეტულობის შეგრძნებას უკარგავს მას, რაც, თავის მხრივ, არ ბადებს მათში არც შიშს და არც გონების კარნახს. ამავე დროს, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ისეთი ცივილიზაციები, რომელთა დაღუპვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მეცნიერებს ეკოლოგიური ხასიათის კრიზისი მიაჩნიათ.

ეკოლოგიური პრობლემები ძალზე ძნელი გადა-  
საწყვეტია და იმ გადაუდებელ ღონისძიებათა გარ-  
და, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა განვახორციე-  
ლოთ, საჭიროა საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს  
სკოლებში სათანადო დონეზე დავაყენოთ ეკოლო-  
გიური აღზრდა. ადამიანებმა ჯერ უნდა იგრძნონ  
თავი ბუნების ორგანულ ნაწილად და მხოლოდ ამის  
შემდეგ შეიგნებენ, რომ მასთან ურთიერთობა შე-  
საძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფ-  
ლებიანობის, თითოეული მათგანის „პიროვნების“  
ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

\* \* \*

ყველა ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მნიშ-  
ვნელობა აქვს დემოგრაფიულ ვითარებას და მისი  
ცვალებადობის ტენდენციას, რაც კარგად ჰქონ-  
დათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს. აი, როგორ  
მსჯელობს ამ პრობლემის შესახებ ვაჟა-ფშაველა: „მეცნიერება, სხვათა შორის, სამს საშუალებას  
აღიარებს ერის საბედნიეროდ: ქონების სწორედ,  
სამართლიანად განაწილება, გავრცელება ცოდნისა  
და გამრავლება ერისა; ეს უკანასკნელი მოვლენა  
ორ გზას აძლევს ერს თავის დაცვა-შენახვისას: მო-  
მეტებული რიცხვი ან უნდა მოშორდეს დედამიწას,  
მის შემუშავებაზე ხელი აიღოს, სხვა ხელობა უნდა  
რამ დაიჭიროს; თუ იმავე მიწას შეჰქმია, მაშინ

უნდა რამ ღონე გამოსძებნოს. გონების ჩარხი დაატრიალოს, რათა მცირე ნაწილმა მიწისამ საკმაო საზრდო მისცეს. ორსავე შემთხვევაში ადამიანი მოგებული რჩება, ვინაიდან გონების ვარჯიშობას, ფიქრს ჰქიდებს ხელსა; აქედან იწყება სხვადასხვა სატეხნიკო იარაღების მოგონება და სხვა“ [9. 212].

ქართველი ხალხი გარკვეულ გეოგრაფიულ რეგიონში ჩამოყალიბდა და ერად ჩამოყალიბების ყველა სტადია ამ ტერიტორიაზე გაიარა. რაიმე მნიშვნელოვანი ტერიტორიული ზრდა მას თითქმის არ განუცდია. პირიქით, საუკუნეების განმავლობაში მისი ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა. შესაბამისად, ქართული ეთნოსის განთესვა-მიგრაცია მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში არ ხდებოდა. იმისათვის, რომ მოხდეს მოსახლეობის მიგრაცია ცენტრიდან განაპირა მხარეებისაკენ ან საერთოდ ახალი რეგიონებისაკენ, ორი პირობაა საჭირო: ჭარბი მოსახლეობის წარმოქმნა და შედარებით აუთვისებელი ტერიტორიების არსებობა. ორივე ამ პირობის განხორციელებას, თავის მხრივ, ორი რამ უშლიდა ხელს – საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და მცირემიწიანობის გამო მოსახლეობას არა აქვს საშუალება ჭარბად გამრავლებისა, და მეორე, ჭარბი მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, რომელიც მაინც წარმოიშობოდა, არ ნარჩუნდებოდა მუდმივი საომარი ვითარების გამო. საქართველოს

გარშემო კი არ იყო აუთვისებელი ტერიტორიების ფართო მასივები.

ამის გარდა, სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში გადასახლება გამოიწვევდა ქართველებისათვის ძირითადი სამეურნეო საქმიანობის შეცვლას, რაც შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ქართველებს გადასახლება შეეძლოთ მხოლოდ მათგან აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე. ორივე ამ რეგიონის ჰავა, იმის მიუხედავად, რომ ისინი სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს, უფრო კონტინენტურია და აქაური მოსახლეობაც სულ სხვა საქმიანობას ეწევა. სამეურნეო საქმიანობის შეცვლა კი იქნებოდა ქართულის თანდათანობით წაშლის დასაწყისი.

მოსახლეობის სიმჭიდროვე რომ გარკვეულად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, ამას კარგად მოწმობს ს. მაკალათიას ცნობები ხევსურეთის შესახებ. მეცნიერი ადასტურებს, რომ ხევსურეთში მიღებული იყო გვიანი ქორნინება (20-25 ან 30-35 წელი) [19. 61]. ასეთი შეზღუდვით საზოგადოება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა თავის ბიოლოგიურ აღნარმოებას, მეორე მხრივ, ზღუდავდა თემის წევრთა რაოდენობის განსაკუთრებით ზრდას, რაც მინის ფონდის სიმცირესა და მის განაწილებასთან იყო დაკავშირებული. იქვე მეცნიერი გადმოგვცემს, რომ ხევსურები ერიდებოდნენ პირველ

სამ წელს შვილის გაჩენას, რაც პატარძლის გამო-საცდელ დროდ იყო მიჩნეული. ადვილი შესაძლე-ბელია, რომ ეს ჩვეულებაც შობადობის გაზრდის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. რაც შეეხება მთის რეგიონის მოსახლეობის შინაგან პოტენციურ ენერგიას, ის გამოსავალს მთიელთა საზოგადოე-ბრივ ინსტიტუტში – სწორფრობაში (ან წანლობა) პოვებდა.

საქართველოს ისტორიულად არ აწუხებდა ჭარ-ბი მოსახლეობის, მუშახელის თუ მეომრის პრო-ბლემა, პირიქით კი ხშირად ხდებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველა ეპოქაში ხელისუფლება ზრუნავდა გლეხობისათვის, მისი ბიოლოგიური და სოციალუ-რი კვლავნარმოებისათვის. ამის დამადასტურე-ბელია არჩილ მეფის სიტყვები: „რა ამოსწყდეს გლეხიყაცი, საქართველო დაძაბუნდეს“. სახელმ-წიფოს ძლიერება გლეხის შრომისუნარიანობასა და შრომისმოყვარეობაზე იყო დაფუძნებული და მშრომელი კაციც, თითოეული ინდივიდი, ყო-ველთვის ძვირად ფასობდა საქართველოში.

თანამედროვე საქართველოში პრობლემად იქ-ცა მოსახლეობის აღნარმოება. აღვნიშნე, რომ შობადობა, მოსახლეობის ჯანმრთელობა, სიცო-ცხლის საშუალო ასაკი და სხვა არის ეროვნული ენერგიის ერთ-ერთი მახასიათებელი. ამ მხრივ, სასიხარულოა, რომ მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით საქართველო ღირსეუ-

ლად გამოიყურება მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე პირობებში შენარჩუნებულია ქართველ ქალებს შორის გვიანი ქორწინება, რაც ზრდის უშვილობის რისკ-ფაქტორს და საბოლოო ანგარიშით ცუდად მოქმედებს ერის გამრავლებაზე. ასევე დადასტურებულია, რომ ფერტილობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი კოეფიციენტით გამოირჩევან ქართველები.

შეიძლება თუ არა საქართველოს ბუნებრივ პირობებსა და მოსახლეობის გამრავლებას, ქართველთა სამეურნეო საქმიანობასა და ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას შორის სხვა, არა-პირდაპირი კავშირიც არსებობდეს? ქართველები ისტორიულად მინათმოქმედ (უპირატესად მევენახე) ხალხთა კულტურულ-სამეურნეო ტიპს მიეკუთვნებოდნენ. ამიტომ ჩვენი სოციალური ორგანიზაციის მთავარი უჯრედი და დასაყრდენი იყო ოჯახი – ერთი მხრივ, მკვიდრი ცხოვრების შედეგი და, მეორე მხრივ, აღნიშნული ტიპის საზოგადოების და მისი ყველა წევრის იდეალი და მიზანი იყო სრულფასოვანი ოჯახის შექმნა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი გმობდა მამაკაცსა და ქალს შორის ქორწინების გარეშე კავშირს. დღესაც, როცა თანამედროვე საქართველოში დიდი შეუსაბამობა არსებობს გასათხოვარ ქალებსა და საცოლო ვაჟებს შორის, საზოგადოებრივი აზრი კვლავ გმობს ქორწინების გარეშე კავშირს, რაც

საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს ერის რაოდენობრივ ზრდაზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია სასწრაფოდ გავზარდოთ ვაჟების რაოდენობა. მაშინ, შეიძლება, საზოგადოებრივი აზრი გახდეს ამ მხრივ უფრო დამთმობი. ეს რთული პრობლემაა და ის დაუყოვნებლივ შესწავლას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი საზოგადოებრივ-კულტურული ღირებულებების მქონე ევროპაში ამას არ მოჰყოლია საზოგადოების მორალური დეფორმაცია და არც ოჯახის მნიშვნელობის თუ კულტის დამცრობა.

\* \* \*

საუკუნეების განმავლობაში არახელსაყრელი ისტორიული გარემოს გამო ქართული კულტურა მოწყვეტილი იყო ქრისტიანულ ცივილიზაციას, ამ მხრივ ის თითქმის სრულ იზოლაციაში ვითარდებოდა. უცხო ეთნოსის გავლენა ამ შემთხვევაში უმეტესად ნგრევაში გამოიხატებოდა, რადგან ეთნიკურ, სამეურნეო-კულტურულ განსხვავებებს რელიგიური, მსოფლმხედველობითი სხვაობაც ემატებოდა.

1801 წლიდან მნიშვნელოვან სავაჭრო, სატრანზიტო, კულტურულ გზათა შესაყარიდან საქართველო გადაიქცა დიდი იმპერიის გეოგრაფიულ პროვინციად. მან დაკარგა თავისი გეოპოლიტიკური მდებარე-

ობით მინიჭებული უპირატესობები, რითაც თითქოს ამონურა თავისი ისტორიული მისია კავკასიაში, ასე რომ, მომავალში საქართველოს ძლიერება პირდაპირი მიმართებით იქნება მისი ისტორიული როლისა და ფუნქციის აღდგენასთან მსოფლიოს ამ რეგიონში.

ასევე, საუკუნეების განმავლობაში საქართველო იყო კავკასიაში პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ცხოვრების, „კავკასიური ცივილიზაციის“ ცენტრი. რუსეთის იმპერიის გაბატონების შემდეგ საქართველომ თანდათანობით დათმო თავისი პოზიციები ამ რეგიონში. ამასთანავე, ქართულმა ენამ დაკარგა კულტურული ურთიერთობების ფუნქცია არა მარტო მთელი კავკასიის მასშტაბით, არამედ პოლიტიკური საქართველოს ფარგლებშიც. გავიხსენოთ, გიორგი მერჩულე რომელ ტერიტორიას მიიჩნევდა საქართველოდ: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცაშინა ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვის და ლოცვაი ყოველ აღესრულების“. საამისოდ, საჭიროების შემთხვევაში გარკვეული პოლიტიკაც ტარდებოდა. დღეს ჩვენ, სამწუხაროდ, საკმარისად ვერ შევიგრძნობთ იმ ტერიტორიას საქართველოდ, რომელიც ქართველებით სრულად არ არის დასახლებული, ქართული ენის სახელმწიფო პოლიტიკა არ ტარდება და სადაც წირვა-ლოცვა ქართულად არ „აღესრულების“, ამიტომ ფსიქოლოგიურად ცუდად

ვართ მომზადებული ამ ქართული ტერიტორიების კულტურული ინტეგრაციისათვის.

ზემოთ ვახსენე იღია ჭავჭავაძის სიტყვები საქართველოს „ეკონომიკური აგებულების“ ფენომენის შესახებ. უეჭველია, რომ ჩვენი „ეკონომიკური აგებულების“ უნიკალურობა აზიურთან შედარებით მისი გეოგრაფიული გარემოს კომპონენტების მრავალფეროვნება იყო. აზის მონოტონურ ერთფეროვნებას საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება უპირისპირება. აი, რას წერს ამ საკითხის გამო კონსტანტინე კაპანელი: „რაოდენად ისტორიულ საქართველოს მიწა-წყალი განსხვავდება საერთოდ აღმოსავლეთის ბუნებისაგან, რაოდენად ჩვენი ისტორიული ტერიტორია არ წააგავს რუსეთისა და სპარსეთ-არაბეთის ტერიტორიებს, იმედანდ სული და ტემპერამენტი ჩვენი ხალხისა განსხვავდება მეზობელ ხალხთა სულისა და ტემპერამენტისაგან, მაგრამ, მეორე მხრით, რაოდენად ჩვენი ცხოვრება და კულტურა განიცდიდა გავლენას ჩრდილოეთ აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის ხალხებისა, რაოდენად ჩვენი სოციალ-ინდუსტრიული წარსული იგივე იყო, რაც მეზობელი ხალხების ისტორიული ცხოვრება, იმდენად, ჩვენი კულტურული შემოქმედება, ჩვენი სული და ტემპერამენტი, ჩვენი ოჯახი და სოციალური ჩვეულებები, ჩვენი ლიტერატურა და მეტყ-

ველება ატარებენ საერთო აღმოსავლეთის ცივილიზაციურ თვისებებს“ [14. 230].

ხშირად ქართველებს იარაღით ხელში უხდებოდეთ თავისივე ტერიტორიების დაცვა. მაგრამ, ამასთან ერთად, საკვანძო ტერიტორია, რომელიც ქართველებს ეკავათ, აძლევდა მათ საშუალებას, ყოველთვის ყოფილიყვნენ ფხიზლად, სცოდნოდათ, თუ რა ხდებოდა სხვა ქვეყნებში. როგორც გეოგრაფიულად, ასევე პოლიტიკურად საქართველო პროვინცია იყო შუამდინარეთის ცივილიზაციისათვის, ელინისტური სამყაროსათვის, სპარსეთისათვის, არაბული სამყაროსათვის, ბიზანტიისათვის, თურქთა იმპერიისათვის, რუსეთის ცარიზმისათვის. ამ ქვეყნებისა და ხალხების კულტურებმა თავიანთი გავლენა მოახდინეს ქართველების სულიერი და მატერიალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ კულტურული პროვინცია არ ყოფილიყვნენ და თავიანთ ხმას უერთებდნენ მოწინავე ერებს. უფრო მეტიც, მათ შექმნეს საკუთარი დამოუკიდებელი კულტურა.

ასე რომ, როცა ისტორიული გარემოს ძნელ-ბედობაზე ვმსჯელობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იგივე გარემო სხვა პირობებში ასაზრდოებდა ქართულ კულტურას. სწორედ საქართველოს ისტორიულმა და ფიზიკურმა გეოგრაფიამ განაპირობა განვითარების უწყვეტი ხაზი, რომელიც არსებობს ქართველი ერის განვითარებაში,

დაწყებული პრეისტორიული ეპოქიდან დღემდე. ამის მიუხედავად, შეიძლება ნაწილობრივ მაინც დავეთანხმოთ ნ. მიწიშვილს, რომელმაც საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას (იგულისხმება ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა) „უხეირო“ უწოდა [26. 80]. თუ საქართველო ისტორიულად სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რუსეთის ბატონობის პერიოდში – ახალ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში, სამხრეთის მიმართულებით ფაქტობრივად ჩიხში მოექცა.

თუ აზის ბუნებამ და, კერძოდ, ირანის ზეგანმა, სხვა მრავალ მიზნებთან ერთად, ირანული კულტურა ასაზრდოვა, ხოლო მისგან არსებითად განსხვავებულმა ბუნებრივმა პირობებმა – ქართული კულტურა, მაშინ ყურით მოთრეულად აღარ უნდა მოგვეჩვენოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს საერთო, ბუნებრივ საფუძველზე და ერთმანეთთან შინაარსობრივ კავშირში განხილვა. ამავე დროს, კულტურისა და ცხოვრების წესის შესწავლისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ისტორიზმის მეთოდით, რისთვისაც აუცილებელია ისტორულ-გეოგრაფიული გარემოს ცვალებადობის გათვალისწინება.

ახალ ეპოქაში, ერების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, მძლავრად გაიშალა ნიველირების პროცესები. ამავე დროს, უკანასკნელ ხანს, მსოფლიო მასშტაბით ძალზე ინ-

ტენისიურად მიმდინარეობს ერების თვითგამორკვევისა და თვითშემეცნების პროცესი. დღეს ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ უცილობელი ფაქტიდან, რომ დედამიწაზე ძალზე ძლიერადაა შენარჩუნებული ლოკალური და, პირველ ყოვლისა, ეთნოკულტურული მრავალგვარობები. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი ინგლისელი გეოგრაფი პ. ჰაგეტი ნერს, რომ დღეს ჩვენს გაოცებას იწვევს ეთნოკური კულტურების საოცარი გამძლეობა [54. 29].

„კავკასიაში ბაყაყები ისეთ ხმას გამოსცემენ, რუსეთის ბაყაყების ყიყინთან საერთო რომ არა-ფერი აქვთ“ [57. 17]. თუკი სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მცხოვრები ბაყაყებიც კი სხვადასხვანაირად ყიყინებენ, რა განსხვავებული კულტურითა და ცხოვრების წესით უნდა ხასიათდებოდნენ სხვადასხვა გარემოში მცხოვრები ადამიანები!

## დასკვნა

მე განვიხილე გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი. ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობისა და არგუმენტირების შედეგად შესაძლებლობა მაქვს წარმოვადგინო აქედან გამომდინარე ზოგიერთი დასკვნა.

გეოგრაფიული გარემო არ არის უბრალო პირობა და დეკორაცია, რომელშიც და რომლის ფონზეც ხდება ცივილიზაციის ჩასახვა-განვითარება. გეოგრაფიული გარემო არის საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი მთავარი დეტერმინატორი.

გეოგრაფიული გარემო მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოს და ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს. კონკრეტული გეოგრაფიული გარემოს არ არის უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული. ის ცვლილებას განიცდის, ერთი მხრივ, თავისივე შინაგანი კანონებიდან გამომდინარე და, მეორე მხრივ, ადამიანთა საზოგადოების ზემოქმედების შედეგად.

გეოგრაფიული გარემოს შემადგენელ კომპონენტთაგან ერთ-ერთის ცვლილებამ შეიძლება გა-

მოიწვიოს სხვა კომპონენტების თვისებრივი მახა-  
სიათებლების ცვლილება. დღეს ადამიანი ალარ  
ჯერდება ბუნებრივი პირობების უბრალოდ თავისი  
მიზნებისათვის გამოყენებას. ის ცდილობს მათი  
თვისებრივი მახასიათებლების შეცვლას, რომლის  
შედეგებიც ყოველთვის არ შეიძლება წინასწარ იქნეს  
გათვალისწინებული. საზოგადოება სულ უფრო აქ-  
ტიურად უტევს ბუნებას, ართმევს მას „ტერიტო-  
რიას“ და თავის სამოქმედო ასპარეზში რთავს, რაც  
ხშირად იწვევს ეკოლოგიურ კრიზისებს.

ეკონომიკური განვითარების დონე და წარმოე-  
ბის წესი განსაზღვრავს მოცემული საზოგადოების  
კულტურასა და ცხოვრების წესს, მის ბუნებაზე  
ზემოქმედების კოეფიციენტს. ბუნების ის ნაწილი,  
რომელზეც მოქმედებს ადამიანი, არის შრომის  
საგანი და მისი თვისებები განსაზღვრავს კონკრე-  
ტული საზოგადოების სამეურნეო საქმიანობას;  
გეოგრაფიული გარემოს ცალკეული კომპონენტები  
გავლენას ახდენენ კულტურულ-სამეურნეო ტიპე-  
ბის ჩამოყალიბებაზე, კულტურისა და ხელოვნების  
დარგების თავისებურებებზე, და ა. შ.

გეოგრაფიული გარემოს თვისებები მნიშვნელო-  
ვანნილად განსაზღვრავენ დემოგრაფიულ ვითა-  
რებას (მოსახლეობის შობადობა, ჯანმრთელობა,  
კვების რაციონი, სიკედილიანობა, სოციალური  
სტრუქტურა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივო-  
ბა), ხოლო დემოგრაფიული ვითარება წარმოდგე-

ნას გვაძლევს ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ენერგიაზე. კონკრეტული დემოგრაფიული სიტუაცია გავლენას ახდენს ისეთი სოციალური ხასიათის მოვლენებზე, როგორებიცაა: მუშახელის აღწარმოება, შრომისუნარიანობა, უმუშევრობა-და-საქმება, სამუშაო ძალის საბაზრო ფასი და სხვ.

ქვეყნის, კონკრეტული ეთნოსის საცხოვრებელ ტერიტორიასა და მის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას შორის ღრმა შინაარსობრივი კავშირი არსებობს. ისტორიულმა გარემომ შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს ამათუ იმ ერის ისტორიულ განვითარებაში.

გეოგრაფიული გარემო შეიძლება დავაწყვილოთ დემოგრაფიასა და ისტორიულ გარემოსთან და ვუწოდოთ მას საზოგადოების განვითარების გეოგრაფიული ფაქტორი, რადგან შესაძლებელია მათში საერთო „ბუნებრივი საფუძვლების“ მოძებნა.

სხვა თანაბარ პირობებში, გეოგრაფიული ფაქტორის სპეციფიკა განსაზღვრავს ადამიანთა კონკრეტული საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

გეოგრაფიულ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზაციის ცენტრების ჩამოყალიბებასა და მათ მონაცვლეობა-გადაადგილებაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში

მცირდება კონკრეტული საზოგადოების უშუალო დამოკიდებულება გეოგრაფიულ ფაქტორზე. ამის მიუხედვად, გეოგრაფიულ ფაქტორს არ დაუკარგავს და არც მომავალში დაკარგავს მნიშვნელობას, განვითარების რა დონესაც უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ.

გეოგრაფიული ფაქტორის პრობლემა ყოველთვის იდგა საზოგადოებრივი აზროვნების ყურადღების ცენტრში. ყველა ეპოქის საზოგადოება თავისი შესაძლებლობის ფარგლებში წყვეტდა მას თეორიისა და პრაქტიკის სფეროში. ამ საკითხის კვლევა აქტუალურია ქართული მეცნიერებისათვის, რადგან ამჟამად არსებული ცოდნა არადამაკმაყოფილებელია.

გეოგრაფიული გარემოს როლის შეფასებისას საზოგადოების განვითარების პროცესში დაუშებელია როგორც მისი მნიშვნელობის გაზვიადება (დეტერმინიზმი), ასევე ხელოვნურად დაკნინება (ინდეტერმინიზმი).

გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება კონკრეტულ საზოგადოებაზე უსაზღვროა დროში. მოცემული ბუნებრივი პირობები მუდმივად მოქმედებენ ადამიანთა კონკრეტულ საზოგადოებაზე და მათი ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული, ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობითობის პრინციპით. გეოგრაფიული გა-

რემოს როლის ზუსტად შეფასებისათვის აუცილებელია თვალი გავადევნოთ მის საზოგადოებაზე ზემოქმედებას დიდ ისტორიულ მონაკვეთზე. ამიტომ გეოგრაფიული გარემოს როლისა და მნიშვნელობის მეცნიერულად შეფასებისათვის აუცილებელია გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის ისტორია განვიხილოთ შედარებით-ისტორიულ ასპექტში.

გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედების ხასიათი საზოგადოებაზე დიდად იცვლება ისტორიული ეპოქების შეცვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად, რაც უფრო მრავალფეროვანია ქვეყნის გეოგრაფიული გარემო, მით მეტი შესაძლებლობა აქვს მას, მუდმივად იყოს ისტორიული განვითარების ავანგარდში.

კონკრეტული ეთნოსის მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროს კულტურული მონაპოვრების საყველთაო მახასიათებელი, რომელიც ყველა ამ მოვლენაში ძევს და მათ შინაგან ნათესაობას განაპირობებს, არის ის ბუნებრივი პირობები, რომლებშიც კონკრეტული კულტურა ჩაისახადა განვითარდა.

რაც უფრო მრავალფეროვანია კონკრეტული ერის განსახლების ტერიტორიის ბუნებრივი პირობები, მით უფრო მრავალფეროვანია ამ საზოგადოების წევრთა შორის წარმოშობილი მატერიალური და

სულიერი მოთხოვნილებები, მით უფრო მრავალფეროვანია მათი კულტურა და ცხოვრების წესი.

ამა თუ იმ ერის ეთნოგენეზის პროცესი გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარეობს და ერის ჩამოყალიბებისა და არსებობის ძირითადი ნიშნები დიდადაა განპირობებული ამ გარემოს თვისებებით. რამდენიმე ერი (ხალხი) შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთ გეოგრაფიულ გარემოში, ხოლო ერთი, ეთნიკური თვალსაზრისით მდგრადი ეთნოსი არ შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში. სამშობლო ერთია და მას კონკრეტული სახე უნდა ჰქონდეს. განვითარების შედარებით დაბალ დონეზე მყოფი ეთნოსის ერად ჩამოყალიბების შემდეგაც არ წყდება მასზე გეოგრაფიული გარემოს აქტიური ზემოქმედება. ერი ცოცხალი ორგანიზმია და ის მუდამ ვითარდება. ერის განვითარება, თვითშემეცნება კი მიმდინარეობს ისევ და ისევ გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში.

გეოგრაფიული ფაქტორის ცალკეული ელემენტების, მათი დაჯგუფებისა და ერთობლიობის სპეციფიკა განსაზღვრავს მრავალ ეროვნულ თვისებას. ასეთად უნდა ვიგულისხმოთ არსებითი, განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც მეტ-ნაკლებად განასხვავებენ მას სხვა ერისაგან და არა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი ატრიბუტები.

გეოგრაფიული გარემოს სპეციფიკა აძლიერებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობით არსებულ

განსხვავებებს, მაგრამ განსხვავებულ ბუნებრივ პირობებს კორექტივები შეაქვს თვით ერთი ეთნიკური წარმომავლობის ეთნიკურ ჯგუფებს შორისაც.

ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ტერიტორია, მისი ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით, კარგ გარემოს წარმოადგენდა პირველყოფილი საზოგადოების ეპოქის ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური არსებობისათვის, ადრეკლასობრივი და კლასობრივი საზოგადოებების ჩამოყალიბებისათვის. ამ ეტაპზე მოხდა ქართველური წარმომავლობის ტომების მდგრად ეთნოსად, ქართველ ერად, გარევეულ კულტურულ-სამეურნეო ტიპად ჩამოყალიბება.

საქართველოს ბუნებრივი პირობები ოპტიმალური იყო ფეოდალური საზოგადოების ჩასახვა-განვითარებისათვის. პირობათა კომპლექსმა, რომლებმიც ბუნებრივ პირობებს უპირველესი ადგილი უჭირავს, შესაძლებელი გახადა აზიის კონტინენტურ ნაწილში მხოლოდ საქართველოში ჩამოყალიბებულიყო ევროპული სახის ფეოდალიზმი შესაბამისი სოციალური ინსტიტუტებით.

საქართველოს, კაპიტალისტური საზოგადოები-სათვის დამახასიათებელი ნიშნების უცილობელი არსებობის მიუხედავად, არ უცხოვრია ამ საზოგადოების ცხოვრების წესით. ბუნებრივი პირობები აქ არაფერ შუაში იყო, ქვეყნის განვითარებას ხელი შეუშალა ისტორიულმა გარემომ.

ამავე დროს, საქართველო, მისი ბუნებრივი პირობების ხარისხობრივი მაჩვენებლების აბსოლუტურობის მახასიათებლებით, არ შეიძლება განსაკუთრებულად მდიდარ ქვეყნად მივიჩნიოთ. სამაგიეროდ, საქართველოს ბუნებრივი პირობები მეტად დიფერენცირებული ხასიათისაა, სადაც მინიატიურაში წარმოდგენილია დედამიწის თითქმის ყველა კლიმატური ზონა.

საუკუნეების განმავლობაში სპეციფიკურ გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრების შედეგად ქართული ეთნოსი ჩამოყალიბდა ისეთ კულტურულ-სამეურნეო ტიპად, რომელიც ძალზე განსხვავდებოდა ყველა მისი უშუალო მეზობლისაგან. ამ ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია ქართული კულტურის ჩამოყალიბებაზე.

თანამედროვე პირობებში ქართველი ერის ცხოვრების წესის, ქართული კულტურის მრავალ სპეციფიკურ გამოვლინებას დიდად განაპირობებს ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების სტრუქტურაზე, კულტურულ და სოციალურ პროცესებზე, ჩვენს არქიტექტურულ სახეზე, ხელოვნების სხვა დარგებზე, ეროვნულ ხასიათსა და ტრადიციებზე, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა.

გეოგრაფიულად და ისტორიულად საქართველოს შუალედური მდგომარეობა უკავია ევროპასა და აზიას შორის, რამაც ღრმა კვალი დატოვა ქართველი ერის ცხოვრებაში.

გავრცელებული შეხედულება საქართველოს საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობისა და უმდიდრესი ბუნების შესახებ ჩვენი ქვეყნის ბუნების წმინდა ესთეტიკური ღირებულებით უნდა იყოს შთაგონებული. საქართველოს სიმდიდრე მისი ბუნებრივი პირობების დიფერენცირებულობა და მრავალფეროვნებაა და ეს არის მისი დიდი უპირატესობა. ქართული ცივილიზაცია, გარკვეული „ჩავარდნების“ მიუხედავად, ერთ მთლიან უწყვეტ პროცესს წარმოადენს. განვითარების ასეთი ხანგრძლივი, უწყვეტი ჯაჭვისათვის აუცილებელია გეოგრაფიული გარემოს კომპონენტთა დიდი მრავალფეროვნება, რადგან ისტორიული განვითარების პროცესი, მის ავანგარდში ყოფნისათვის, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაგვარ „კაპრიზს“ უყენებს ამა თუ იმ ხალხს. საქართველოს გეოგრაფიული გარემოს არსენალში ყოველთვის მოიძებნება განვითარებისათვის საჭირო ნიადაგი და პირობები. ამიტომ ქართული ცივილიზაცია გამოუვალ ჩიხში არ შესულა, საამისოდ ის ძალზე დინამიკური იყო. დინამიკურმა ცივილიზაციამ განაპირობა დინამიკური კულტურა, აქტიური ცხოვრების წესი, აქტიური შინაგანი თვისების საზოგადოება.

არავინ იცის ქვეყნის რა აქტივი შეიძლება გახდეს ჩვენი განვითარების კატალიზატორი მომავალში. მაგრამ, ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში, ამ პროცესში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს დინამიკურმა ქართულმა კულტურამ და აქტიურმა ქართულმა ცხოვრების ნესმა.

მრავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დღეს ჩვენში ემთხვევა ისტორიული პროვინციების საზღვრებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება დროში აქტიურად გრძელდება. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს პრობლემისადმი ისტორიზმის მეთოდოლოგით მიღებობის აუცილებლობას.

საქართველო მოიცავს ტერიტორიებს რადიკალურად განსხვავებული ბუნებრივი პირობებით. ჩვენს ქვეყანაში გვხვდება დედამიწაზე არსებული ფაქტობრივად ყველა კლიმატური ზონა, ლანდშაფტი (თუ მის განუმეორებლობას არ გავითვალისწინებთ), ნიადაგის სახეები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის მეცნიერული მართვისათვის საჭირო და აუცილებელია ადგილობრივი ბუნებრივი პირობების მაქსიმალური გათვალისწინება. და ეს ეხება არა მარტო სოფლის მეურნეობის დარგებს.

აღნიშნული პრობლემების მაქსიმალურად გაუთვალისწინებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს სერიოზულ შეცდომებამდე ეკონომიკის, ეკოლოგიის, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების დარგებში.

## დამოცვებული ლიტერატურა

1. ასათიანი გ., სათავეებთან, თბ., 1982.
2. ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.
3. გეგეშიძე მ., ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.
4. გეგეშიძე მ., ეკოლოგის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1985.
5. გეგეჭკორი არნ., ბუნება, სამშობლო, ხელოვნება, ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, №3, თბ., 1983.
6. გოგებაშვილი ი., საგანძურო, თბ., 1986.
7. ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1984.
8. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1960.
9. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1964.
10. ვარდოსანიძე ლ., ერთი საზოგადოებრივი ნაგებობის გამო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1987, 19.06.
11. ვახუშტი ბაგრატიონი, ალწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
12. თოდუა გ., XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნან. II, თბ., 1987.

13. იაშვილი ნ., საქართველოს სსრ მიწის ფონდი, თბ., 1975.
14. კაპანელი კ., სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, თბ., 1925.
15. კარბელაშვილი ლ., საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1973.
16. კეკელია მ., ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის, თბ., 1982.
17. კეცხოველი ნ., ადამიანი და ბუნება, თბ., 1974.
18. ლენინი ვ., თხზულებანი, ტ. 31, თბ., 1950.
19. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1984.
20. მალაღურაძე ჯ., მოსახლეობა, მიწა და არქიტექტურა მთიან ქვეყნებში, თბ., 1985.
21. მამულია გ., პატრონულობა, თბ., 1987.
22. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული წერილები, თბ., 1949.
23. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.
24. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959.
25. მესხი ს., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962.
26. მიწიშვილი ნ., ჩემი პასუხი, უურნ. „ქართული მწერლობა“, თბ., 1927, №11.
27. ჟორდანია ა., არ დავიწყება მოყვრის, თბ., ჟურნ. „კრიტიკა“, 1984, №1.
28. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
29. სულაბერიძე ა., საქართველოს სსრ მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1986.
30. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
31. ყორანაშვილი გ., ბუნება და ისტორია, უურნ. „ცისკარი“, 1982, №6, თბ., 1982.

32. ყორანაშვილი გ., გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975.
33. ყორანაშვილი გ., ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები, თბ., 1984.
34. ყორანაშვილი გ., ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები, თბ., 1983.
35. ყორანაშვილი გ., ერთი მეცნიერული კონცეფციის შესახებ, გაზ. „თბილისი“, 1990, 27, 03.
36. ყორანაშვილი გ., ქართული ცივილიზაციის რაობის შესახებ, უურნ. „ცისკარი“, თბ., 1986, №1.
37. ნერეთელი ა., პუბლიცისტური წერილები, თხზულებანი, ტ. 14, თბ., 1961.
38. ჭავჭავაძე ილ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955.
39. ჭავჭავაძე ილ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, 1965.
40. ხარაძე, გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში, თბ., 1988.
41. ხელაია მ., ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი, თბ., გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 26, 06.
42. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ნ. II, ტფ., 1934.
43. Анучин В., Географический фактор в развитии общества, М., 1982.
44. Анучин В., Теоретические основы географии, М., 1972.
45. Габиани А., Гачечиладзе Г., Некоторые вопросы географии преступности (по материалам Груз. ССР), Тб., 1982.
46. Гейден Г., Критика немецкой геополитики, М., 1960.
47. Гиппократ, Избранные книги, М., 1936.

48. Григорьева Г., Японская художественная традиция, М., 1979.
49. Гумилев Л., Этногенез и этносфера, М., 1970, №1.
50. Дулов А., Географическая среда и история России конца X – середины XIX в., М., 1983.
51. Иванов В., Природные символы как элементы знаковых систем культуры, «Общество и природа», Ист. этапы и формы взаимодействия, М., 1987.
52. Лихачев Д., Заметки о русском, М., 1984.
53. Лукьянченко Л., Географическая среда как один из объективных источников эстетического. – Актуальные вопросы марксистско-ленинской философии – Ученые зап. МГПИ, т. 435, М., 1971.
54. Маркарян Э., К экологической характеристике развития этнических культур, Общество и природы. Ист. этапы и формы взаимодействия, М., 1981.
55. Реклю Э., Человек и Земля, т. 1-6, СПб, 1906-1909.
56. Роль географического фактора в истории докапиталистических обществ, Л., 1984.
57. Толстой Л., Набег, Кавказской пленник, М., 1956.
58. Энгельс Ф., Внешняя политика русского царизма, Сочинение, Том 22, 1948.
59. Энгельс Ф., Начало конца Австрии, Сочинения, Том 4, М., 1955.

სარედაქციო ჯგუფი

ირმა პერიძე  
ნატო გორდელაძე  
მართა კასრაძე  
თამარ ლონდარიძე  
ვიოლა ტუღუში  
თეონა ჭანიშვილი

გამომცემლობა არტანუჯი

✉ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5

☎ 2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22

[www.artanuji.ge](http://www.artanuji.ge) info.artanuji@gmail.com

 გამომცემლობა არტანუჯი / Artanuji Publishing